

პარლამენტი რამდენიმე ფრონტზე იბრძვის
A3



დეცენტრალიზებული მოდა
A6



ავტომობილი
B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 4 ოქტომბერი, 2005 წელი. №219 (1079)

ფასი 50 თეთრი

## ანონსი

**"5 ოქტომბერს, ოთხშაბათს, მასწავლებელთა პროფესიულ დღეს, "24 საათი" გამოაქვეყნებს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის პროექტს, რომელიც შემუშავებულია განათლების სამინისტროს მიერ. კომპეტენტურ და დაინტერესებულ ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ, შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვან კონცეფციასთან დაკავშირებით."**

## ამბები

### იშვიათი პრეცედენტი ქართველი სტუდენტებისათვის

"თიბისი ბანკმა" მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა - ESM-თბილისის წლევანდელ ყველა კურსდამთავრებულს საჩუქრად "თიბისი ბანკის" ვიზა საკრედიტო ბარათები გადასცა.

A2

## ამბები

### მივიწყებული პირობა

ელიავას ბაზრობის ლილოში გადატანაზე საუბარი 2005 წლის მარტში დაიწყო. თუმცა, მოვაჭრეთა აქტიური წინააღმდეგობის გამო, ქალაქის მაშინდელმა მერმა ბაზრობისთვის ადგილის შეცვლა შემოდგომისთვის გადადო. მერიის ახალი ხელმძღვანელობა კი ბაზრობის გადატანას წლის ბოლომდე არ აპირებს.

A2

## სამართალი

### გია კენჭაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს

წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ, გუშინ შუადღისას ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო დატოვა ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა აქტიურმა წევრმა, თანაგუნდელების მიერ სამაგალითოდ დასჯილმა პარლამენტარმა გია კენჭაძემ.

A5

## ამინდი

| | 4/10 | 5/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 21 |
| ტყიბული | 19 | 21 |
| სოხუმი | 18 | 22 |
| დმანისი | 12 | 13 |
| გორი | 15 | 16 |
| ონი | 12 | 15 |
| ზუგდიდი | 20 | 23 |
| ახმეტა | 17 | 21 |
| გაგრა | 20 | 20 |
| სამტრედია | 20 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1420 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1484 |
| რუბლი | 0.0627 |

ამბები A 2
ამბები A 3
ამბები A 4
სამართალი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
მონიტორინგი A 8

ტენდერი B 2
ავტომობილი B 3
სხვადასხვა B 4

# ბელარუსი ხავერდოვანი რევოლუციის მოლოდინში

ექსკლუზიური ინტერვიუ ბელარუსის ოპოზიციის პრეზიდენტობის ერთიან კანდიდატთან ალექსანდრ მილინკევიჩთან

ნინო გომართელი

*2006 წელს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ბელარუსში აქტიური მზადება დაიწყო. მინსკში ოპოზიციური დემოკრატიული ძალების ეროვნული კონგრესი ჩატარდა, რომელზეც არჩევნებში ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი დასახელდა. ბელარუსის მოქმედ პრეზიდენტს ალექსანდრ ლუკაშენკოს არასამთავრობო ორგანიზაციის "რატუშა"-ს ხელმძღვანელი, ქალაქ გროდნოს ყოფილი ვიცე-მერი ალექსანდრ მილინკევიჩი დაუპირისპირდება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ალექსანდრ მილინკევიჩი: "დიქტატურას მხოლოდ არჩევნებით ვერ დაამარცხებ"*

# ნაზარბაევმა ყაზახური გაზი "ჩამოიტანა"

*ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის თბილისში ვიზიტისას მიღწეულია შეთანხმება ყაზახური გაზის საქართველოში იმპორტის შესახებ. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკული რესურსები, ტურისტული ბიზნესი - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელთა გარშემო საქართველოსა და ყაზახეთს ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ. "ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი, რათა განვაცხადოთ, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით ყაზახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი გახდა," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.*

სოფო ბუკია

თბილისში ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის მთავარი შედეგი სწორედ ის შეთანხმებაა, რომელიც ყაზახური გაზის საქართველოსთვის მიწოდებას შეეხება.

საქართველოსა და ყაზახეთის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა ამ შეთანხმებას **"საქართველოსთვის საკმაოდ მომგებიანი და უმნიშვნელოვანესი"** უწოდა.

**"ეს იქნება პირველი ზამთარი, როდესაც საქართველოში არ იქნება ენერგოდეფიციტი. ამას ჩვენ გაზის ტურბინების მუშაობით მივაღწევთ. საქართველო, პრაქტიკულად, აორმაგებს გაზის მოხმარებას და ამ კუთხით ისეთი პარტნიორის შეძენა, როგორიც ყაზახეთია, ძალიან მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნა მან.

თუმცა, ამ შეთანხმების ასამუშავებლად მხარეებს ჯერ რუსეთის დაყოლიება მოუწევთ. ყაზახური გაზი საქართველოში სწორედ რუსეთის ტერიტორიის გავლით უნდა მოხვდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსლანა ქართული ფოლკლორით დაინტერესდა

"ევროვიზია 2004-ის" გამარჯვებულმა, ქართველი მსმენელისთვის კარგად ნაცნობმა რუსლანამ საკუთარი კარიერის ახალი ეტაპი დაიწყო. უკრაინელმა მომღერალმა ცნობილი შოუთი "ველური ცეკვებით" გაითქვა სახელი, ამიტომ ახალი ნაბიჯის გადადგმა ამავე იმიჯით გადაწყვიტა. ამჯერად რუსლანა მხოლოდ უკრაინულ ფოლკლორს არ გამოიყენებს და სხვა ქვეყნების ხალხურ შემოქმედებასაც დაესესხება. პირველი არჩევანი მომღერალმა ქართულ ფოლკლორზე შეაჩერა.

ამ მიზნით რუსლანა არაერთხელ შეხვდა საქართველოს სრულუფლებიან ელჩს უკრაინაში გრიგოლ ქათამაძეს და მიზნის განხორციელებისთვის საელჩოს თანადგომა სთხოვა. როგორც ცნობილია, მომღერალი საქართველოს მთიანი რეგიონების ფოლკლორზე გააკეთებს აქცენტს.

გრიგოლ ქათამაძემ უკვე გამოთქვა რუსლანას დახმარების სურვილი, რადგან ამ პროექტით ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციაც მოხდება. პროექტის წარმატებით განხორციელებით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც ნებისმიერი სახის დახმარებისთვის მზადაა.



*რუსლანა არაერთხელ შეხვდა საქართველოს სრულუფლებიან ელჩს უკრაინაში გრიგოლ ქათამაძეს.*

გრიგოლ ქათამაძის განცხადებით, ოქტომბრის შუა რიცხვებში რუსლანა საქართველოს ეწვევა და ქართულ კულტურას უფრო ახლო გაეცნობა. იგი შეისწავლის როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული ფოლკლორისტების შემოქმედებას, შეხვდება ფოლკლორულ ანსამბლებს. ასევე დაგეგმილია ექსპედიცია საქართველოს მთიან რაიონებში - სვანეთსა და ხევსურეთში. ეს მოგზაურობა მომღერალს ახალი შთაგონების მიღებაში დაეხმარება. იგი თავის მომავალ კლიპებში ჩვენი ქვეყნის კადრების გამოყენებასაც გეგმავს, რომლებსაც ამ ექსპედიციისას გადაიღებენ.

"რუსლანა 2006 წელს ახალ ალბომს ჩაწერს, რომელშიც აუცილებლად შევა რამდენიმე კომპოზიცია ქართული ფოლკლორის მოტივებზე", - აღნიშნა გრიგოლ ქათამაძემ.

# რუსი მესაზღვრეები საქართველოს მოქალაქეებს იტაცებენ

*საქართველოს მოქალაქეებისთვის დაღესტნის საზღვარი სერიოზულ საფრთხეს ქმნის. ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მიდამოებში მწყემსების თუ მეთევზეების დაპატიმრება საზღვრის დარღვევის მოტივით და შემდეგ მათში გამოსასყიდის გადახდა ტრადიციად იქცა. ახალსოფლელი გია დვალიშვილი და ლაზრო პაპოვი რუსმა მესაზღვრეებმა იმ დროს დააკავეს, როცა მდინარე სიმურზე თევზაობდნენ. ტყვეობიდან კი მას შემდეგ გაათავისუფლეს, როცა გამოსასყიდი - 5 ათასი დოლარი გადაიხდეს. მომხდართან დაკავშირებით ყვარლის რაიონის ხელმძღვანელობა სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტისთვის წერილის მიწერას აპირებს. ყოფილი ტყვეების საუბრიდან ირკვევა, რომ რუსულმა მხარემ სასაზღვრო ზოლზე სპეცდანიშნულების რაზმი ჩააყენა და სარაკეტო დანადგარები დაამონტაჟა.*

ზვიად რუაძე
ლალი დავითაშვილი

ლაგოდეხელების მსგავსად, სასაზღვრო ზოლის არარსებობის გამო პრობლემები ყვარლის რაიონის მოსახლეობასაც ექმნება. ზაფხულის სიცხეს ამ რაიონის მოსახლეობა მთაში - ღოლიანის ხეობაში გაურბის, რომელიც ყვარლიდან 80 კილომეტრის მოშორებით არის და დაღესტანს ესაზღვრება.

როგორც ახალსოფლის მოსახლეობა ჩვენთან საუბარში ამბობს, საზღვრის არარსებობის გამო ხშირად ხდებიან რუსი ჯარისკაცების ტყვეობაში და გამოსასყიდის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ. მესაზღვრეებისთვის გამდიდრების შანსი მდინარე სიმურია, სადაც ყვარლელები ხშირად კალმახზე სათევზაოდ დადიან.

ახალსოფლელ გია დვალიშვილის და ლაზარო პაპოვის საქმეს მიეცემა თუ არა დაღესტნის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის კვალიფიკაცია, ეს მალე უშიშროების სამსახურის საბოლოო დასკვნიდან გახდება ცნობილი. რუსი მესაზღვრეების მხრიდან ქართველების მორიგი გატაცება შემდეგნაირად მოხდა: **"მე და ჩემი მეგობარი ბავშვებთან ერთად მთაში წავედით, რამდენიმე დღით ვაპირებდით დარჩენას.**

გაგრძელება A5 გვერდზე

# ცენტრში "მარშრუტკების" მოძრაობის პრობლემა კვლავ ვერ მოგვარდა

თამარ დვალი

გუშინ, დილის 11 საათისთვის, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები "ცეკავშირის" შენობასთან შეიკრიბნენ. მათი თქმით, მერიამ მათ თაბუკაშვილის ქუჩაზე გადაადგილების ნებართვა მისცა, თუმცა, ამის მიუხედავად, მძღოლები ამ ქუჩაზე გავლას მაინც ვერ ახერხებენ. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ, თაბუკაშვილის ქუჩა თავად მოსახლეობამ გადაკეტა. მოსახლეობის განმარტებით, ისედაც ავარიულ ბინებს გახშირებული მოძრაობა დანგრევის საფრთხეს უქმნის. შუადღის სამი საათისთვის, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, მძღოლებმა ჩახერგილი გზა გაათავისუფლეს. თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ თუკი მერია სხვა ალტერნატიულ გზას არ მონახავს, ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩება.

თბილისის მერიამ თაბუკაშვილის ქუჩაზე გადაადგილების ნება მხოლოდ ექვს სამარშრუტო ხაზს მისცა, რეალურად კი, აღნიშნული ქუჩით 17-ზე მეტი ხაზი სარგებლობს, რამაც მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია.

**"თითქმის ყოველი მეორე სახლი ავარიულია. ისედაც ვიწრო ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა, და თანაც, ასეთი ინტენსივობით, საფრთხეს უქმნის ჩვენს ბინებს, საშინელ ხმაურსა და გამონაბოლქვზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამაზე მერიას მაშინ უნდა ეფიქრა, როდესაც რუსთაველის გამზირის განტვირთვის სქემა შეიმუშავა. ამასთან შეგუება წარმოუდგენელია, ამიტომ გზის გადაკეტვას მომავალშიც ვაპირებთ,"** - აღნიშნეს აქციაზე გამოსულმა თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლები კი მათი ქმედებების სამართლიანობაში დარწმუნებულები არიან. მათი განცხადებით, რუსთაველის გამზირზე ე.წ. "მარშრუტკების"

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაიცანით "მის საქართველო 2005"

სალომე ხელაშვილი "მის მსოფლიოზე" მონაწილეობისთვის ემზადება




*სალომე ხელაშვილი*



*კონკურსის შოუ.*

# "მემარჯვენეები" საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვენ

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე "საარჩევნო კოდექსში" ცვლილებების შეტანას მოითხოვს და აღნიშნული ცვლილებების ინიცირებას თავად აპირებს. ამის შესახებ დავით გამყრელიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, 1 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე დაირღვა არჩევნების უმთავრესი ფასეულობა - არჩევნების ფარულობის წესი.

გამყრელიძის განცხადებით, კომისიის ნებისმიერმა წევრმა, რომელიც ბეჭედს არტყამს ამომრჩევლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და უკვე შევსებულ ბარათს, იცის, თუ რა არჩევანი გააკეთა ამა თუ იმ ამომრჩეველმა.

გამყრელიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე ესაუბრა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს, რომლებიც საარჩევნო კოდექსის საკითხებზე მუშაობენ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ უახლოეს მომავალში საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტს შეიმუშავებს.

დავით გამყრელიძე ასევე აპირებს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას. იგი ამომრჩეველთა სიაში შესაყვანად ბარიერების არსებობას გააპროტესტებს და მათ გაუქმებას მოითხოვს.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" 1 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, საკუთარ ამომრჩეველს კი მადლობა გადაუხადა. **ინტერპრესნიუსი**

# "ლეიბორისტებმა" ნობელის კომიტეტს სააკაშვილის კანდიდატურის "კარგად გააზრება" ურჩიეს

"საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" ნორვეგიის ნობელის კომიტეტს დღეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ადრესატებს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატთა საბოლოო გამოვლენამდე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურის "კარგად გაანალიზებისკენ" მოუწოდა.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე "ლეიბორისტთა" ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, 7 ოქტომბერს დაგეგმილია ნობელის პრემიის ლაურეატთა გამოვლენა. პრეტენდენტებს შორის კი მიხეილ სააკაშვილიც არის წარდგენილი.

ნობელის კომიტეტისადმი გაგზავნილ მიმართვაში "ლეიბორისტები" განმარტავენ, რომ წერილის მიზანი კომიტეტისთვის სააკაშვილის ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმის გაცნობაა, რათა მან არ დაუშვას შეცდომა, რომელიც, შესაძლოა, ნობელის კომიტეტის იმიჯის დისკრედიტაციის საფუძველი გახდეს.

წერილში საქართველოს პრეზიდენტი მოხსენიებულია, როგორც დიქტატორი და ავტორიტარული რეჟიმის მეთაური. ასევე აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ილახება ადამიანთა უფლებები, შექმნილია სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, მედიაზე დაწესებულია ცენზურა და სხვა. "ლეიბორისტები" მზად არიან, ყველა აღნიშნულ საკითხზე ნობელის კომიტეტს ამის დამადასტურებელი მასალები წარუდგინონ. **ინტერპრესნიუსი**

# საბაჟო დეპარტამენტი ვეტერინარულ, ფიტოსანიტარულ და ხარისხის კონტროლსაც განახორციელებს

საბაჟო კონტროლთან ერთად, საბაჟო დეპარტამენტი ვეტერინარულ, ფიტოსანიტარულ და ხარისხის კონტროლს განახორციელებს. საქართველოს ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა უკვე გამოსცეს ერთობლივი ბრძანება, რომლითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საბაჟო დეპარტამენტზე უფლებამოსილებათა დელეგირება განახორციელა. საბაჟო დეპარტამენტს დაევალა, საბაჟო კონტროლთან ერთად, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და ხარისხის კონტროლი უზრუნველყოს და შესაბამისი მოსაკრებელიც აკრიფოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურისა და ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, საბაჟო დეპარტამენტზე ფუნქციების დელეგირება ოქტომბრის პირველ ნახევარში განახორციელონ. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლთან კოორდინაციაში ხორციელდება სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინარულ-ფიტოსანიტარული, ტექნიკური სტანდარტების შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლი. აღნიშნულ ფუნქციებს დღეისთვის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები ახორციელებენ, რაც მეწარმეებს საზღვრის გადაკვეთისას სირთულეებს უქმნის. პროცედურების გამარტივებისა და ქვეყანაში ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ამ ფუნქციებს მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტი განახორციელებს. ჯანდაცვის სამინისტროში მსგავსი სახის ბრძანების პროექტი უკვე მზადდება. **ინტერპრესნიუსი**

# მიხეილ სვიმონიშვილი: წელს წარმოებული ღვინო ყველაზე ხარისხიანი იქნება

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი პირობას დებს, რომ საქართველოს ღვინის ქარხნებში მიმდინარე წელს წარმოებული ღვინო ყველაზე ხარისხიანი და არაფალსიფიცირებული იქნება. როგორც სვიმონიშვილმა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მსგავსი განცხადების გაკეთების საფუძველს მას მთავრობის მიერ ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ დაწყებული წარმატებული რეფორმა აძლევს.

სვიმონიშვილის განმარტებით, ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლითა და სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან დაბალი ხარისხის ყურძნის იმპორტის აკრძალვით, მხოლოდ კახეთის რეგიონში გლეხების მიერ ღვინის ქარხნებში ყურძნის ჩაბარების მაჩვენებელმა შარშანდელს ორჯერ გადააჭარბა. მინისტრის მონაცემებით, კახეთში ღვინის მწარმოებელმა 70-მდე საწარმომ ამ დროისთვის 35-40 ათასი ტონა ყურძენი გადაამუშავა.

ერთი კილოგრამი "რქაწითელის" საშუალო ფასი 35-დან 40 თეთრამდე მერყეობს, "საფერავი" კი 1,60 ლარი ღირს. კახეთში წლევანდელ რთველს წარმატებულს უწოდებს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში პეტრე ცისკარიშვილი. "მიუხედავად იმისა, რომ წელს სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობის დარგის სუბსიდირება არ განხორციელებულა, რთველმა პრობლემების გარეშე ჩაიარა. ჩასაბარებელი ყურძნის ფასი თავად ბაზარმა დაარეგულირა," - განაცხადა ცისკარიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

# "რუსთავწყალი" დავალიანების დაფარვას ითხოვს

"რუსთავწყალი" დავალიანების მქონე ობიექტებისთვის სასმელი წყლის მიწოდების შეჩერებას იწყებს. გაფრთხილება, დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, რუსთავის საწარმოებს დაახლოებით სამი კვირის წინ გაეგზავნა. წერილში "რუსთავწყალი" მიმდინარე გადასახადების დაუყოვნებლივ დაფარვას, ხოლო დაგროვილი დავალიანების გრაფიკის გაწერას ითხოვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, 10-ზე მეტი საწარმო გაფრთხილებას საერთოდ არ გამოეხმაურა. მათ შორის არიან მეტალურგიული კომბინატი, რუსთავგაზი, რუსთავტრანსი, ქიმიური ბოჭკო, სააქციო საზოგადოება "გრდემლი", სააქციო საზოგადოება "საქლადა", შპს "რუსთავმშენი" და შპს "სასტუმრო რუსთავი". მიმდინარე დავალიანების დაფარვა დაიწყო მკაცრი რეჟიმის კოლონიამ და ქალაქის საავადმყოფომ. რუსთავის ვიცე-მერის კახი თხელიძის განცხადებით, "რუსთავწყალის" ხელმძღვანელს გასული კვირის პარასკევს გაეგზავნა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ორშაბათიდან ყველაზე ურჩ გადამხდელებს სასმელი წყალი უნდა შეეწყვიტოს.

"რუსთავწყალის" ხელმძღვანელის ნოდარ შეროზიას განცხადებით, საერთო დავალიანება იმ ობიექტებისა, რომელთაც წყალს დღეს ჩაუჭრიან, 200 ათას ლარს აღწევს. საერთო ჯამში, "რუსთავწყალს" მარნეულში, გარდაბანში და რუსთავში მდებარე ორგანიზაციებიდან 11 მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს ამოსაღები. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ცენტრში "მარშრუტკების" მოძრაობის პრობლემა კვლავ ვერ მოგვარდა

პირველი გვერდიდან

მოძრაობის აკრძალვის შემდეგ, ალტერნატიული სქემა მერიამ შეიმუშავა და მასში თაბუკაშვილის ქუჩაც ჩართო. თუმცა, მძღოლები იმასაც აცხადებენ, რომ ამ ქუჩით, ნებადართული 6-ის გარდა, სხვა სამარშრუტო ხაზებზე მოძრავი ავტომანქანებიც გადაადგილდებიან. **"ჩვენ გვესმის ამ მოსახლეობის პროტესტი, მაგრამ რა ვქნათ? თაბუკაშვილის ქუჩით მოძრაობა ჩვენთვისაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. ისედაც ვიწრო ქუჩაზე ხშირად იქმნება საცობები, რის გამოც გადაადგილება შეფერხებით გვიწევს. ეს პრობლემა მერიის გადაწყვეტილების შედეგად შეიქმნა და მის მოგვარებაზეც მერიამ უნდა იზრუნოს,"** - მიიჩნევენ მძღოლები.



მძღოლების საპროტესტო აქცია გრძელდება.

იმ შემთხვევაში, თუკი თბილისის მერია და სატრანსპორტო სამსახური აღნიშნულ პრობლემას არ მოაგვარებს, მძღოლების თქმით, ისინი კვლავ რუსთაველის გამზირის გავლით იმოძრავებენ.

მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსის ზურაბ ჩიკვილაძის განცხადებით, რეალურად, ამ ქუჩით იმ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებიც დადიან, რომლებიც სანაპიროს მხრიდან უნდა მოძრაობდნენ. **"ჩვენმა სამსახურმა, საპატრულო პოლიციასთან ერთად, კონტროლი დააწესა. იმ მანქანებს, რომლებსაც ამ ქუჩაზე გავლის ნებართვა არ ექნებათ, ლიცენზიები საერთოდ ჩამოერთმევათ. თუკი თაბუკაშვილის ქუჩაზე ჩვენ მიერ დადგენილი მანქანების რაოდენობა იმოძრავებს, მაშინ პრობლემა არ იქნება,"** - განაცხადა ჩიკვილაძემ.

# მივიწყებული პირობა

*ელიავას ბაზრობის ლილოში გადატანაზე საუბარი 2005 წლის მარტში დაიწყო. თუმცა, მოვაჭრეთა აქტიური წინააღმდეგობის გამო, ქალაქის მაშინდელმა მერმა ბაზრობისთვის ადგილის შეცვლა შემოდგომისთვის გადადო. მერიის ახალი ხელმძღვანელობა კი ბაზრობის გადატანას წლის ბოლომდე არ აპირებს.*

ნანა ქადაგიშვილი

პირველად, ელიავას ბაზრობა არსებულ ადგილას იმ პირობით დატოვეს, რომ ბაზრობის ხელმძღვანელობას პარკირების სისტემა უნდა მოეწესრიგებინა. ერთ თვეში ქალაქის ხელმძღვანელობამ მათ კიდევ ერთი პირობა წაუყენა. მოვაჭრეებს ბაზრობის სანიტარული მდგომარეობაც სასწრაფოდ უნდა გამოესწორებინათ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა გამგეობამ და ქალაქის მაშინდელმა სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ ეს გადაწყვეტილება ერთობლივად გამოიტანეს, რადგან ბაზრობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულმა მდგომარეობამ მოლოდინს გადააჭარბა. **"ბაზრობაზე არსებული ანტისანიტარია მოვაჭრეების, მომხმარებლებისა და ბაზრობის მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრებთა ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, რადგან მოვაჭრეები ელემენტარულ სანიტარულ ნორმებს არ იცავენ,"** - წერია სანიტარული ინსპექციის მიერ გაკეთებულ დასკვნაში.

სიტუაციის შესაფასებლად მხოლოდ ბაზრობის გვერდით მდებარე პარკის ნახვაც კმარა. დიდი ხანია, ეს პარკი ნაგავსაყრელად არის ქცეული. ერთად იყრება ყველა სახის ნარჩენი, სამშენებლო მასალები, ბოთლები, ყუთები, მანქანის ნაწილები... ნაგავსაყრელის გარდა, პარკი სასადილოსა და საპირფარეშოს ფუნქციასაც ითავსებს. მოვაჭრეთა ნაწილი ნაგავსაყრელად მტკვარსაც ასევე წარმატებით იყენებს და განურჩევლად ყრის ყველა სახის ნარჩენს.

ანტისანიტარიაზე არანაკლებ პრობლემას ბაზრობის ირგვლივ ჩამწკრივებული და კორპუსების პირველ სართულზე განთავსებული სახელოსნოები ქმნის. ტრანსპორტით ისედაც გადატვირთულ ქუჩებს ავტოტექმომსახურების ობიექტები უარესად ჭედავს. ამის გარდა, მანქანების გამონაბოლქვი, საბურავების სუნი, მანქანების დაშლის შედეგად დაღვრილი ნავთობპროდუქტები, დაჭრილი მინის მტვერი, გასაყიდად გამოტანილი ქვიშა, ცემენტი და გაჯი ადგილობრივი მცხოვრებლების ცხოვრების პირობებს აუტანელს ხდის. მათი ნერვებისა და ფილტვების მდგომარეობა ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

**"წელიწადნახევარია, კორპუსებში და ბაზრობის გვერდით განლაგებული სახელოსნოების დახურვას ვითხოვთ, დადგენილებაც გამოვიტანეთ და სასამართლოს გადავუგზავნეთ, მაგრამ სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანას საშველი არ დააყენა,"** - აცხადებდა ინსპექციის ხელმძღვანელობა.

ზემოთ დასახელებული ორი პირობიდან ბაზრობის ხელმძღვანელობამ მხოლოდ პირველი შეასრულა, ანუ პარკინგის სისტემა მოაწესრიგა. მეორე, ქუჩების განტვირთვაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა კი ყველამ მიივიწყა. ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია გაუქმდა, სამი უწყებისგან (გარემოს დაცვის სამსახურის, ადმინისტრაციული და სანიტარული ინსპექციებისგან) ახლახან შექმნილი, ზედამხედველობის სამსახური ყველა პრობლემას ვერ აუდის. ქალაქის ხელმძღვანელობას კი, ჯერჯერობით, ელიავას ბაზრობისთვის არ სცალია. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა რამაზ სულამანიძემ განგვიცხადა, ელიავას ბაზრობის ლილოში გადატანის საკითხი დღის წესრიგში ისევ დგას, მაგრამ მერია ჯერ რეორგანიზაციის პროცესით არის დაკავებული. **"თანაც, ახლა ვაჭრობისთვის საუკეთესო სეზონია და მოვაჭრეთა ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ,"** - აცხადებს სულამანიძე. ქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის განმარტებით, ელიავას ბაზრობის საკითხი, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის გადაწყდება.

# იშვიათი პრეცედენტი ქართველი სტუდენტებისათვის

ნინო ნარჩემაშვილი

*"თიბისი ბანკმა" მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა - ESM-თბილისის წლევანდელ ყველა კურსდამთავრებულს საჩუქრად "თიბისი ბანკის" ვიზა საკრედიტო ბარათები გადასცა. ცერემონიალი გუშინ, ბანკის სათავო ოფისში გაიმართა და მას ESM-თბილისის პირველი სტუდენტური თაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.*

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრეცედენტი ქართველი სტუდენტების ცხოვრებაში არც ისე ხშირია. "თიბისი ბანკის" იდეა კი, წარმატებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ვიზა ბარათებითა და მასზე განთავსებული თანხებით დაეჯილდოვებინა, შეიძლება ითქვას, ნოვატორული გახლავთ. მნიშვნელოვანია, რომ დაჯილდოება ESM-თბილისის იუბილეს დაემთხვა - წელს სასწავლებელი ბაკალავრიატის მეათე თაობისა და მაგისტრატურის მეხუთე თაობის გამოშვებას ზეიმობს. საიუბილეოა ESM-თბილისის კურსდამთავრებულთა საერთო რიცხვიც - დაარსების დღიდან სასწავლებელმა ოთხასი დიპლომირებული სპეციალისტი გამოუშვა. ESM-ში აღნიშნავენ, რომ დაჯილდოების იდეა "თიბისი ბანკს" ეკუთვნის, რომელიც მართვის ევროპული უმაღლესი სკოლის - ESM-თბილისის მეგობარი და კორპორატიული პარტნიორი გახლავთ.



დაარსების დღიდან სასწავლებელმა ოთხასი დიპლომირებული სპეციალისტი გამოუშვა.

# "ელექტროკავშირი" "ჭკვიანურად" უნდა გაიყიდოს

## საქართველოს მთავრობას ქართული სატელეკომუნიკაციო გიგანტის პრივატიზებაში საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია დაეხმარება

"ელექტროკავშირი", აწ უკვე - "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია", რომლის ფარული პრივატიზების მცდელობამაც წინა ხელისუფლების დისკრედიტებაში სერიოზული წვლილი შეიტანა, 2006 წელს უნდა გაიყიდოს. დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობას ყოფილი "ელექტროკავშირის" პრივატიზებაში საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია დაეხმარება.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, მიმდინარე წლის ბოლოსთვის საკონსულტაციო კომპანიის შესარჩევად ტენდერი გამოცხადდება. გამარჯვებული კომპანია, სავარაუდოდ, ერთ თვეში გამოვლინდება. ის "საქართველოს ელექტროკავშირში" არსებულ მდგომარეობას და მის სამომავლო პერსპექტივებს შეისწავლის. კერძოდ, აღნიშნული კომპანია შეისწავლის "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" პოტენციალს, ფინანსურ მდგომარეობას, მოამზადებს აუდიტორულ დასკვნას და რეკომენდაციებს, რომელთა მიხედვითაც, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საპრივატიზაციო პირობებს შეიმუშავებს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობა "ელექტროკავშირის" პრივატიზებას, სავარაუდოდ, 2006 წლის მეორე ნახევარში გეგმავს. "საქართველოს ელექტროკავშირი" სატელეკომუნიკაციო კომპანიაა, რომლის აქციათა 100 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

*24 საათი*

# ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ ჭადრაკის სასახლეში საზოგადოებრივი გაერთიანება "ანტისოროსის" პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას, რომელშიც მონაწილეობა 500-მდე მოქალაქემ მიიღო, ესწრებოდნენ ელიზბარ ჯაველიძე, ანზორ აბრალავა, თემურ ჟორჟოლიანი, მაია ნიკოლეიშვილი, ასევე სხვა პოლიტიკოსები.

"საზოგადოებრივ მოძრაობაში ერთიანდება საქართველოს მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი, რომელიც საქართველოს "სოროსული ანექსიის რეალურ საფრთხეს" აცნობიერებს და მოწოდებულია, წინ აღუდგეს ჩვენი ქვეყნის სოროსიზაციას," - ითქვა გუშინ საზოგადოებრივი გაერთიანების პრეზენტაციაზე.

მოძრაობა "ანტისოროსი" გაერთიანებისკენ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების ექსმინისტრ იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პარტია "სამართლიანობა" საზოგადოებას პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების შეურიგებელი და უკომპრომისო ბრძოლისაკენ მოუწოდებს და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს.

ამ მოთხოვნებით გუშინ ფილარმონიაში პარტია "სამართლიანობის" რიგგარეშე მეოთხე ყრილობა გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ექსპერტთა და მრჩეველთა საბჭო შეიქმნა. რვაკაციანმა საბჭომ ფუნქციონირება უკვე დაიწყო.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინფორმაციით, ექსპერტთა საბჭოში ორი უცხოელი ექსპერტი იმუშავებს, რომლებიც ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ENDI) და ამერიკის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები არიან.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ექსპერტთა საბჭოს ძირითადი ფუნქციაა, დახმარება გაუწიოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მის კაბინეტს კვლევითი და ანალიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. აგრეთვე, საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, თუ რაზე უნდა გაამახვილოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და მისმა სამდივნომ ყურადღება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული პროექტი 2006 წლის ივლისამდე განხორციელდება, თუმცა, შესაძლოა, კიდეც გაგრძელდეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ ყალბი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება შპს "ოდას" ხელმძღვანელობის და ი/მ "ნინო კუხიანიძის" მიერ ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების ფაქტს. გამოძიება ფინანსურ პოლიციაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით წარმოებს **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაჩაღობისთვის ზუგდიდის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 27 წლის მანუჩარ ბულია სამართალდამცველებმა რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ბულია 1997 წლის 4 აპრილს, თანამზრახველებთან ერთად, თავს დაესხა ზუგდიდში მცხოვრებ მარინა ნარმანიას, საიდანაც 8700 აშშ დოლარი გაიტაცა. ქართველი სამართალდმცველები ბულიას ექსტრადირებისათვის მასალებს ამზადებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის საამანათოში 21 წლის მერაბ რ-იანი დააკავეს, რომელსაც საპატიმროში ნარკოტიკული ნივთიერების შეგზავნაში ადანაშაულებენ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, მერაბ რ-იანმა ამანათი პატიმარ ისმალ დრბოევისათვის მიიტანა. ფსიქოტროპული ნივთიერება ტრამადოლ "200-ის" სამი ცალი აბი კანფეტ "ბონიბონის" კოლოფში იყო დამალული. ამ ფაქტს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გორი.** სამართალდამცველებმა თანხის მითვისება-გაფლანგვაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, პოლიციის თანამშრომლებმა ამბროლაურში ავტომანქანა გააჩერეს, რომელსაც ქუთაისში მცხოვრები 33 წლის მერაბ სულაქველიძე მართავდა. მას ავტომანქანით ს/ს "ურავის" კუთვნილი მაღალი ძაბვის დაჭრილი ანძები (წონით 2 ტონა) გადაჰქონდა. პირველადი მონაცემებით დადგინდა, რომ აღნიშნული ტვირთი სულაქველიძეს უკანონოდ მიჰყიდა ს/ს "ურავის" საზოგადოების დირექტორმა, ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშში მცხოვრებმა, 53 წლის მამუკა ყიფიანმა. მიღებული თანხა კი მიითვისა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს რაჭა-ლეჩხუმის შს სამმართველო იძიებს. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნაზარბაევმა ყაზახური გაზი "ჩამოიტანა"

პირველი გვერდიდან

ნაზარბაევი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ყაზახური გაზის ტრანსპორტირება რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. **"ჩვენ შევძლებთ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას. რუსეთთან, რომლის ტერიტორიაზეც გადის ტრანზიტი, ჩვენ ბევრი საერთო სარფიანი პროექტი გვაკავშირებს,"** - აღნიშნა ნაზარბაევმა.

რუსეთთან საერთო ინტერესები გაიხსენა მიხეილ სააკაშვილმაც: **"საქართველოში არაერთი რუსული საწარმოა, რომლებიც ასევე მოიხმარენ ბუნებრივ აირს. გაზის მიწოდებისა და ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის საკითხი საქართველოს, ყაზახეთის და რუსეთის ერთობლივ ინტერესებში შედის... ცხადია, არის პრობლემები პოლიტიკურ რიტორიკასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსული ბიზნესი უკვე დაიძრა საქართველოსკენ და ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ყაზახეთის პრეზიდენტის თქმით, საქართველოში ინვესტიციების დასაბანდებლად ყაზახური კაპიტალიც მზადაა. ნაზარბაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყაზახეთი საქართველოში განსაკუთრებით პორტებისა და რკინიგზის განვითარებითაა დაინტერესებული, რადგან, მისი თქმით, საქართველოს ტერიტორია საკმაოდ მომგებიანი და პერსპექტიულია ნავთობისა და მშრალი ტვირთების ტრანზიტის თვალსაზრისით.

**"ჩვენ გვინდა, გავიდეთ შავ ზღვაზე ჩვენი ნავთობით, სხვადასხვა საქონლით, ტვირთებით. ჩვენ გვინდა, მივიღოთ მონაწილეობა საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესში; გვინდა, შევიძინოთ და ავაშენოთ აქ სამრეწველო ობიექტები; გვინდა, გვქონდეს ტურიზმის ობიექტები შავი ზღვის სანაპიროზე; დაინტერესებული ვართ ქართული ღვინისა და ციტრუსების იმპორტით; ასევე, გვინდა, საქართველოში ყაზახური ხორბალი და სხვა პროდუქტები შემოვიტანოთ,"** - განაცხადა ნაზარბაევმა და საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკური რეფორმები მოუწონა. **"დავრწმუნდი, რომ საქართველოში სტაბილურობა და კარგი საინვესტიციო გარემოა,"** - აღნიშნა მან.



პრეზიდენტებმა რესპუბლიკის მოედანი დაათვალიერეს.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს პრეზიდენტი ყაზახ კოლეგას დაჰპირდა, რომ 2009 წლისთვის ეუთო-ს თავმჯდომარის პოსტზე საქართველო მხარს ყაზახეთს დაუჭერს. **"ყაზახეთი ამ ორგანიზაციის რიგითი თავმჯდომარე არ იქნება. იგი შეძლებს, ეს ორგანიზაცია რეგიონში ქმედითუნარიან მექანიზმად აქციოს. სიმართლე უნდა ითქვას, აქამდე ეუთო რაიმე განსაკუთრებულ როლს რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში არ ასრულებდა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ყოველგვარი სეპარატიზმის წინააღმდეგ გამოდის.

ნაზარბაევის თქმით, **"საერთაშორისო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში საქართველო და ყაზახეთი ერთ პოზიციას იცავენ". "ჩვენი ქვეყნები ანტიტერორისტული კოალიციის მხარდამჭერები არიან, იბრძვიან ნარკომანიისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ..."** - ჩამოთვალა ნაზარბაევმა.

რეგიონულ თანამშრომლობაზე საუბრისას, ყაზახეთის პრეზიდენტმა არც რუსეთი დაივიწყა და იმედი გამოთქვა, რომ ამ თანამშრომლობას რუსეთიც შეუერთდება: **"რუსეთსაც ხელს აძლევს, თუ მის გარშემო კეთილგანწყობილი, ეკონომიკურად განვითარებული და სტაბილური მეზობლები იქნებიან."**

გუშინდელ პრესკონფერენციაზე საკმაოდ ბევრი ისაუბრეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. ნაზარბაევის თქმით, ეს ნავთობსადენი ყაზახეთის მთავარი ეკონომიკური ინტერესია საქართველოში. **"ბათუმის პორტის მონახულების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ პორტს უდიდესი პოტენციალი აქვს. სარკინიგზო ხაზს ბაქოდან შავ ზღვამდე ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ყაზახეთისთვის,"** - აღნიშნა მან.

მისი თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში, ძირითადად, სწორედ ყაზახური ნავთობი გაივლის. **"ათი წლის შემდეგ ყაზახეთი აპირებს, მსოფლიო ბაზარზე ნავთობმიმწოდებელთა ათეულში შევიდეს, ამიტომ მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საკმარისი არ იქნება. ჩვენ გვინდა, ძველი ნავთობსადენიც ავამოქმედოთ და იგი საქართველოს მხრიდან აღვადგინოთ. საქართველოსთვის ეს შემოსავლის საკმაოდ სარფიანი წყარო იქნება, ჩვენ კი მსოფლიო ბაზარზე ჩვენს ნავთობს გავიტანთ,"** - აღნიშნა ნაზარბაევმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე საუბარი, აგრეთვე, ახალქალაქი-ყარსის გზის მშენებლობასაც შეეხო. ორივე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ გზის ამოქმედებას უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა ექნება.

საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ საქართველოსა და ყაზახეთს შორის ახალი ავიარეისები - ბათუმი-თბილისი-ასტანა, თბილისი-ასტანა და თბილისი-ალმატი დაინიშნება.

ყაზახეთის პრეზიდენტმა, რომელიც თბილისში უკანასკნელად ათი წლის წინ იყო, თბილისის დათვალიერებაც მოახერხა. პრეზიდენტებმა ერთობლივად მოინახულეს რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შეგახსენებთ, რომ მოედნის რეკონსტრუქციით სწორედ უმსხვილესი ყაზახური ბანკი "ტურან ალემია" დაკავებული.

ყაზახეთის სამთავრობო დელეგაციის საქართველოში სტუმრობისას ხელი მოეწერა მემორანდუმებს: საქართველოსა და ყაზახეთის მოქალაქეების მიმოსვლის შესახებ; 2006-2010 წლების სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის პროგრამის შესახებ. გარდა ამისა, აჭარის ხელისუფლებასა და ყაზახეთის ოლქის მანგისტაუს ხელმძღვანელობას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ.

# თურქეთი - ევროკავშირის წევრი?

ავსტრია თურქეთის ევროკავშირში სრულუფლებიან წევრად მიღებას ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ ანკარას მხოლოდ "პრივილეგირებული პარტნიორის" სტატუსი უნდა მიენიჭოს. ავსტრიის მკაცრ პოზიციასთან დაკავშირებით თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ერდოგანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების ჩაშლა ზიანს მიაყენებს "ცივილიზაციათა ალიანსის შექმნის პროექტს".

მისი თქმით, ევროპის ლიდერებმა აუცილებელია, "პოლიტიკური სიმწიფე გამოავლინონ და იქცნენ გლობალურ ძალად", წინააღმდეგ შემთხვევაში "ქრისტიანთა კლუბი" თავის არსებობას დაასრულებს. თურქეთი ევროპის კავშირს აფრთხილებს, რომ ავსტრიის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატივას არ დათანხმდება და შესაძლოა, საერთოდ უარი თქვას მოლაპარაკებაზე. ჯერ კიდევ პარასკევს, 30 სექტემბერს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურსულა პლასნიკმა განაცხადა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში შეშფოთებას გამოთქვამენ უპირატესად მუსლიმანური თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ავსტრიაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, ამ ქვეყნის მცხოვრებთა 73 პროცენტი ვარაუდობს, რომ თურქეთსა და ევროკავშირს შორის კულტურული სხვაობა მეტისმეტად დიდია იმისთვის, რომ ანკარას ევროკავშირში შესვლის უფლება მისცენ. მთლიანად გაერთიანებულ ევროპაში ამ თვალსაზრისს მოსახლეობის 54 პროცენტი იზიარებს.

# სამართალდამცავები პარლამენტში შეიჭრნენ

*ტერორისტული დაჯგუფება "ჰამასი" შეიარაღებული დაპირისპირების გამართვას საკუთარი ქვეყნის სამართალდამცავთა წინააღმდეგაც აღარ ერიდება. კვირას მომხდარი სისხლიანი ინციდენტით აღშფოთებული პალესტინელი პოლიციელები, გუშინ ავტონომიის საპარლამენტო სხდომაზე შეიჭრნენ. ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში განხორციელებული სროლების ფონზე ავტონომიის სამართალდამცავნი ხელისუფლებისგან ტერორისტული ორგანიზაციის ქმედებათა აღკვეთასა და მათი უსაფრთხოების დაცვას ითხოვდნენ.*

ნანა ნასყიდაშვილი

ათობით შეიარაღებული პალესტინელი სამართალდამცავი გუშინ ღაზას სექტორში გამართულ პალესტინის ავტონომიის პარლამენტის სხდომაზე შეიჭრა. პოლიციელები ტერორისტული დაჯგუფება "ჰამასი"-ს მხრიდან ტერორის შეჩერებასა და ავტონომიის ხელისუფლებისგან საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვას მოითხოვდნენ. სამართალდამცავები პროტესტს ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში სროლით გამოხატავდნენ. **"ჩვენ გვსურს, ავტონომიის ხელისუფლებამ ხმა აიმაღლოს "ჰამასი"-ს წინააღმდეგ. ჩვენ, პოლიციელები ვიცავთ ხელისუფლებას, ის კი საპასუხოდ არაფერს აკეთებს,"** - აღნიშნა ერთ-ერთმა სამართალდამცავმა. პროტესტის ასეთი ფორმა კვირას "ჰამასი"-ს დაჯგუფებასთან მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია. კერძოდ, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა სამართალდამცავებს ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც ისინი ავტომანქანის გაჩერებასა და დაჯგუფების წევრთა განიარაღებას შეეცადნენ (ავტომანქანაში დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის, ცნობილი ტერორისტის აბედა აზიზა რანთისის ვაჟი, მუჰამედ რანთისიც იმყოფებოდა). "ჰამასი"-ს წევრებმა ღაზას სექტორსა და დევნილთა ბანაკ შატიში მდებარე პოლიციის განყოფილებებზეც მიიტანეს იერიში. ექვსსაათიანი შეტაკების შედეგად, დაიღუპა დევნილთა ბანაკის პოლიციის უფროსის მოადგილე, ალი მაქაული, ხოლო 40-მდე ადამიანი მძიმედ დაიჭრა. "ჰამასი"-ს ხელმძღვანელობამ თავის აქტივისტებს, მდგომარეობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, ქუჩაში იარაღის გარეშე გამოსვლისკენ მოუწოდა.

საგულისხმოა, რომ პალესტინელებს შორის ასეთი სახის დაპირისპირება ბოლოს 1996 წელს მოხდა.

## ორი სიტყვით

**ინდონეზია.** ინდონეზიის კუნძულ ბალიზე სამი კამიკაძე-ტერორისტის მიერ განხორციელებული აფეთქების შემდეგ, ახალი ტერაქტების თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნის ხელისუფლებამ უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები მიიღო. პოლიცია ტერორისტების მიერ გამოყენებული ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებაში ეჭვმიტანილ პირებს ეძებს. შაბათს, ბალიზე მომხდარი აფეთქებების შედეგად 26 ადამიანი დაიღუპა და 100-ზე მეტი დაიჭრა. დაღუპულთა შორის უცხოელებიც არიან. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით საკუთარ თავზე არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია. ინდონეზიის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ აფეთქებების უკან "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული დაჯგუფების - "ჯემაა ისლამიას" წევრები დგანან. **ინერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** ჩეჩნეთში სოფელ ზნამენსკოეში 19 ივლისს განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორი მოკლეს. როგორც რუსული მედია ჩეჩნეთის რესპუბლიკის შსს-ს წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყება, გროზნოს რაიონის ე.წ. ემირი სუპიან არსანუკაევი კვირას, საღამოს, სტაროპრომისლოვსკის რაიონის ქალაქ ივანოვში სპეცოპერაციის დროს გაანადგურეს. მისი ლიკვიდაცია იმ სახლში მოხდა, სადაც ის ქირით ცხოვრობდა. სუპიან არსანუკაევი ზნამენსკოში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორად ითვლება. 19 ივლისს ავტომანქანის აფეთქების შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის 11 მილიციელი. **ინერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ტაჯიკეთი.** ტაჯიკეთის დასავლეთში ავტობუსის აფეთქების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. როგორც სააგენტო "როიტერი" ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებზე დაყრდნობით იუწყება, თხევად გაზზე მომუშავე ავტობუსის აფეთქების მიზეზი მეორე ავტობუსთან შეჯახება გახდა. კატასტროფა კვირას, ტაჯიკეთის დედაქალაქიდან 50 კმ-ში დუშანბე - კურგან-ტიუბეს ტრასაზე მოხდა. ჯერჯერობით მხოლოდ 15 მგზავრის ამოცნობა მოხერხდა. **ინტერპრესნიუსი**

# ბელარუსი ხავერდოვანი რევოლუციის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

დემოკრატიული ძალების ეროვნულ კონგრესზე გამართული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ალექსანდრ მილინკევიჩმა 399 ხმა მიიღო და 8 ხმით გაუსწრო თავის მთავარ კონკურენტს, გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის თავმჯდომარეს ანატოლი ლებედკოს.

კონგრესის ჩატარებისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას, ერთი შეხედვით, ხელი არ შეუშლია, პოლონეთის სეიმის ორ დეპუტატს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც ბელარუსის საზღვარზე დააკავეს. ფორუმზე დაუბრკოლებლად მოხვდნენ მინსკში აკრედიტებული 12 დიპლომატიური მისიის, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის წარმომადგენლები; ასევე - რუსეთის მემარჯვენე ძალთა კავშირის ლიდერი ნიკიტა ბელიხი და პარტია "იაბლოკო"-ს წარმომადგენელი გალინა მიხალევა.

ამას გარდა, ფორუმის მუშაობის პირველ დღეს შენობასთან, სადაც ოპოზიციონერები სხდომას მართავდნენ, ჰომოსექსუალისტებმა მიტინგი გამართეს და ოპოზიციას სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. უცხოური მედია არ გამორიცხავს, რომ ეს აქცია, ოპოზიციონერთა დისკრედიტაციის მიზნით, ხელისუფლების მიერ იყო ინიცირებული.

სიტყვით გამოსვლისას ოპოზიციის ლიდერმა ფორუმის მონაწილეებს შეახსენა, თუ რა საფრთხესთან არის დაკავშირებული ბელარუსის ხელისუფლების პირობებში ის როლი, რომელიც მას დაეკისრა. ბელარუსის რეჟიმის არაერთი ცნობილი ოპონენტი გაუჩინარდა ან საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა, მათ შორის - გენადი კარპენკო, იური ზახარენკო, ვიქტორ გინჩარი, ანატოლი კრასოვსკი.

"24 საათი" ალექსანდრ მილინკევიჩს მინსკში ტელეფონით დაუკავშირდა. პირველი, რაც ოპოზიციონერმა ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, იყო ის, რომ ბელარუსს და ოპოზიციას წინ დიდი ბრძოლა ელის.

**"ერთიანი კანდიდატის არჩევა ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ოპოზიციას სჭირდება, რომ დემოკრატიული ძალები ერთმანეთის კონკურენტები არ იყვნენ. მაგრამ ყველაზე მთავარი ახლა ერთიანი გუნდის შექმნაა. ჩვენთვის გამარჯვება იქნება არა ერთიანი კანდიდატის გაყვანა, არამედ ბელარუსის დემოკრატიზაცია,"** - აღნიშნა მან.

მილინკევიჩი დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის ძალა ერთიანობაშია და გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ამის გამო, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა შეიქმნას ოპოზიციის საარჩევნო შტაბები, ჯერ - დედაქალაქში, შემდეგ - ყველა რეგიონში. ამ შტაბებში კი სხვადასხვა პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უნდა გაერთიანდნენ.

შემდგომი ნაბიჯი არის პროგრამის შემუშავება, რომელიც არა მილინკევიჩის, არამედ ერთიანი ოპოზიციის პროგრამა იქნება და რომლითაც ლიდერი ხალხის წინაშე წარდგება.

**"ამის შემდეგ კი ჩვენ ძალზე რთული ბრძოლა გველის, რადგან ბელარუსში ოპოზიციისთვის ტელევიზიისკენ, რადიოსკენ გზა ჩაკეტილია. ჩვენი მთავარი მიზანი წარმატებული საარჩევნო კამპანიის ჩატარებაა და იმედი გვაქვს დამოუკიდებელი პრესის, რომლის რაოდენობაც ბოლო პერიოდში ორჯერ შემცირდა. ამას გარდა, იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ იატაკქვეშა გაზეთების გამოშვებას,"** - ამგვარია ერთიანი ოპოზიციის მიერ გადასადგმელი შემდგომი ნაბიჯები.

რაც შეეხება გამარჯვების შანსებს, მილინკევიჩი ამბობს, რომ 2006 წელს ბელარუსში არა არჩევნები, არამედ პრეზიდენტის ხელახალი დანიშვნა იქნება, შედეგების ტოტალური ფალსიფიცირებით. პრეზიდენტობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ რაც არ უნდა მოხდეს და არჩევნებზე მოსახლეობამ ხმა ვისაც არ უნდა მისცეს, შედეგად მაინც გამოცხადდება, რომ ლუკაშენკომ ხმათა, მინიმუმ, 75 პროცენტი დააგროვა.

**"ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ მონაწილეობას ვიღებთ არა არჩევნებში, არამედ პოლიტიკურ კამპანიაში, ჩვენ მივდივართ ხალხთან. ქუჩაში გამოსვლის გარეშე, როგორც ეს იყო საქართველოში, უკრაინაში, ტოტალიტარულ რეჟიმზე გამარჯვება წარმოუდგენელია. ის საკუთარ მარცხს არასოდეს აღიარებს,"** - ასეთია ოპოზიციის სტრატეგია.

ალექსანდრ მილინკევიჩი ხაზგასმით ამბობს, რომ ის, რაც საქართველოსა და უკრაინაში მოხდა, არ იყო რევოლუცია პირდაპირი გაგებით - არ დაღვრილა სისხლი და არ შეცვლილა კონსტიტუცია. "ვარდების რევოლუციისა" და "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს, ხალხი, უბრალოდ, იდგა და საკუთარ უფლებებს იცავდა.

**"ჩვენ ამას თავიდან ვერ ავიცილებთ, სხვა გზა არ არის და ერთადერთი, რასაც ღმერთს ვთხოვ, არის ის, რომ სისხლი არ დაიღვაროს,"** - განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

იგივე პოზიციას აფიქსირებს ბელარუსის კიდევ ერთი ოპოზიციონერი სტანისლავ შუშკევიჩი, რომელიც ასევე მონაწილეობდა ერთიანი კანდიდატის არჩევნებში. **"აქაური მდგომარეობა შევარდნაძის საქართველოსას ვერ შეედრება. აქ ტოტალური ფალსიფიკაციაა,"** - განაცხადა მან ჩვენთან საუბარში და განმარტა, რომ ოპოზიციას სამუშაო კიდევ ძალიან ბევრი აქვს. **"მხოლოდ არჩევნებით დიქტატურას ვერ დაამარცხებ, ამიტომაც ბელარუსში კარდინალური ცვლილებები არჩევნებამდეც არის მოსალოდნელი,"** - დასკვნის სახით აღნიშნა შუშკევიჩმა. ამასობაში, ბელარუსის მოქმედი პრეზიდენტი საკუთარ მოღვაწეობას მშვიდად "ასრულებს", ოპოზიციონერთა ქმედებას კი "წინასაარჩევნო ისტერიას" უწოდებს.

# პარლამენტი რამდენიმე ფრონტზე იბრძვის

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, 11-13 ოქტომბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგში პირველ საკითხად შეტანილია დადგენილების პროექტი "ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ". ამით საკანონმდებლო ორგანო ერთგვარად მიანიშნებს, რომ რუსი სამშვიდობოების საქართველოდან (შესაძლო) გაყვანის ვადების დაკანონება პრიორიტეტულად მიაჩნია.*



პარლამენტს რუსი სამშვიდობოების საქართველოდან გაყვანის ვადების დაკანონება პრიორიტეტულად მიაჩნია.

**"მთლიანობაში, ძალიან კარგი ტექსტი გამოვიდა,"** - დადგენილების პროექტზე მომუშავე ჯგუფის გარჯით კმაყოფილია პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც იმედოვნებს, რომ შესაბამის გადაწყვეტილებას პარლამენტი ერთსულოვნად მიიღებს.

თუ რუსი სამშვიდობოების მიმართ უმრავლესობასა და ოპოზიციას საერთო პლატფორმა აქვს, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით იმ დროებით საგამოძიებო კომისიასთან დაკავშირებით, რომელმაც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნეს-ინტერესები უნდა გამოიკვლიოს. ეს საკითხი ადგილიდან ჯერ არ დაძრულა. გაურკვეველია კომისიის წევრთა რაოდენობის, მისი თავმჯდომარისა და შემადგენლობის საკითხი. უთანხმოების თავი და თავი კი ის არის, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია ვერ თანხმდებიან, რა პროპორციით უნდა იყვნენ ისინი წარმოდგენილნი კომისიაში.

ორივე მხარის წარმომადგენლები ხმამაღლა აცხადებენ, რომ კობა ბექაურის სახელთან დაკავშირებული სკანდალი მიუკერძოებელმა და ნეიტრალურმა დეპუტატებმა უნდა გამოიძიონ, თუმცა, პარლამენტარი ნოდარ გრიგალაშვილი ამას, პრაქტიკულად, შეუძლებლად მიიჩნევს.

**"ნეიტრალურ ადამიანებს თუ ვეძებთ, მაშინ მიცვალებულები უნდა ამოვთხაროთ სამარიდან,"** - განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს მიუკერძოებელი კანონმდებლები ცოცხლებს შორის არ ეგულება.

უამრავ სხვა საკითხთან ერთად, მომავალ სასესიო კვირაში პარლამენტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტსაც განიხილავს, რომელიც წინა პლენარულ სხდომაზე მოულოდნელად გადაიდო. მაშინ ამის მიზეზად დასახელდა ის, რომ მომხსენებელი, ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი მივლინებაში იმყოფებოდა, ამასთან, დასაზუსტებელი იყო საბიუჯეტო ცვლილებების ზოგიერთი დეტალი.

**"იმედი მაქვს, რომ მთავრობა განხილვისთვის ამჯერად მზად იქნება და სხდომას ფინანსთა მინისტრი აუცილებლად დაესწრება,"** - ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გაჟღერებული, ნინო ბურჯანაძის ეს მოთხოვნა შეიძლება იმის ნიშნად ჩავთვალოთ, რომ ალექსი ალექსიშვილს საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან საყვედურების მოსმენა მოუწევს.

ჯერჯერობით კი, საბიუჯეტო თემატიკის ირგვლივ მხოლოდ ოპოზიცია აქტიურობს.

**"მთავრობამ აბსოლუტურად სხვა კანონპროექტი შემოიტანა. ეს ის დოკუმენტი არ არის, რომელიც საკომიტეტო მოსმენების დროს განვიხილეთ. თანხები სულ სხვა საბიუჯეტო მუხლებს აკლდება ან ემატება,"** - საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის გადასხვაფერებით გაოცებულია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ზურაბ ტყემალაძე. ამაზე სახელისუფლებო გუნდს შემდეგი პასუხი აქვს: **"მთავრობა ამბობს, რომ დეპუტატების შენიშვნები და მოთხოვნები გაითვალისწინა და დოკუმენტი ამიტომ შეიცვალა."**

კანონმდებლებს ნინო ბურჯანაძემ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ასეთი დავალებაც მისცა: პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას გამოეხმაურონ და მუშაობა დაიწყონ დოკუმენტზე, რომლითაც ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები უნდა განისაზღვროს.

EURASIAN UNDERGRADUATE EXCHANGE PROGRAM

გსურთ ისწავლოთ ამერიკისშეერთებულ შტატებში?

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იწვევს პირველ, მეორე და მესამე (ხუთწლიანი სწავლების შემთხვევაში) კურსის სტუდენტებს საქართველოდან მონაწილეობა მიიღონ 2006-2007 წლის ევრაზიის სტუდენტური გაცვლითი პროგრამის(UGRAD) ღია კონკურსში. გამარჯვებულები გაემგზავრებიან სასწავლებლად ამერიკის უნივერსიტეტში ან კოლეჯში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საქართველოს IREX-ის ოფისს ან იხილეთ ვებ-გვერდი: www.irex.org.

IREX საქართველო,თბილისი 0162, ნიკო ნიკოლაძის ქ. №8

ტელ: (995 32) 29 19 05, 91 26 09, www.irex.ge, ugrad@irexonline.ge

ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადა: 2005 წლის 7 ნოემბერი, 17:00

UNITED STATES EDMUND S. MUSKIE Graduate Fellowship Program

Bureau of Educational and Cultural Affairs

სამაგისტრო ხარისხის მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში!

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იწვევს კურსდამთავრებულებს და პროფესიონალებს საქართველოდან მონაწილეობა მიიღონ 2006-2007 წლის ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამის ღია კონკურსში (Muskie). ეს პროგრამა საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს მიიღონ მაგისტრის ხარისხი ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტში. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საქართველოს IREX-ის ოფისს ან იხილეთ ვებ-გვერდი: www.irex.ge

IREX საქართველო, თბილისი 0162, ნიკო ნიკოლაძის ქ. №8

ტელ: (995 32) 29 19 05, 91 26 09, www.irex.ge, muskie@irexonline.ge

ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადა: 2005 წლის 31 ოქტომბერი, 17:00

# ფერმერებმა მიწის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატები მიიღეს

საქართველოში მიწის ბიზნესის განვითარება იწყება, რასაც სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია უწყობს ხელს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ, გუშინ, მიწის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატი იმ ფერმერებს გადასცეს, რომლებმაც, საქართველოში პირველად, სასოფლო-სამეურნეო მიწა შეისყიდეს.

მიწის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატი გუშინ, საგარეჯოში მცხოვრებ, მოიჯარე ჯაჰან ჰუსეინოვს, აბრამ სამხუაშვილს და შ.პ.ს. "პატარძეულის" დირექტორს ოთარ ბუჩიაშვილს გადაეცა.

აღნიშნული პირები მიწის მესაკუთრეები პარლამენტის მიერ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" კანონის მიღების შედეგად გახდნენ. კანონის მიხედვით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზება შეუძლია.

პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის ივლისში მიღებული კანონის შესაბამისად, დაწყებულია სახნავი, სათიბი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების პრივატიზების პროცესი.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული კანონის ამოქმედების მიზანია ქვეყანაში მიწის ბაზრის განვითარება.

**"ეს ფერმერები არიან პირველები, ვინც სასოფლო-სამეურნეო მიწები შეისყიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი ამოქმედდა. დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია. ეს არის ძალიან სერიოზული ნაბიჯი, რაც ამ სფეროში სერიოზული ბიზნესინტერესების ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს,"** - განაცხადა დამენიამ.

სასოფლო-სამეურნეო მიწების 55 პროცენტი კერძო საკუთრებაში 1992-1998 წლებში გადაიცა. დარჩენილი 45 პროცენტის პრივატიზება უახლოეს პერიოდში განხორციელდება, საიდანაც ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 80 მილიონ ლარზე მეტი შევა.

**"მოხარული ვარ, რომ ამ მიწას არამარტო ქართველი, არამედ არაქართველი ეროვნების მოქალაქეებიც შეისყიდიან. ბედნიერი ვარ, რომ მათ ამ მოწმობებს პირადად გადავცემ,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

კანონის თანახმად, საქართველოში მიწების პრივატიზების სამი ფორმა განხორციელდება. ერთ-ერთი ფორმის მიხედვით, მოიჯარეებისთვის მიწების მიყიდვა იჯარით გაცემული მიწების პირდაპირი მიყიდვის წესით მოხდება. მიწის შესასყიდად, მოიჯარეები ყოველწლიური იჯარის საფასურის გაათმაგებულ თანხას გადაიხდიან. მოიჯარეების მიერ მიწის გამოსყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ღია აუქციონი ჩატარდება. იჯარით გაუცემელი მიწების პრივატიზება კი დახურული აუქციონების გზით განხორციელდება. შესყიდვა დაიშვება განვადებით - მაქსიმუმ, 9 წელი.

დღეისათვის პრივატიზაციას ექვემდებარება დაახლოებით 360 000 ჰექტარი მიწა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში 1 643 000 ჰექტარი რჩება, ძირითადად, საძოვრების სახით.

*24 საათი*

# სამი რეკომენდაცია

## სავალუტო ფონდის ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტი რეგიონში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას პოზიტიურად აფასებს

*საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტმა რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარება პოზიტიურად შეაფასა და რეგიონში შემავალ ქვეყნებს სამი რეკომენდაცია მისცა. კერძოდ, ნავთობექსპორტიორებს - ხარჯების გაზრდა, ხელისუფლებებსა და ფისკალურ უწყებებს კი - ზედამხედველობის გამკაცრება და ინფლაციური ზეწოლის შესუსტებაზე ზრუნვა ურჩია.*
*ცნობისათვის: ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დეპარტამენტში, საქართველოსთან ერთად, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შედიან.*

გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლო აღმოსავლეთისა და დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ჯულიან ბერენგომ ჟურნალისტებს ბიზნესის, დიპლომატიური კორპუსისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა წარუდგინა. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დეპარტამენტმა ბოლო წლებში ჩატარებული დაკვირვებების შედეგად შეიმუშავა, მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების ფართო კრებულს წარმოადგენს, სადაც განხილულია რეგიონში შემავალი ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების მიმართულებები და პოლიტიკა.

ანგარიშში, აგრეთვე, განხილულია ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდის მაკროეკონომიკური გავლენა რეგიონის ნავთობის ექსპორტიორებზე და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის მიერ გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენციის საპასუხოდ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები.

ეკონომიკის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მაკროეკონომიკური მდგომარეობა 2004 წელს კვლავაც ჯანსაღი იყო. თუმცა, არსებობს ფარული რისკები, რომლის შესახებაც სავალუტო ფონდი რეგიონში შემავალ ქვეყნებს აფრთხილებს.

სავალუტო ფონდი რეგიონის ქვეყნებს სამ ძირითად რეკომენდაციას აძლევს. კერძოდ, ფონდის რჩევებია: ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა უნდა გაზარდონ ხარჯები და წვლილი შეიტანონ გლობალური ფინანსური დისბალანსის შემცირებაში; ქვეყნებმა, რომლებსაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გააჩნიათ და რეალური გაცვლითი კურსის გამყარებას განიცდიან, ნომინალურ გაცვლით კურსს გამყარების საშუალება უნდა მისცენ, რათა შეიზღუდოს ინფლაციური ზეწოლა; და ბოლოს - სავალუტო ფონდი, ზოგიერთ ქვეყანაში აქტივების ღირებულების სწრაფი ინფლაციის გათვალისწინებით, აუცილებლობად მიიჩნევს ზედამხედველი ორგანოების ყურადღების გააქტიურებას, რათა ფასების მკვეთრი კორექტირების რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციაზე, რომ საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა რეალურ გაცვლით კურსს უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ, კომენტარი გააკეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა. **"მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა არ დაუშვან ინფლაცია და ხელი შეუწყონ ეკონომიკის ზრდას. ამასთან, შესაძლებლობა მისცენ ქვეყნის ეკონომიკას, მდგრადი განვითარების ტემპები შეინარჩუნოს,"** - განაცხადა მინისტრმა. მისივე შეფასებით, ეს სავალუტო ფონდის მთავარი რეკომენდაციაა.

*24 საათი*

# თბილისში გაერო-ს მოსახლეობის ფონდისა და "გლობალ ფონდის" ერთობლივი კონფერენცია გაიხსნა

ოთხდღიანი კონფერენცია, რომელიც გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" გაიხსნა, გაერო-ს მოსახლეობის ფონდისა და "გლობალ ფონდის" ერთობლივ მუშაობას მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობას გაერო-ს მოსახლეობისა და გლობალური ფონდების წარმომადგენლები და ევროპელი პარტნიორები იღებენ.

კონფერენციის თემაა: "ახლებური სტრატეგიებისა და ალტერნატივების ძიება აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში განხორციელებული გლობალური ფონდის პროექტებისთვის ტექნიკური დახმარების გასაწევად."

კონფერენციაზე განიხილავენ აივ-შიდსის პრევენციის სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებს. "პარტნიორობა და თანამშრომლობა გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ძირითადი სტრატეგიაა, ამიტომ, მისი თანამშრომლობა გლობალურ ფონდთან, რომელიც შექმნილია შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია," - აღნიშნეს კონფერენციაზე.

როგორც ცნობილია, "გლობალ ფონდმა" საქართველოში აივ-შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის 2004-2008 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესასრულებლად 12 მილიონი დოლარი გაიღო, ხოლო შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ საბრძოლველად 128 ქვეყანაში 3 მილიარდი დოლარი გამოყო.

კონფერენციის ორგანიზატორთა განცხადებით, გაეროს მოსახლეობის ფონდის მრავალწლიანი საქმიანობით დაგროვილი გამოცდილების გაზიარება კიდევ უფრო აამაღლებს გლობალური ფონდის პროექტების ეფექტურობას და აივ-შიდსის წინააღმდეგ ერთობლივ ძალისხმევას გააძლიერებს.

*24 საათი*

# იტალიელები თბილისში

*გუშინ, გვიან საღამოს, თბილისს იტალიელ ბიზნესმენთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია ეწვია, რომელსაც იტალიის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე საგარეო ურთიერთობების საკითხებში, ადოლფო ურსო ხელმძღვანელობს. ხვალ დილით, საქართველოში ვიზიტის დასრულებისთანავე, იტალიელი საქმოსნები მეზობელ სომხეთს ესტუმრებიან.*

მარიამ ჭაჭვაძე

იტალიელთა ვიზიტის მიზანი ის ერთდღიანი ქართულ-იტალიური ბიზნესფორუმია, რომელსაც დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტი" უმასპინძლებს. დღის მეორე ნახევარში ფორუმს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი შეუერთდებიან.

დღევანდელი ბიზნესი-ფორუმით სრულდება ის ეკონომიკური კვირეული, რომელიც საქართველოში იტალიის საელჩოს ეგიდით ტარდებოდა. შეგახსენებთ, რომ ფორუმს წინ უძღოდა თბილისში, პირველი იტალიური ნაწარმის სამდღიანი გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობას 40-მდე იტალიური კომპანია ღებულობდა.

დღევანდელი ბიზნესფორუმის დასრულებისთანავე, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და იტალიის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ადოლფო ურსო სასტუმრო "თბილისი მერიოტში" ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

დღესვე დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან, ეკონომიკური განვითარების მინისტრ ირაკლი ჩოგოვაძესთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძესთან და ფინანსთა მინისტრ ალექსი ალექსიშვილთან.

გვიან საღამოს, ადოლფო ურსოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა იგეგმება.

ხვალ დილით კი, იტალიელი სტუმრები თბილისს დატოვებენ და მეზობელ ერევანში გაემგზავრებიან.

სხვათა შორის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში ბიზნესფორუმი იტალიელთა მონაწილეობით უკვე მეორედ იმართება. როგორც ჩანს, იტალიელი მეწარმეები საქართველოში ჩამოსვლით და აქ საქმის კეთებით სერიოზულად დაინტერესდნენ. რიგით პირველი ბიზნესფორუმი თბილისში შარშან შემოდგომაზე ჩატარდა, და როგორც სამთავრობო წრეებში აფასებენ, საკმაოდ წარმატებულადაც. არ არის გამორიცხული, რომ ამჯერად იტალიელები ქართველ კოლეგებთან კონკრეტული ბიზნესპროექტებით ჩამოვიდნენ.

ცნობისათვის: საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოებს შორის, ბოლო სამი წლის განმავლობაში იტალიას მე-11 ადგილი უკავია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა, ანუ იტალიიდან იმპორტირებული საქონლის მოცულობა ექსპორტს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. უფრო კონკრეტულად: მიმდინარე წლის რვა თვეში ჩვენს ქვეყანაში იტალიიდან 38 მილიონ 511 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შემოვიდა, საქართველოდან იტალიაში ექსპორტის მოცულობამ კი ანალოგიურ პერიოდში მხოლოდ 12 მილიონ 312 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტირებულ პროდუქციას შორის პირველ ადგილზეა კაკალი, რასაც ფეროშენადნობები და დახერხილი ხე-ტყის მასალები მოსდევს. იმპორტს შორის კი - მზა ტანსაცმელი, სანტექნიკის მასალები, ავეჯი და საკვები პროდუქტები ჭარბობს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მუხიანის დასახლებაში გუშინ თხევადი გაზის 3 მონობლოკური დანადგარი დაილუქა. ამ მიზნით, ქალაქის ზედამხედველობის სამსახურმა დასახლებაში საგანგებო რეიდი ჩაატარა. როგორც ქალაქის ზედამხედველობის სამსახურში განაცხადეს, მუხიანის დასახლებაში 25-მდე უკანონო და კუსტარულად მოქმედი, თხევადი გაზის მონობლოკი, ე.წ. გაზგასამართი ავზი მუშაობს, რომელიც შესაბამის ნორმებს უნდა დაექვემდებაროს. ზედამხედველობის სამსახური გეგმავს, ანალოგიურად მოქმედი, გაზის მონობლოკების მდგომარეობა მთელ ქალაქში შეამოწმოს. დღეისთვის თბილისში 80-ზე მეტი თხევადი გაზის მონობლოკია, რომელთა უმეტესობა კუსტარული და უკანონოა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული პროდუქციის გამოფენა "საქართველო - ღვინის აკვანი", სადაც, ღვინის მწარმოებლების გარდა, საკუთარ პროდუქციას ლუდის, მედიკამენტებისა და მინერალური რესურსების გადამამუშავებელი კომპანიები წარადგენენ, ხუთშაბათს სტამბულში გაიმართება. გამოფენის ორგანიზატორის, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილის თქმით, გამოფენა-პრეზენტაციაში მონაწილე ქართველ და თურქ მეწარმეებს ერთობლივი ბიზნესპროექტების შემუშავების საშუალება ექნება. გამოფენა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თურქეთში ვიზიტის ფარგლებში მოეწყობა. ნოღაიდელი თურქეთში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ოთხშაბათს გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პრემიერი თემურ ქურხული, შესაძლოა, "საქართველოს რკინიგზის" დირექტორი გახდეს. როგორც ცნობილი გახდა, რკინიგზის ამჟამინდელ ხელმძღვანელს დავით ონოფრიშვილს თანამდებობიდან ათავისუფლებენ. ამ ინფორმაციას უარყოფს პრემიერი ქურხული და აცხადებს, რომ მისთვის ეს თანამდებობა ჯერ არავის შეუთავაზებია. მერიისა და საკრებულოს პრესსამსახურში კი აცხადებენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, რომელიც მომავალ წელს ჩატარდება, თბილისის პრემიერის შეცვლის საკითხი არ დგას. არჩევნების შემდეგ კი, სავარაუდოდ, პრემიერის პოსტი გაუქმდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მორიგი საპრივატიზაციო კონკურსი გამოაცხადა. 60 000 აშშ დოლარად იყიდება რუსთავში მდებარე შპს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტის" 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილი. ინსტიტუტის საქმიანობის სფერო მეტალურგიული და სხვა ობიექტების წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაა. შპს-ს საწესდებო კაპიტალი 93 130 ლარს შეადგენს. მისი დებიტორული დავალიანება 2 427 ლარი, კრედიტორული - 1 000 ლარია. საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველი ვალდებულია, 10 წლის განმავლობაში ინსტიტუტს პროფილი შეუნარჩუნოს და შრომითი კოლექტივის რაოდენობა შენარჩუნდეს; მყიდველმა საპრივატიზაციო თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში უნდა გადაიხადოს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება დღეიდან დაიწყება და 2 ნოემბრამდე გაგრძელდება. კონკურსი 3 ნოემბერს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

# განაცხადი საჯარო ვაჭრობაზე აუქციონის წესით

თარიღი: 04 ოქტომბერი, 2005.
გრანტი N KfW № BMZ 2000 66 373

1. საქართველოს მთავრობამ Kreditanstalt fuer Wiederaufbau (KfW)-გან მიიღო გრანტები 3.56 მილიონი ევროს ოდენობით, რომლებიც გამიზნულია ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამის დასაფინანსებლად, რომელიც ემყარება DOTS სტრატეგიას და ხორციელდება ეროვნული TB პროგრამის, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრის (თბილისი) და მ. იაშვილის სახელობის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს (თბილისი) მიერ. გათვალისწინებულია, რომ ამ გრანტებიდან მიღებული თანხის ნაწილი მოხმარდება გარკვეულ გადასახადებს იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებზეც გაკეთდა განაცხადი საჯარო ვაჭრობაზე აუქციონის წესით.

2. ამჟამად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო იწვევს მსურველ/მყიდველებს შემდეგი საქონელის მოწოდებაზე ფარული განაცხადის გასაკეთებლად:

ლოტი 1: რენტგენოგრაფიული აღჭურვილობა

განაცხადები განიხილება თითოეული ლოტის ფარგლებში ყველა დასახელების ერთეულის რაოდენობის მიხედვით. შეფასება მოხდება თითოეული ლოტის საფუძველზე.

ვაჭრობა წარიმართება საერთაშორისო კონკურენტული ვაჭრობის პირობებში, KfW შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით და ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისთვის.

3. მსურველი მყიდველები არიან მეწარმეები ან მომწოდებლები ეროვნული შეზღუდვის გარეშე. შემოთავაზებული საქონელის წარმოშობის მიმართ რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

4. აუქციონში მონაწილეობით დაინტერესებული მყიდველები შესძლებენ ინგლისურ ენაზე შესრულებული სრული სავაჭრო დოკუმენტაციის მიღებას, მას შემდეგ, რაც წარადგენენ წერილობით განცხადებას, რომელიც გაიცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, რომელიც მდებარეობს გამსახურდიას გამზ. 30, IV სართ., ოთახი 425, 0160 თბილისი, საქართველო. საკონტაქტო პირი ბატონი შალვა ბაღაშვილი, ტელ: +995 32 38 78 83, ელ-ფოსტის მისამართი: health-tend@posta.ge

5. სავაჭრო დოკუმენტაციის მიღება ასევე შესაძლებელია GOPA-ს კონსულტანტების, ბატონი პ. რიმერსმას მხრიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

6. განაცხადი უნდა გაკეთდეს ინგლისურ ენაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელზე, რომელიც მდებარეობს გამსახურდიას გამზ. 30, IV სართ., ოთახი 425, 0160 თბილისი, საქართველო. საკონტაქტო პირი ბატონი შალვა ბაღაშვილი, 2005 წლის 2 დეკემბერს 12 სთ-მდე (თბილისის დროით). განაცხადს/წინადადებას უნდა ახლდეს განაცხადის საგარანტიო თანხა, რაც შეადგენს მყიდველის მიერ შემოთავაზებული ფასის არა ნაკლებ 2% ევროში. განაცხადები გაიხსნება მყიდველთა წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც 2005 წლის 2 დეკემბერს 14.00 სთ-ზე (თბილისის დროით) იქნებიან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მისამართზე, გამსახურდიას გამზ. 30, ოთახი 425, 0160 თბილისი, საქართველო.

7. წარმატებულ მყიდველებს მოეთხოვებათ, რომ საქართველოში შემოტანილი მთლიანი აღჭურვილობის რეგისტრაცია და სერტიფიცირება მოხდეს საქართველოში არსებული წესების შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,
გამსახურდიას გამზ. 30, IV სართ, ოთახი 425,
0160 თბილისი, საქართველო
ფაქსი: +995 32 38 78 83
ტელ: +995 32 38 78 83
ელ ფოსტის მისამართი: health-tend@posta.ge

GOPA consultants
Hindenburgring 18
61348 Bad Homburg, Germany
Att. Mr. P. Riemersma /ბატ. პ. რიმერსმა
ფაქსი: +49 - 6172 - 930550
ტელ: +49 - 6172 - 930534

ელ ფოსტის მისამართი: pieter.riemersma@gopa.de

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939, ფაქსი: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" (პროექტი: N-GEO202-G01-H-00); "*მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში*" (პროექტი N-GEO304-G02-M-00) და "*DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში*" (პროექტი: N-GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში სასტამბო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | პოლიგრაფიული პროდუქციის ტიპი | პოლიგრაფიული პროდუქციის სახეობა | საერთო რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბროშურა | 10 | 13 | 62800 |
| 2 | ბუკლეტი | 1 | 1 | 4000 |
| 3 | ფლაიერი | 1 | 1 | 8000 |
| 4 | კალენდარი | 1 | 1 | 70000 |
| 5 | პლაკატი | 1 | 9 | 33500 |
| 6 | სამახსოვრო | 1 | 4 | 300000 |
| 7 | სახელმძღვანელო | 5 | 5 | 6724 |
| 8 | სტიკერი | 1 | 2 | 20000 |
| 9 | ტრიპლეტი | 2 | 10 | 577000 |

* სპეციფიკაციების დიდი ჩამონათვალის გამო, შესყიდვის ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემსყიდველის ოფისში საკონტაქტო პირებისგან: ნინო მდივანი, ნინო ნადაშვილი, ნინო გულუა, მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939, E-mail: globalfund@caucasus.net.

4. პოლიგრაფიული პროდუქციის მიწოდება უნდა განხორციელდეს: ქ.თბილისში 2006 წლის 31 მარტამდე, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებიული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 18 ოქტომბრის 10:00 საათიდან 19 ოქტომბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

დ) ნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**6.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

ე) წესდება და დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 19 ოქტომბრის 17:30 საათზე.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 20 ოქტომბრის 11:00 საათიდან 21 ოქტომბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

შენიშვნა: საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ერთი დასახელების პოლიგრაფიული პროდუქციის ნაწილის შეცვლა მეორე დასახელების პროდუქციით (10% ფარგლებში) მთლიანი სახელშეკრულებო თანხის ცვლილების გარეშე.

12. ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით გაფორმდება ტენდერში გამარჯვებულ (მიმწოდებელი) პირსა და სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრს" (შემსყიდველი) შორის.

13. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით, ღირებულების 4%-ის ოდენობით.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო მდივანი, ნინო ნადაშვილი, ნინო გულუა მისამართზე ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, ტელეფონი: 331839, 331939, ფაქსი: 331934.

# გია კენჭაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ეჭვები კი კვლავ რჩება

*წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ, გუშინ შუადღისას, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო დატოვა ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა აქტიურმა წევრმა, თანაგუნდელების მიერ სამაგალითოდ დასჯილმა პარლამენტარმა გია კენჭაძემ.*

ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანად გახსნილი საქმის მთავარი გმირი გიორგი კენჭაძე პატიმრობას სასამართლოს გადაწყვეტილებით დაემშვიდობა - იგი პატიმრობიდან ვადამდე ადრე გათავისუფლდა, ე.წ "უდოს" საფუძველზე.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 18 მაისს, კანცელარიის ეზოში ფულის გამოძალვის ფაქტზე წასწრებულ პარლამენტარს, ნაციონალური მოძრაობის აქტიურ წევრს, გიორგი კენჭაძეს გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში დაპატიმრებისთანავე წაუყენეს ბრალი.

ბათუმელი ბიზნესმენის ამირან მამუჩაძისთვის ბიზნესის მფარველობის მოტივით, 100 ათასი დოლარის გამოძალვისთვის, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიცირებული დანაშაულის ჩადენისთვის გიორგი კენჭაძეს სასამართლომ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სამართალდამცველებმა მაშინ გიორგი კენჭაძე წინასწარ დანომრილი 1000 ცალი 100-დოლარიანი კუპიურით სავსე ჩემოდნით ფაქტზე დააკავეს. სამართალდამცველებმა გამოაქვეყნეს საუბრის ჩანაწერებიც, რომელიც ფულის გადამცემებსა და მიმღებს - კენჭაძეს შორის მიმდინარეობდა. თავის დროზე კენჭაძის დაკავების დეტალები სამართალდამცველთა მიმართ პრეტენზიების გამოთქმის საფუძველი გახდა.

ჯერ იყო და, ინფორმაცია გავრცელდა, რომ კენჭაძე მხოლოდ მას შემდეგ დააკავეს, რაც მან ფულით სავსე ჩემოდანი კანცელარიის შენობაში შეიტანა და იქიდან ხელცარიელი გამოვიდა; არსებობდა საპირისპირო ეჭვები იმის შესახებც, რომ კენჭაძეს კანცელარიის შენობაში შესვლა სპეციალურად არ აცალეს.

მსგავსი ეჭვები გააჩინა გავრცელებულ ჩანაწერში ვინმე "ვანოს" ხსენებამ. ფული სწორედ მასთან უნდა მიეტანათ. ეს ინფორმაცია იმთავითვე უარყო მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელსაც კობა დავითაშვილმა მოსთხოვა კიდეც პასუხი იმაზე, თუ რატომ არ აცალეს კანცელარიის შესასვლელამდე მისულ კენჭაძეს შენობაში შესვლა. **"იქნებ მას ფული ვინმე მაღალი თანამდებობის პირისთვის მიჰქონდა, იქნებ ის ვინმეს დავალებას ასრულებდა? არ უნდა ეცადა პროკურატურას ამის გარკვევა?"** - კობა დავითაშვილის ამ მრავალმნიშვნელოვან კითხვას ოქრუაშვილმა ოპერატიული მოსაზრებებით გამყარებული პასუხი გასცა: **"არ იყო გამორიცხული, რომ კენჭაძის მხრიდან უბრალოდ მოტყუებას ჰქონოდა ადგილი და სანამ ჩვენ ველოდით, მას მიმალვა მოეხერხებინა. ამასთან, კანცელარიის შენობაში შესვლის საშუალება რომც მიგვეცა, იქ მისი დაკავება გაჭირდებოდა."**

სხვათა შორის, კენჭაძის დაკავებისას გაჩენილი ეჭვები არავის გაუქარწყლებია, ის კვლავ დღის წესრიგშია - ოპოზიცია ხელისუფლებას "კენჭაძის საქმეს" დღესაც უხსენებს.

**"არ ვაპირებ ვიმართლო თავი, ან როგორ უნდა ვიმართლო, როცა ფაქტი იყო დაფიქსირებული. ამ საქმეში არანაირი მაღალი თანამდებობის პირი არ ყოფილა გარეული. პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი მაქვს, თუ იქნება ამის შესაძლებლობა და თუ დავჭირდები ქვეყანას,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა "24 საათთან" საუბრისას პატიმრობიდან გათავისუფლებულმა გია კენჭაძემ. **24 საათი**

# რუსი მესაზღვრეები საქართველოს მოქალაქეებს იტაცებენ

პირველი გვერდიდან

**მთაში ჩვენი ტერიტორიიდან სათავეს იღებს მდინარე სიმური და შემდეგ უკვე დაღესტანში მიედინება. იქ ბევრჯერ დამიჭერია კალმახი, ახლაც სათევზაოდ წავედით. ვიფიქრეთ, უცებ იმათ მხარეს არ მოვხვდეთ, მით უმეტეს, რომ საზღვარზე ნიშანიც არ არის, მაგრამ რაკი არაფერს ვაშავებდით, თევზაობა გავაგრძელეთ. უკვე წამოსვლას ვაპირებდით, როცა თავზე ავტომატებით შეიარაღებული რუსი მესაზღვრეები დაგვადგნენ, ეტყობა გვითვალთვალებდნენ და დაგვიჭირეს. ორი წინ წაგვიძღვა, სამი იარაღმომარჯვებული უკან მოგვდევდა,"** - იხსენებს ყოფილი ტყვე გია დვალიშვილი. ამის შემდეგ ქართველები სოფელ ბეჟიტაში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მიჰყავთ.

გია დვალიშვილი და ლაზარო პაპოვი რუსი მესაზღვრეების ტყვეობაში ხუთი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. **"ჩვენ რომ მიგვიყვანეს, იქ ერთი სიღნაღელი მოხუციც ჰყავდათ დაკავებული, რომელიც ჩვენი სოფლის მწყემსია. ეტყობა, ისიც ჩვენსავით გაება. იმ დროს მეტი არავინ იყო, მაგრამ მერე ორი ახალსოფლელი მწყემსი მოიყვანეს. ერთ მათგანს მთაში, ცხვრის სადგომში ამხანაგებთან საჭმელი მიჰქონდა. ბილიკი იქაც ერთ ადგილას ისე უხვევს, დაღესტნის მხარეს ხვდება, თუმცა არავითარი სასაზღვრო ნიშანი არ დგას და თავისთავად ვერ გაარკვევ, რომელ ტერიტორიაზე ხარ. ჩანს, იქ ჩასაფრებულმა მესაზღვრეებმა სტაცეს ხელი და დაუმტკიცეს, საზღვარს ორი მეტრით გადმოსცდიო. მეორეს ცხვარი გაექცა თურმე, ხომ უნდა გადაერეკა უკან, სანამ საქონელს დაეწია, დაიჭირეს,"** - ამბობენ დაკავებულები.

**"პირველი ხუთი დღე ერთ ჩვეულებრივ ოთახში ვიყავით, სადაც ავტომატიანი პირები გვყარაულობდნენ. მერე უკვე ბეჟიტას პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში გადაგვიყვანეს. ფიზიკური ზეწოლა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ძალიან ცუდ პირობებში ვიყავით - საჭმელი არ გვქონდა. დღეღამის განმავლობაში მარტო ერთხელ, 1-2 საათით გავყავდით ჰაერზე. ზოგი მორიგე ნახევარ საათს გვიშვებდა მარტო, ზოგი კიდევ ხუთ წუთზე მეტს არ გვაჩერებდა. გვაშინებდნენ - მახაჩკალაში უნდა გაგაგზავნოთო, მაგრამ 5 ათასი დოლარი გადავიხადეთ და გაგვიშვეს,"** - იხსენებს გია დვალიშვილი.

**"ნაბიჯიც რომ გადადგა, გეუბნებიან - "თქვენ დაარღვიეთ რუსეთის საზღვარიო" და მაშინვე ვითომ პროკურატურას გადაგცემენ. ჩვენ ორნი ვიყავით და,**



*გია დვალიშვილი*

**შესაბამისად, ჯგუფურ შეთქმულებაში გვდებდნენ ბრალს. ასეთ შემთხვევაში, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა გვემუქრებოდა,"** - გვიამბობენ ყოფილი ტყვეები.

რუსი მესაზღვრეების ასეთი "გამკაცრების" ერთ მიზეზად საქართველო-ამერიკის კარგი ურთიერთობები სახელდება.

**"თქვენ და თქვენს პრეზიდენტს ამერიკელებთან გირჩევიათ, ჩვენთან კი - არა. ხედავთ, რომ ჩვენ უფრო ახლოს ვართ. როგორც იქ ყოფნის დროს შევატყვეთ, რუსი სამხედროები და დაღესტნის მილიცია შეკრულები არიან და ერთად მუშაობენ. თუ ფულს მიიტან, გაგიშვებენ, თუ არა და - ციხეში გადაგაგზავნიან. საერთოდ, სიტუაცია იქ ძალიან ცუდია. თუმცა, დაღესტნელების ერთი ნაწილი, ისინი, ვისაც ადრე ჩვენთან ურთიერთობა ჰქონდა და ქართველი "ყონაღები" მრავლად ჰყავთ, ჩვენდამი ისევ კარგი განწყობით არიან. ახალი თაობა კი, რომლებიც რუსებთან მუშაობენ, ძალიან ცუდად გვიყურებენ. რუსი სამხედროები ახალი თაობის დაღესტნელებს თავისიანებად თვლიან, ჩვენდამი კი, პრეტენზიები აქვთ. გვეკითხებიან - "ჩვენგან რად გახვედითო,"** - გვითხრა გია დვალიშვილმა.

დაკავებულების საუბრიდან ისიც ირკვევა, რომ სასაზღვრო ზოლზე სპეცდანიშნულების რაზმიც არის განლაგებული და სარაკეტო დანადგარებიც მონტაჟდება, საზღვრის ასეთი გაძლიერება პუტინის დაღესტანში ვიზიტის შემდეგ მომხდარა.

მომხდართან დაკავშირებით ყვარლის რაიონის გამგებელი ვასილ გაიკარაშვილი რეაგირებისთვის ამ დღეებში საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მიმართავს. **"ამ პრობლემის თაობაზე ჩემთვის ოფიციალურად არავის მოუმართავს. თუმცა, მაქვს ინფორმაცია, რომ ასეთი ფაქტები საზღვარზე ხშირია. ისიც ვიცი, რომ ამ ცოტახნის წინ სოფელ საბუის თავზე დაიჭირეს რამდენიმე მეცხვარე, ცხვრები წაართვეს და ისე გამოუშვეს. მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით ვამზადებ წერილს სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსის სახელზე. ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ საქართველო-დაღესტანს შორის საზღვარი დადგენილი არ არის და არც არავითარი მინიშნებებია,"** - ამბობს გაიკარაშვილი.

მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსშია უშიშროების სამსახური და მიმდინარეობს ძიება.

# ციხეში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე აცხადებს, გუშინწინ, ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ბათუმში მსჯავრდებულ ზურაბ ცინცაბაძის ცხედარი გადაასვენეს.

ციხის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პატიმარმა თავი მოიკლა. თუმცა, კაკაბაძე გარდაცვლილის დედის ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ზურაბ ცინცაბაძის სხეულზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები აღინიშნება - მას ნეკნები აქვს დაზიანებული და მიყენებული აქვს სხვადასხვა სახის იარები.

*ინტერპრესნიუსი*

# ორმხრივი გამოძიება ბერულასთან მომხდარ ინციდენტზე

*პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ერედვთან ახლოს, სოფელ ბერულას ცენტრში შეკრებილ ქართველებს რამდენიმე ოსმა, სავარაუდოდ, "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც ორი ქართველი მამაკაცი მძიმედ დაიჭრა.*

თამარ კაციტაძე

ამ ფაქტს თვითმხილველნი ასე იხსენებენ: **"მთელი დღე ერედვის სალოცავში ვიყავით, სადაც ქართველები და ოსები ყოველწლიურად ერთად ვლოცულობთ. მამაკაცები საღამოს სოფლის ცენტრში შევიკრიბეთ. ცოტა ხანში მანქანამ ჩაგვიქროლა ოსური სანომრე ნიშნებით. ავტომანქანაში ოსები ისხდნენ, ისინიც სალოცავში იყვნენ. მოულოდნელად, პისტოლეტის სროლის ხმა გავიგეთ და ორი ჩვენი მეგობარი დაიჭრა".**

დაჭრილები მაშინვე გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთი დაჭრილის, 27 წლის ჯონდო ბერუაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ იგი, გორელი ექიმების გადაწყვეტილებით, თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში გადმოიყვანეს. მეორე დაზარალებულის სიცოცხლეს კი, ექიმების თქმით, საფრთხე აღარ ემუქრება.

როგორც თვითმხილველნი ირწმუნებიან, ინციდენტის შემდეგ, თავდამსხმელები მანქანით გაიქცნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ბენზინი გაუთავდათ და გზა ფეხით გააგრძელეს. სწორედ ამ მიზეზის გამო გახდა შესაძლებელი ორი მათგანის დაკავება. სავარაუდოდ, ორმა მიმალვა მაინც მოახერხა. ამბობენ, რომ დამნაშავეები ადგილობრივმა მოსახლეობამ დააკავა და მათი ლინჩის წესით გასამართლება უნდოდათ, მაგრამ ამ განზრახვის შესრულებაში ხელი ერედველმა სამართალდამცველებმა შეუშალეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, მათ სერიოზული ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ მოსახლეობას დაკავებულები არ ჩაექოლა.

დაკავებულები შიდა ქართლის პოლიციის განყოფილებაში, გორში გადაიყვანეს. მოგვიანებით კი მათი ვინაობაც გაირკვა - ზასიევი და იკაევი, რომლებიც ოსი სამართალდამცველები აღმოჩნდნენ.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მიერ გავრცელებული ინფრომაციით, თავდამსხმელები ინციდენტის დროს ნასვამები იყვნენ. დაკითხვისას ერთ-ერთმა მათგანმა აღიარა, რომ ცხინვალის მილიციის თანამშრომელია. მეორის განაცხადებით კი, იგი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის დაცვაში მუშაობს. სხვათა შორის, მას ჩხრეკისას დე ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის უწყების თანამშრომლის საბუთი აღმოაჩნდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად ზასიევი და იკაევი ეჭვმიტანილები არიან განზრახ მკვლელობის მცდელობაში. როგორც სამხარეო პოლიციაში ირწმუნებიან, დგინდება შემთხვევის ადგილიდან მიმალული კიდევ ორი თავდამსხმელის ვინაობა და მიდის მუშაობა მათი ქართული მხარისთვის გადმოსაცემად. თუმცა, რამდენად წარმატებულად დასრულდება ოსურ მხარესთან მოლაპარაკება, ძნელი სათქმელია, რადგან ცხინვალელი სამართალდამცველები სოფელ ბერულასთან მომხდარ ინციდენტს უკვე განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ.

ცხინვალის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, **"ქართული პოლიცია შეეცადა, დაეკავებინა სამხრეთ ოსეთის მილიციის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლები, როდესაც ისინი ქართულ სოფელ ერედვში გავლით იმყოფებოდნენ. სროლის შედეგად ორი ქართველი პოლიციელი დაიჭრა. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააპატიმრეს, ორმა კი გაქცევა მოახერხა",** - ნათქვამია პრესისა და ინფორმაციის კომიტეტის განცხადებაში.

უკვე ვრცელდება ინფორმაცია იმ ოსი პოროვნების შესახებ, რომელმაც გაქცევა მოახერხა. გავრცელებული ინფორმაციით, ის რუსიკ მამიტოვი, ე.წ სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი ძალოვანი უწყების თანამშრომელია. სწორედ რუსიკ მამიტოვი ფიგურირებდა გასული წლის იანვარში ერედვის პოლიციის უფროსის ლადო ჩალაურისა და მისი თანამშრომლის გოჩა გვიმრაძის გატაცებაში. გარდა ამისა, მამიტოვი თავის ძმასა და თანმხლებ პირებთან ერთად გასული წლის დეკემბერში მონაწილეობდა თბილისიდან ცხინვალის მიმართულებით გატაცებული ავტომანქანების გადაყვანაში, რა დროსაც მათ ერედვის პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო სროლის შედეგად მაშინ მამიტოვის ძმა გარდაიცვალა.

ასეთი წარმატებული ოპერაციისთვის, ალბათ, ქართველი სამართალდამცველები მადლობას დაიმსახურებდნენ, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ყველაფერი საწინააღმდეგოდ დატრიალდეს. საქმე ის გახლავთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებების დამცველები ოსი დამნაშავეების უფლებების დარღვევით დაინტერესდნენ. კერძოდ, საუბარია ზასიევის და იკაევის სხეულზე აღმოჩენილ დაზიანებებზე. ამ ინციდენტს გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენპროკურატურა ერთდროულად გამოეხმაურა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილ ზასიევსა და იკაევს ფიზიკური ზემოქმედების კვალი აღენიშნებათ და ამ ფაქტთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. შს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, ზასიევმა და იკაევმა აღნიშნული დაზიანებები ან დაკავების დროს ან დაკავების შემდეგ მიიღეს.

**"მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაკავებულ ზასიევს და იკაევს სხეულის დაზიანებები აღენიშნებათ. აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და ყველა ის პირი დაისჯება, ვისაც ეჭვმიტანილების ცემა-წამებაში მიუძღვის წვლილი,"** - განაცხადა შს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა შოთა ხიზანიშვილმა.

გენპროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის სამსახურის უფროსი თამარ თამაშვილი კი აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება დაიწყო, რომელსაც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი ხელმძღვანელობს. თამარ თამაშვილი ჯერჯერობით ვერ ასახელებს იმ პოლიციელების ვინაობას, რომლებიც ოსი ეჭვმიტანილებისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების გამო პასუხისგებაში მიეცემიან.

ერთი სიტყვით, ბერულასთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ქართულ სამართალდამცველ ორგანოებში ორმხრივი გამოძიება დაიწყო. კონფლიქტის ზონაში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობა კი ოსი მილიციელების დაკავების შემდეგ სიტუაციის დაძაბვას ვარაუდობს. პატარა ლიახვის ხეობის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ისინი დაუცველები არიან და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

მოკლედ

## საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტი წარმატებით მუშაობს

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის თბილისის გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის ბიუროს ადვოკატებმა სამი თვის განმავლობაში 167 განცხადება განიხილეს და მოქალაქეებს კონსულტაციები გაუწიეს. ამავე პერიოდში ბიუროების ადვოკატები 58 სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დამცველის სტატუსით ჩაერთნენ, მათ შორის 14 საქმეში დაკავებულთა ახლობლების, ხოლო სხვა შემთხვევებში - სამართალდამცავთა მიმართვების საფუძველზე.

2005 წლის 1 ივლისიდან თბილისის გლდანი-ნაძალადევის ბიუროს 85-მა, ხოლო ზესტაფონის ბიუროს 82-მა მოქალაქემ მიმართა. ამავე პერიოდში ზესტაფონის ბიუროში სამართალდამცავი უწყებიდან ბრალდებულისათვის ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით 17 განცხადება შევიდა, რომელთაგან ყველა დაკმაყოფილდა. გლდანი-ნაძალადევის რაიონში საგამოძიებო ორგანოებიდან 27 მიმართვა შევიდა, რომელთაგან 25 დაკმაყოფილდა.

შეგახსენმებთ, რომ სახაზინო ადვოკატის სამსახურის ორი ბიურო, ერთწლიანი საცდელი პროექტის ფარგლებში, წლეულს 1 ივლისს ამოქმედდა. პროექტს ფინანსურად უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო, აირის - საქართველო" და აშშ განვითარების სააგენტო (USAID).

საცდელი პროექტი უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმირების პირველი პრაქტიკული ნაბიჯია. ერთწლიანი პროექტის დასრულების შემდეგ, სახაზინო ადვოკატის სამსახურის ბიუროების ყველა რაიონში გახსნის საკითხი გადაწყდება. ამ სისტემის რეფორმის მიზანი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის უფლების ეფექტური განხორციელებაა.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქეები ბიუროებს, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო და ადმინისტაციულ საქმებში ჩართვის მოთხოვნით მიმართვენ, რაც ამ სამსახურის კომპეტენციაში არ შედის, თუმცა ადვოკატები ასეთ მოქალაქეებს, შესაძლებლობის ფარგლებში, კონსულტაციას უწევენ.

*24 საათი*

## ფულის დატაცებაში ეჭვმიტანილები დააკავეს

გუშინწინ, სამართალდამცველებმა დედაქალაქში ბანკომატებიდან ფულადი თანხების დატაცებაში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია შპს "რადიო საქართველოს" ტექნიკური დირექტორი, თბილისელი ზავენ პოლოსოვი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 440 აშშ დოლარი, 209 ლარი და ვინმე ელენე კამენავას სახელზე გაცემული "რესპუბლიკა ბანკის" ყალბი პლასტიკური ბარათი. პოლოსოვის ბინის ჩხრეკისას, ამოღებულია 10 450 აშშ დოლარი, 3 500 ლარი, სხვადასხვა სახის საბანკო დოკუმენტაცია და 50 ცალი კომპიუტერული დისკი.

იმავე მიზეზით დაკავებულია ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეიზის" აიტ-მენეჯერი, თბილისელი ვეფხვია პირმისაშვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 4 550 აშშ დოლარი.

პოლიციამ დააკავა ასევე თბილისელი არმენ კაზარიანი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 7 000 ლარი და 1 200 აშშ დოლარი, ხოლო მისი ბინიდან ამოღებულია საქართველოს შსს თანამშრომლის ყალბი პირადობის მოწმობა, მისი ფოტოსურათით, და სხვადასხვა სახის საბანკო დოკუმენტაცია.

დააკავეს შპს "ჯორჯიან თრექინგ სისთემზ"-ის ტექნიკური დირექტორი, თბილისელი კონსტანტინე ოსიპოვი, რომლის ბინიდან ამოღებულია 200 აშშ დოლარი, ყალბი პირადობის მოწმობა.

პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნული პირები "ვებ-მანის" საშუალებით რიცხავდნენ თანხებს სხვადასხვა პირების სახელზე და სანაცვლოდ მათგან იღებდნენ ინფორმაციას პლასტიკური ბარათების ნომრებისა და პინ-კოდების შესახებ, რომლითაც შემდეგ უცხოურ ბანკებსა და მათ კლიენტურას ადგებოდა მნიშვნელოვანი ზარალი. მათ მიერ 2005 წლის 17 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მითვისებულია 76 840 აშშ დოლარი და 10 709 ლარი. აღნიშნული თანხა ამოღებულია.

*პრაიმ-ნიუსი*

## მოსამართლეები თანამდებობაზე ავტომატურად არ დაინიშნებიან

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღეიდან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ტესტირების ჩაბარების მსურველთა განცხადებების მიღებას იწყებს.

როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურში აცხადებენ, განაცხადების მიღება 19 ოქტომბრამდე გაგრძელდება. პრეტენდენტებმა ჯერ ტესტირება უნდა გაიარონ, რის შემდეგაც მათ წერითი გამოცდა ჩაუტარდებათ.

გამოცდები სპეციალიზაციის მიხედვით - სისხლის, სამოქალაქო და საერთო სამართალში ჩატარდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა, გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მოცემული 100 შეკითხვიდან სწორი პასუხი 75-ს უნდა გასცენ.

როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განმარტავენ, საკვალიფიკაციო ტესტირების გავლა კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე ავტომატურ დანიშვნას არ გულისხმობს. მათ მართლმსაჯულების სისტემაში მუშაობის დასაწყებად გასაუბრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სპეციალურ კომისიასთან უნდა გაიარონ.

*ინტერპრესნიუსი*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ინფორმაცია

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ," "საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით მომართეს:

1. კავშირის კულტურულ საგანმანათლებლო საერთაშორისო ცენტრმა, ასოციაცია "ოქროს საწმისმა" - ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.

2. შ.პ.ს წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის კოლეჯმა "საგანძური" - ითხოვს ქ. საჩხერეში სასწავლებლის ფილიალის გახსნას.

3. შ.პ.ს "უნივერსიტეტმა ოდლარ იურდუმ" - ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

4.Lშ.პ.ს მრავალპროფილინმა საშუალო სკოლამ "გონი" - ითხოვს სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანას, კერძო მრავალპროფილიან ცენტრ-კომპლექს "ორიგინალს" ეწოდა მრავალპროფილიანი ცენტრ-კომპლექსი "გონი".

5. ნუგზარ ეხვაიამ - ითხოვს სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანას, ინდივიდუალური საწამო "ნუგზარ ეხვაია" შეიცვალა შ.პ.ს "ინტელექტით".

6. შ.პ.ს "დამოუკიდებელი საერო გიმნაზიამ "შავნაბადა" - ითხოვს სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანას, შ.პ.ს "დამოუკიდებელ საერო გიმნაზიას" ეწოდა შ.პ.ს "დამოუკიდებელი საერო გიმნაზია "შავნაბადა".

7. შ.პ.ს "საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ - ბრიტანულმა უნივერსიტეტმა, კოლეჯმა და მოსამზადებელმა განყოფილებამ" - ითხოვს სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანას, შ.პ.ს "დისტანციური კონტროლის ციფრულ სისტემებს" ეწოდა შ.პ.ს "საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ - ბრიტანული უნივერსიტეტი, კოლეჯი და მოსამზადებელი განყოფილება".

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*



## დავით კოვზირიძის სვეტი

### დეცენტრალიზებული მოდა

ისევ იმ ამბავს უნდა დავუბრუნდე, რაზეც წინა სვეტში ვფილოსოფოსობდი. თუ გახსოვთ, ფეხბურთთან არცთუ ჰარმონიულ ურთიერთობაში მყოფი ყრმობის ამფსონი შემხვდა. სპორტის გლობალურად მიმოხილვის შემდეგ მაინც მოვახერხე ჩემი კოზირის გამოყენება და საუბარი სოკერის რელსებზე გადავიყვანე. წამომყვა. თან ისე მიხაარსიახად წამომყვა, მაგრად გამიკვირდა.

აი, რაზე ვილაპარაკეთ - ადრე, როცა მზიურ ჯორჯიას კომუნისტური კოზა-ნოსტრა მართავდა, ფეხბურთი იყო სისტემაში მოქცეული, საზღვრებდახურული და ბოლომდე პროლეტარული პროფესია. მას ძირითადად არაელიტარული ოჯახის შვილები მისდევდნენ, ხოლო მოდაში იყო ხელბურთი, კალათბურთი, რაგბი (მაშინ რეგბი ერქვა) და ჩოგბურთი (როგორც ყოველთვის). ფეხბურთზე იშვიათად დადიოდნენ ცნობილ თბილისელთა მემკვიდრეები, რომლებსაც ქუჩის, უფრო თავისუფალი, გასართობი ყოფნა მოსწონდათ თავის მატჩისშემდგომი პაპიროსით და ლუდით.

ეს ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ კომუნისტურ საქართველოში უმწირესი ინფორმაცია შემოდიოდა კაპიტალისტური საფეხბურთო ზღაპრის თაობაზე. ჩვენ არ ვიცოდით, რა ხდებოდა ფარდის იქით, რამხელა ხელფასი ჰქონდა, ვთქვათ, ტაჰამატას და ვინ იყო ლიტბარსკის საყვარელი. ანუ ჩვენ ვხვდებოდით, რომ იქ ფეხბურთელები ძალიან კარგად ცხოვრობენ, ოღონდ დეტალები - ნულის უკაცრავად. საბჭოთა კავშირში კი პროფესიონალი მოთამაშე მინიმალური შეღავათებითა და ხელფასით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რაც ლოგიკურად არ ჯდებოდა შთამომავალთა ნათელ ფინანსურ მომავალზე მეოცნებე მამების გეგმებში.

ამიტომაც იყო იშვიათობა კარგი [illegible] ფეხბურთელი თუნდაც თბილისის "დინამოში" - [illegible] კლუბები პერიფერიებიდან მარაგდებოდა [illegible] დამოუკიდებელ საქართველოსაც გადმოყვა.

დღეს უკვე სხვა მდგომარეობაა, [illegible] ვერ იძლევა სათანადო რაოდენობის [illegible]. ქუჩის ფეხბურთი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ამის მიზეზებზე მსჯელობით არაერთხელ მომიბეზრებია [illegible] ვი, მაგრამ მაინც მინდა თვალი გადავავლო: კომპიუტერი, ტელევიზორი, ნარკოტიკები, სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლები ნელ-ნელა ცლიან ჩვენს ქუჩებს [illegible] სახეგაბრწყინებული მობურთალი ბავშვებისგან.

საფეხბურთო სკოლები შემთხვევით არ მიხსენებია. თითქოს ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, ბავშვები სპორტით არიან დაკავებულნი, მაგრამ მთელ მსოფლიოში აპრობირებული სოკერ-ფაბრიკები ჩვენთან ერთ-ერთ [illegible] იქცა. მიზეზი ორმხრივია და მოდით, [illegible] ხედოთ მას.

ამ სკოლებში უმეტესად მუშაობენ [illegible], რომლებმაც არ იციან სწორად მუშაობა. წესით, [illegible] ნი უნდა ითამაშოს - მაქსიმუმ ოთხი-ოთხზე [illegible], რომ მეტია ბურთთან შეხება, სწრაფი [illegible] რეც, ნაკლებია ფიზიკური დატვირთვა. აქ კი რა ხდება - დამწყებ ფეხბურთელებს იმთავითვე თერთმეტი-თერთმეტზე ათამაშებენ, რადგან მწვრთნელს აწყობს, რომ შეძლებისდაგვარად ბევრი მოწაფე ჰყავდეს ჯგუფში და ყოველთვიური მეტი მიიღოს. საბოლოოდ ის მართლაც [illegible] ქრის, რადგან რამდენიმე გადავსებული ჯგუფის [illegible], თუმცა საერთო საქმე ქვესკნელისკენ მიექანება - დიდ მოედანზე ბავშვი უზომოდ იტვირთება, ორგანიზმი [illegible] ულად უვითარდება და ბურთს სულ რამდენჯერმე ეხება. შესაბამისად, მას ეკარგება ხალისი, რადგან პატარა ბიჭს ბურთთან ურთიერთობა სწყურია და არა მძლეოსნობა. და თუ უხალისობის მიუხედავად ის მაინც აგრძელებს ვარჯიშს, ვიღებთ უტექნიკო, ტაქტიკურად უმეცარ და ფიზიკურად გადამწვარ მოზარდთა მთელ თაობას, რომელიც ვერაფერით დაეხმარება ვერც საკლუბო და ვერც სანაკრებო ფეხბურთის განვითარებას.

ეს ერთი მხარეა. მეორე კი გახლავთ ის, რომ მამებს, რომელთა მამები "ბოვშების" ფეხბურთზე ტარების კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ და უფრო სამეცნიერო-იურიდიულ-ისტორიულს აწვებოდნენ, სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ, უნდა თუ არა პატარა უმანკო ბიჭუნას ბურთის დევნა. იქნებ შაში ურჩევნია, ან სტილისტობა, ანაც კოსმონავტობა. არა, მაინცდამაინც ფეხბურთი! იცით რატომ? იმიტომ, რომ "ზამასკაში" არიან, თავად ოცნებობდნენ "რეალში" გოლების გატანაზე და ახლა უნდათ, რომ შვილებმა, პერსპექტივაში შესაძლოა მშვენიერმა თერძებმა, გააკეთონ ეს. თუმცა ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ძალით ვერ გააკეთებენ.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი - არაა გამორიცხული, რომ ბიჭმა, რომელსაც ფეხბურთი ნატურალურად არ უყვარს და რომელიც მწვრთნელმა არასწორად აღზარდა, მართლაც შეყაროს ბევრი გოლი. ოღონდ არა "რეალში", არამედ "ანჟიში", რადგან ის შეძლებული, გავლენიანი მამის შვილია (ამაზე ბაბუამ იზრუნა) და, ყველაფრის მიუხედავად, პატარაობიდანვე ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში (ამას უკვე მამიკო აგვარებდა). შედეგად ეს ბიჭი სიამოვნებას იღებს არა ფეხბურთის თამაშისგან, არამედ ხელოვნური ძალაუფლებისგან. ასეთებმა კი, დიდი-დიდი, "ახჟიმდე" გაქაჩონ.

დასკვნა ასეთი გამოგვდის - ადრე ფეხბურთზე სიარული მოდაში არ იყო, ახლა კი ზედმეტად ფეშენ აბლად იქცა. სახარბიელო არც ერთი ვარიანტი არაა და არც იქნება მანამ, სანამ ზომიერებას არ ვისწავლით ყველაფერში, დახვეწილი ფეხბურთით და დამთავრებული ღვინის მთანთქმით.

*მომავალ სამშაბათამდე*

---

*ჩოგბურთი*

# ფედერერს ვერავინ შესწვდება



*როჯერ ფედერერი*



*მარია შარაპოვა*

დიდი ხნის ტრადიციის მიხედვით, ორშაბათობით ATP და WTA პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა წლის მეათე ტიტული მოიგო და 52 კვირის შემდეგ ის კვლავ ლიდერობს რეიტინგს. მას კარგა ხანს კიდევ ვერავინ შესწვდება.

რაც შეეხება ქალთა ნაწილს, აქ კვლავ რუსი მარია შარაპოვა პირველობს, მაგრამ მას ძალიან მიუახლოვდა ამერიკელი ლინდსი დევენპორტი, რომელიც მსოფლიოს პირველ ჩოგანს 149 ქულით ჩამორჩება.

იმის გათვალისწინებით, რომ შარაპოვა ამ კვირაში დაისვენებს და კრემლის თასის გათამაშებისთვის მოემზადება, მას ტოკიოში გამარჯვებისთვის მოპოვებული ქულები გაუუქმდება. დევენპორტს კი საშუალება ექნება ამით ისარგებლოს და გერმანულ ფილდერშტადტში გამარჯვების შემთხვევაში დაიბრუნოს რეიტინგის პირველი საფეხური. ასე რომ, ჯერჯერობით უცნობია შეინარჩუნებს თუ არა მომდევნო კვირაში შარაპოვა პირველობას.

რაც შეეხება საჩემპიონო რბოლას ვაჟებში, აქაც ერთპიროვნულად როჯერ ფედერერი ლიდერობს. ქალთა შორის პირველ საფეხურზე მოკალათდა ბელგიელი კიმ კლიისტერსი, რომელმაც ამ უქმეებზე წლეულს თავისი მერვე ტიტული მოიგო.

ამ კვირაში სტარტს აიღებს ქალთა სამი ტურნირი. მათ შორის ყველაზე პრესტიჟული გერმანიის ქალაქ ფილდერშტადტის ტურნირია. მისი საპრიზო ფონდი 650 ათასი ამერიკული დოლარია. ტოკიოს ტურნირის საპრიზო ფონდი კი მკვეთრად ჩამოყვარდება გერმანულისას - 170 ათასი დოლარი. შედარებით უფრო ნაკლებად პრესტიჟული ტურნირი ტაშკენტში გაიმართება. მისი საპრიზო ფონდი 140 ათასი ამერიკული დოლარია. თუმცა, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები ამ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებენ. ტაშკენტში პირველ ნომრად რუსი ეკატერინა ბიჩკოვა არის განთესილი.

როჯერ ფედერერი კი საუკეთესოა როგორც რეიტინგის მიხედვით, ისე საჩემპიონო რბოლაში. შვეიცარიელის წაუგებელი სერია 30 მატჩს ითვლის და ის ამჟამად საუკეთესო ფორმაშია. ისეთი პირი უჩანს, რომ წელს ფედერერს პირველობას ვერავინ შეეცილება.

52 კვირის შემდეგ აღსანიშნავია ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის სპურტი, რომელიც მან ბოლო დროს განახორციელა. ის მეხუთე საფეხურიდან მესამეზე აღზევდა, რუსი მარატ საფინი შეავიწროვა და მეხუთე ადგილზე დააქვეითა. დღეისთვის პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის პირველი ათეულები ასე გამოიყურება.

| ვაჟები | |
|---|---|
| როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6975 |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4475 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 3125 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 3115 |
| მარატ საფინი (რუსეთი) | 3015 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 2640 |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2175 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 2110 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1915 |
| მარიანო პუერტა (არგენტინა) | 1784 |

| ქალები | |
|---|---|
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 4768 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4619 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 4404 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3927 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 2935 |
| მარი პირსი (საფრანგეთი) | 2908 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 2883 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2617 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2481 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია) | 2445 |

---

*კრივი*

# და მაინც მე ვარ ჩემპიონი!

*Hey, Man, We are Both Winner, We are Both Winner... ოთხ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოდინდელ ჩემპიონს როი ჯონს-უმცროს დამარცხების შემდეგ ბოლო ხმაზე ყურში ჩაჰყვიროდა ტიტულ შენარჩუნებული ანტონიო ტარვერი. ვისთვის დასანანი და ვისთვის სამართლიანი შედეგი, რომელიც 20 895 ათასმა კრივზე გადარეულმა მოსეირემ კვირას გამთენიისას "წმინდა პეტრეს ტაიმს ფორუმის" რინგზე ცოცხლად იხილა. ამერიკელმა "ჯადოქარმა" ანტონიო ტარვერმა კი დაამტკიცა, რომ ნახევრადმძიმეწონოსანთა ეშელონში მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. სხვა თუ არაფერი, ისეთი სახელის მქონე მოკრივე დაამარცხა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამავე წონის აბსოლუტურ ჩემპიონად იწოდებოდა. წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ კი ირკვევა: როი ჯონს-უმცროსი რინგიდან წასვლას მაინც არ აპირებს!*

ბიგა ბურასაშვილი

მათ შორის დაპირისპირება არც პირველი ყოფილა და შესაძლოა, არც უკანასკნელი აღმოჩნდეს! როიც და ანტონიოც თანამედროვეობის უდიდესი მოკრივეები არიან და მათდამი ისტერიული ინტერესი კვირას ტამპას (ფლორიდა) უმთავრეს არენაზე დამსწრეთა ორ ათეულ ათას გადაჭარბებულმა ჩხუბის მოყვარულმაც დაამტკიცა. "წმინდა პეტრეს ტაიმს ფორუმის" დარბაზი მეტს არ იტევდა, თორემ მოსეირე მეტიც იქნებოდა.

ისე, ანტონიო ტარვერი VS როი ჯონს-უმცროსი შერკინება ყოველთვის აბსოლუტური ანშლაგით მიმდინარეობდა. ანუ, მეტად სარფიან საქმესთან გვაქვს საქმე. ამიტომაცაა, რომ კრივის მახვშებმა თუ გაქნილმა პრომოუტერებმა ესენი კვირას მესამედ შეახვედრეს ერთმანეთს. მესამედ პროფესიულ რინგზე, თორემ 1982 წელს, როდესაც ტავრვერი და ჯონს-უმცროსი 13 წლის მამლაყინწები იყვნენ, ერთმანეთი სამოყვარულო რინგზე "დააგემოვნეს". მათი პირველი შეხლა კი როის გამარჯვებით დასრულდა. რაც შეეხება პროფესიულ რინგზე ამგვარ სტატისტიკას, კვირამდე ერთმანეთისთვის ცხვირ-პირი მიენაყათ თითოჯერ. აი, კვირას კი ტარვერმა მეორედ დაამარცხა თავისი კბილა (ანტონიოც და როიც 36 წლის ჯეელები არიან. რედ.) ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი.

ჩხუბზე არაფერს ვიტყვით, რადგან შედეგი ისედაც ყველასთვისაა ცნობილი, ამასთან, ასეთი რანგის ჩხუბს უნდა უყურო. ახლა იმაზე, რაც ორთაბრძოლის შემდეგ გახდა ცნობილი. ინფორმაცია კი შემდეგი შინაარსისაა: როი ჯონს-უმცროსი რინგზე რჩება! ეს ამბავი იმდაა მნიშვნელოვანი, რომ შარშან მაისში, როდესაც



*ტარვერი VS ჯონს უმცროსი 3 ისტორიის საკუთრება გახდა.*

როიმ ანტონიოსგან ორ რაუნდში იგემა ნოკაუტი, მას შემდეგ წლეულს კვირამდე დრო სრულ უმოქმედობაში გაატარა.

"მიზნად მქონდა დასახული რინგზე დავბრუნებულიყავი და მეჩვენებინა ის, რომ რინგიდან სირცხვილნაჭამი წასვლას არ ვაპირებდი, - ტარვერთან მეორე მარცხის სემდეგ აცხადებდა ჯონს-უმცროსი. - დღეს მან ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე მე. ის ჩემს წინაშე იდგა და ეს იყო სწორი. არ შეიძლება, საკუთარ თავს გადაახტე. გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო. შინ (რინგზე დაბრუნებას გულისხმობს) დავბრუნდი და უფლება არ მქონდა, უწინდელივით წამეგო. გავაკეთე ის, რაც შემეძლო. მე მასთან ვკრივობდი. მე ვიყავი ნამდვილი ჩემპიონი და საკმაო ხნის განმავლობაში თანასწორი არ მყავდა. არ მცხვენია იმის, რაც დღეს გავაკეთე. კმაყოფილი ვარ იმით, როგორც ვიჩხუბე, მაგრამ ისიც მესმის, რომ მე ეს ორთაბრძოლა წავაგე...

არავის, ტარვერის გარდა, არ შეუძლია ჩემი დამარცხება, რადგან ღმერთმა დიდი ნიჭით დამაჯილდოვა.

ტარვერთან გამკლავება ჩემს საუკეთესო წლებშიც გამიჭირდებოდა...

ალბათ, კიდევ მნახავთ რინგზე.

მე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჩხუბარი ვარ, ასე რომ დამდეთ სათანადო პატივი. შემიძლია კიდევ დავბრუნდე".

ისე, როის დაბრუნებას მხოლოდ მიესალმება ტარვერი, თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდება.

"სამ ბრძოლაში დიდი ფული ვიშოვეთ, - ჯონსი-უმცროსის გასაგონად აცხადებდა კიდეც ტარვერი. - შენ ჩემზე მეტი იშოვე, მაგრამ ამის გამო ჭკუიდან არ გადავდივარ. ჩვენ კიდევ შეგვიძლია ერთმანეთს შევხვდეთ".

კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ჩემპიონობა შენარჩუნებულმა ანტონიომ ბოლოს ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესოა: მე ერთ-ერთი უძლიერესთაგანი ვარ. ბოლოს და ბოლოს, ეს აღიარეთ!"

---


## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი - კვების პროდუქტები.
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

კვების პროდუქტების ჩამონათვალი

| მიწოდების ადგილი | ლოტი 1 შესქელებული რძე (კგ) | ლოტი 2 ხორცის კონსერვი (კგ) | ლოტი 3 ქათამი გაყინული (კგ) | ლოტი 4 ფქვილი I ხ (კგ) | ლოტი 5 ფქვილი II ხ (კგ) | მიწოდების გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 260 | 1100 | 130 | 200 | 1400 | 05.11.05-31.12.05 |
| ახალციხე | 1100 | 4000 | 1600 | 9000 | 4800 | 05.11.05-31.12.05 |
| ბოლნისი (სოფ. ფოლადაური) | 600 | 21500 | 780 | 5000 | 3200 | 05.11.05-31.12.05 |
| გარდაბანი (წითელი ხიდი) | 500 | 1900 | 700 | 1600 | 900 | 05.11.05-31.12.05 |
| დედოფლისწყარო | 300 | 1180 | 160 | 2600 | 1600 | 05.11.05-31.12.05 |
| ლაგოდეხი | 1100 | 4890 | 700 | 10200 | 5500 | 05.11.05-31.12.05 |
| ფოთი | 90 | 250 | 160 | 700 | 500 | 05.11.05-31.12.05 |
| თბილისი | 1850 | 7100 | 1600 | 4000 | 2400 | 05.11.05-31.12.05 |
| ჯამი | 5800 | 22570 | 5830 | 35100 | 20300 | |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნულიპ საქონწის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის

1. მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

3. მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი სახელმწიფო ორგანოდან.

ფიზიკურ პირთათვის:

1. უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

3. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი სახელმწიფო ორგანოდან.

დამატებითი მოთხოვნა:

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის 19 ოქტომბრის 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება.

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებსა და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის 21 ოქტომბერს 17.00 საათზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე.

სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს 2005 წლის 26 ოქტომბრის 18.00 საათამდე მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 28 ოქტომბრის 16.00 სთ-მდე. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 28 ოქტომბერს 16.00 სთ-ზე. სასურველია პრეტენდენტების დასწრება.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 37-63-84.

# ლაშა და თეატრი

**ლაშა ბუღაძე**: ჩვენი დღევანდელი "დიალოგების" სტუმარია ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დათო ანდღულაძე. დათო გვიამბობს სიახლეებზე, რომლებსაც ახლო მომავალში თეატრი მაყურებელსაც გაუზიარებს.

**დათო ანდღულაძე**: რეკონსტრუირებული და განახლებული ახმეტელის თეატრი უკვე მეშვიდედ ხსნის სეზონს და იმედოვნებს, რომ ის ბედნიერი იქნება როგორც თეატრალური დასის, ისე მაყურებლისთვის. წლევანდელი სეზონი იხსნება ყველასთვის ნაცნობი სპექტაკლით "მეფე ლირი თავშესაფარში". მისი ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ოთარ ბაღათურია. პიესაში ჩართულია ახმეტელის თეატრის თითქმის ყველა მსახიობი. გარდა ამისა, სეზონის გახსნასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ ჩვენი თეატრის სავიზიტო ბარათსაც - "მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რომელიც რამდენიმე სეზონია, ჩვენი თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება.

**ლაშა ბუღაძე**: როგორც ვიცი, უკვე მერამდენე სეზონია, ანშლაგით მიდის სპექტაკლი "ფალიაშვილი ქუჩის ძაღლები" აკა მორჩილაძის რომანის მიხედვით. რამდენად აინტერესებს მაყურებელს ადეკვატური სოციალური ტექსტები? თუ ბოლოდროინდელ თეატრალურ სტატისტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მაყურებელს ძალიან მოსწონს თანამედროვე ქართველი ავტორების ნაწარმოებებზე დადგმული სპექტაკლები, მაგალითად, ლაშა თაბუკაშვილის პიესა რუსთაველის თეატრში, "ჯინსების თაობა" თავისუფალ თეატრში და სხვა. ამ სპექტაკლებმა ავტორებსაც და თეატრებსაც პოპულარობა მოუტანეს.

**დათო ანდღულაძე**: ვფიქრობ, რომ სოციალურ სარჩულზე მეტად, მაყურებელი ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე აკეთებს აქცენტს. მართალია, გარკვეულწილად თემა განსაზღვრავს სპექტაკლის წარმატებასა და წარუმატებლობას, მაგრამ გადამწყვეტი როდია. რაც შეეხება აკა მორჩილაძის ორი რომანიდან შექმნილ ერთ პიესას, ეს არ არის მხოლოდ ტექსტების მექანიკური მონტაჟი. ისინი ორგანულად შეერწყა ერთმანეთს და მივიღეთ მშვენიერი ნაწარმოები. მოგეხსენებათ, რომ თეატრალური ენა სულ სხვაა და ლიტერატურული - სულ სხვა, მაგრამ არც ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი. როცა ჩვენი თეატრი იხსნებოდა, არჩევანიც სწორი უნდა ყოფილიყო. მე აკა მორჩილაძის ნაწარმოები შევარჩიე და ძირითადად მისმა მაღალმხატვრულობამ მომხიბლა.

**მსმენელი:** თქვენი თეატრის ყველა სპექტაკლი ვნახე და ყველას ვურჩევდი ენახა, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინტერესებს, თეატრის ფუნქცია მომავალში როგორ გესახებათ?

**დათო ანდღულაძე**: საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო თეატრები, რომელთა სპექტაკლების თემატიკა ძირითადად აგებული გახლდათ ანტირეჟიმულ ფაქტორზე, მაგალითად, ტაგანკის თეატრის, მისი უბრწყინვალესი რეჟისორის ლუბიმოვის წამყვანი თემა დისიდენტური საწყისი იყო. მას თავისი მაყურებელი ჰყავდა და არც მის სიმცირეს უჩიოდა. როცა თეატრები ცენზურის მიღმა დარჩნენ, აღმოჩნდა, რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ, რადგან მათი ტექსტები აგებული იყო ქვეტექსტებზე, მეტაფორებზე, იგავებზე... ამიტომ ვთვლი, რომ ხელოვანმა მარადიულ თემატიკაზე უნდა ისაუბროს და რაც შეიძლება თამამად. დღეს თბილისში ბევრი თეატრია და ისინი მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობენ. ეს თეატრები ისევე ბერდებიან, როგორც გუშინდელი გაზეთები, რომლებიც მეორე დღეს აღარავის აინტერესებს.

**ლაშა ბუღაძე:** გამოდის, რომ ახლა განვიხილავთ მასკულტურული ენით მოსაუბრე ქართული თეატრების პრობლემას. დღევანდელი თეატრი მასკულტურაა?

**დათო ანდღულაძე**: ამას ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რადგან ყველა თეატრი სხვადასხვანაირია, მრავალფეროვანი. უბრალოდ კარგი თეატრები - მარჯანიშვილის, რუსთაველის - რამდენიმე წელი დახურული იყო. როცა ისინი ამუშავდებიან, ჩვენ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ამ თეატრების გახსნამდე მთელი დატვირთვა მოდიოდა სარდაფზე, ახმეტელზე, სამეფო უბნის თეატრზე... ახლა ამ თეატრებს ფლაგმანობა გაუჭირდებათ, რადგან როცა თეატრალური პროცესიდან რამდენიმე წელი ამოვარდნილი ხარ, მაყურებლის დაბრუნება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. თეატრი ფორმაში უნდა იყოს. შეიძლება უცნაურ აზრს გამოვთქვამ, მაგრამ ვფიქრობ, რომ რუსთაველისა და მარჯანიშვილი თეატრები დღეს არ არსებობს, ისინი ხელახლა უნდა შედგნენ. ერთი მხრივ, ახმეტელის თეატრისთვის ძალიან ძნელია ამ პროცესის ატანა და პოზიციების შენარჩუნება, მეორე მხრივ კი ეს პროცესი ჩემთვის საინტერესოა.

**ლაშა ბუღაძე:** იცვლება თუ არა მაყურებელი?

**დათო ანდღულაძე**: ბუნებრივია. მაყურებლის შესაცვლელად ერთი სეზონიც კი საკმარისია. გულწრფელად გეტყვით, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ახმეტელის თეატრში ვარ, მაყურებლის ხარისხი მომწონს. ჩვენ ჩვენი მაყურებელი გვყავს და ეს არის სტიმული, რომელიც გვაძლებინებს. თეატრებისადმი მაყურებლის უდიდესი ინტერესი რომ არა, გაგვიჭირდებოდა.

**მსმენელი:** ადრე არსებობდა სატელევიზიო თეატრები. ამან თავისი დრო მოჭამა, ანაქრონიზმად იქცა თუ პერსპექტივის გარეშე დარჩა?

**დათო ანდღულაძე**: სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ტელევიაზიაში არაფერი კეთდება. ამ სფეროში საზოგადოებრივმა ტელევიზიამ, რომელსაც პირადად მე იმედით ვუყურებ, აუცილებლად უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები. გამოუყენებლობა დანაშაულია. ბევრი კითხულობს, რა საჭიროა ეს ყველაფერი, როცა არსებობს თეატრი და კინო? საჭიროა. სწორედ ტელევიაზიაში დაიდგა და შემოგვრჩა ისეთი გენიალური სპექტაკლები, როგორიცაა "ბედი ქართლისა", "განდეგილი", "ჯაყოს ხიზნები", "თეთრი საყელო", "კუკარაჩა". მათ გახმაურებას ტელევიზიამ შეუწყო ხელი.

**ლაშა ბუღაძე:** კარგი იქნებოდა რადიოსპექტაკლებიც დაგვედგა. ამას დასავლურ თეატრში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სპეციალურად რადიოსთვის სპექტაკლებს ქმნიდნენ ცნობილი დრამატურგები ბეკეტი, სტოპარდი და სხვები... რას ფიქრობთ თეატრის კრიზისზე?

**დათო ანდღულაძე:** დღეს ქართული თეატრი სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის. არადა, ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფერო თეატრია. საინტერესოა, რომ ამ სფეროს შემოქმედებითი კრიზისი არა აქვს. და კიდევ - არსებობს რამდენიმე სახელმწიფო თეატრი, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა... ანუ მათ არა აქვთ იურიდიული სტატუსი. ამავე დროს არსებობს კულტურის სამინისტრო, ქალაქის განათლებისა და კულტურის სამსახური, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა თეატრების მოვლა და მათთან ერთად მოძიება იმ ფორმისა, რომლითაც მათი დაფუძნება შეიძლებოდა. ამ სფეროში თითქოს დაინტერესებული პირებიც არსებობენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება... რეფორმა ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება.

**ლაშა ბუღაძე**: როგორც წესი, ეკონომიკური კრიზისი ხარისხზეც აისახება. ქართული თეატრი მეტწილად ეპიგონური სახის ხომ არ არის?

**დათო ანდღულაძე**: საქმე ისაა, რომ ამინდს ყოველთვის გამონაკლისები ქმნიან, ანუ წარმატებული რეჟისორები, მსახიობები. მოწინავე შემოქმედებთან დაკავშირებით არანაირი ეპიგონობა არ შეინიშნება და ამაზე საუბარიც კი ზედმეტია.



დათო ანდღულაძე.



ლაშა ბუღაძე

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი განათლების ობიექტებისათვის 2005-2006 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საჭირო სათბობი მასალების (დიზელი L62, ნავთი და შეშა) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ტენდერი შედგება 7 (შვიდი) ლოტისაგან:

1 ლოტი - ვაკე-საბურთალოს რაიონის ობიექტებისათვის საჭირო დიზელის მიწოდება (355 ტონა).

2 ლოტი - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ობიექტებისათვის საჭირო დიზელის მიწოდება (220 ტონა).

3 ლოტი - მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ობიექტებისათვის საჭირო დიზელის მიწოდება (355 ტონა).

4 ლოტი - გლდანი-ნაძალადევის რაიონის ობიექტებისათვის საჭირო დიზელის მიწოდება (430 ტონა).

5 ლოტი - ისანი-სამგორის რაიონის ობიექტებისათვის საჭირო დიზელის მიწოდება (540 ტონა).

6 ლოტი - ნავთი (250 ტონა).

7 ლოტი - შეშა (8 000 $მ^3$).

2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ობიექტების ნუსხის შესაბამისად, 2005 წლის 7 ნოემბრიდან 2006 წლის 1 აპრილამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ოქტომბრის 10 საათიდან 21 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაცის გაცემის ბიუროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაცის გაცემის ბიუროდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს 2005 წლის 25 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი სიხარულიძე - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-73-15, 899-71-51-00 მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.

*სატენდერო კომისია.*

## ევრობანკმა "თიბისი ბანკს" 10 მილიონი დოლარი გამოუყო

### ახალი საკრედიტო ხაზით მცირე და საშუალო ბიზნესი დაფინანსდება

თიბისი ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების პროგრამაზე. სახელშეკრულებო თანხა 10 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რომელიც ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას მოხმარდება.

დღეისათვის საქართველოში ბიზნესის დაფინანსების სულ უფრო მზარდი მოთხოვნის პირობებში, ევრობანკის მიერ მოწოდებული ფინანსური რესურსი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული კომპანიების განვითარებას და გაფართოებას.

თიბისი ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხები მოხმარდება საწარმოების გადაიარაღებას, წარმოების გაფართოებას და საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას, მათ შორის - სავაჭრო კომპანიების საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თიბისი ბანკთან 1996 წლიდან თანამშრომლობს. ამ ინსტიტუტს დღემდე თიბისი ბანკისათვის 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტი რესურსი აქვს გამოყოფილი. **"ახალი ხაზის ათვისების შემდეგ ეს მაჩვენებელი 30 მილიონს გადააჭარბებს, რაც ევროპის წამყვანი ფინანსური ინსტიტუტის მხრიდან საქართველოს ლიდერი ბანკისადმი მაღალ ნდობაზე მიუთითებს. ეს საკრედიტო რესურსი თიბისი ბანკს დაეხმარება კიდევ უფრო გააძლიეროს ბაზარზე თავისი პოზიციები", - აღნიშნავს თიბისი ბანკის პრეზიდენტი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.**

ბოლო საკრედიტო ხაზი ევრობანკმა თიბისი ბანკს 3 თვის წინათ გაუხსნა. მისი მოცულობა 10 მილიონი აშშ დოლარი იყო. მაშინ ევრობანკმა თიბისი ბანკის მიერ ქართულ საწარმოებზე გაცემული სესხის 50%-ის თანადაფინანსება აიღო თავის თავზე - ეს იყო სინდიცირებული სესხის დანერგვის პირველი პრეცენდენტი საქართველოში. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გაიცა იმ დროისათვის საქართველოში ყველაზე მსხვილი ბიზნეს-სესხი - 7 მილიონი აშშ დოლარი, რითაც ლუდის ახალი ქარხანა "ნატახტარი" აშენდა.

უკვე სამი წელია, თიბისი ბანკი სტაბილურად ინარჩუნებს საქართველოში ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკის პოზიციას, რომელიც ლიდერია ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით. დღეისათვის ამ ბანკის აქტივები 520 მილიონ ლარს აღემატება, ხოლო საკრედიტო პორტფელი - 350 მილიონ ლარს. ბანკში განთავსებული მთლიანი დეპოზიტები 360 მილიონ ლარს შეადგენს.

**2005 წლის 19 სექტემბრის N208 გაზეთ "24 საათში" სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროექტის პროგრამის ფარგლებში ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებისა და ინვენტარის (სამედიცინო ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი) შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ გამოცხადებულ განცხადებაში, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

შესყიდვის ობიექტს დაემატა 23 პოზიცია, ხოლო შესყიდვის ობიექტის დასახელება და რაოდენობა მე-2 და მე-6 პოზიციაზე ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 2 | მექანიკური პიპეტი, ლაბორატორიული | 13 |
| 6 | ცენტრიფუგა, ლაბორატორიული | 4 |
| 23 | "მეტადონის ჰიდროქლორიდის" დოზიმეტრი, ლაბორატორიული | 6 |

**2005 წლის 19 სექტემბრის N208 გაზეთ "24 საათში" სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროექტის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო სახარჯი მასალების, რეაგენტების, ტესტ-სისტემების (სახარჯი მასალა, რეაგენტები/ტესტები ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ გამოცხადებულ განცხადებაში, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

შესყიდვის ობიექტი (ლოტი III) "ქიმრეაქტივების ნაკრები თხელფენოვანი ქრომატოგრაფიისათვის (ანალიზზე)" ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ქიმრეაქტივების ნაკრები და ქიმიური ჭურჭელი თხელფენოვანი ქრომატოგრაფიისათვის (ანალიზზე)";

შესყიდვის ობიექტის (ლოტი IV; ლოტი V; ლოტი VII) დასახელება და რაოდენობა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი /ტესტი) |
|---|---|---|
| ლოტი IV | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ოპიატები | 1450 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, მარიხუანა | 450 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ბენზოდიაზეპინი | 210 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ამფეტამინი | 60 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ბარბიტურატები | 60 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, მეტამფეტამინი | 50 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, კოკაინი | 60 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, მეტადონი | 50 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ბუპრენორფინი | 500 |
| | ექსპრეს-ტესტი (anti-HIV 1/2), ერთ ანალიზზე, აივ ინფექციაზე სკრინინგული კვლევებისთვის; | 3950 |
| | ექსპრეს-ტესტი (HBsAg) "ჰეპატიტ B" ზედაპირული ანტიგენის ტესტირებისათვის | 3050 |
| | ექსპრეს-ტესტი (Anti-HCV) "ანტი-ჰეპატიტ C" ტესტირებისათვის | 3050 |
| | ექსპრეს ტესტი სისხლში ათაშანგის ანტისხეულების განსაზღვრისათვის სწრაფი/ბარათი მეთოდით (RPR) | 8000 |
| ლოტი V | ტესტ-სისტემა აივ-ინფექციის (anti-HIV 1/2) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 6048 |
| | ტესტ-სისტემა C ჰეპატიტის (anti-HCV) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 4032 |
| | ტესტ-სისტემა B ჰეპატიტის (HBsAG) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 4032 |
| ლოტი VII | კონფირმაციული ტესტი აივ-ინფექციის (HIV 1/2) ტესტირებისათვის ("ვესტერ-ბლოტისათვის") | 198 |

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

# ელექტროენერგიის მომხმარებლები დაუცველნი არიან

*არჩევნებისა და ფინეთ-ყაზახეთის პრეზიდენტების ვიზიტების ფონზე, საზოგადოებისთვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩა ერთი ნიშანდობლივი მოვლენა: ელექტროენერგიის მომხმარებელთა უფლებების დამცველთა კიდევ ერთი მცდელობა,ჯერჯერობით, უშედეგოდ დამთავრდა. სახელმწიფო მანქანამ, ამჯერად - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახით, მონოპოლიების სასარგებლოდ კიდევ ერთი გადაწყვეტილება გამოიტანა. კერძოდ, 2005 წლის 29 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ "თელასს" საშუალება მისცა, ადრე დაგროვილი დავალიანება უძრავი ქონების ახალ მეპატრონეს მოსთხოვოს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ბინას იყიდით და შემთხვევით აღმოჩნდება, რომ ძველ მეპატრონეს "თელასის" ვალი ჰქონდა, კომპანია ვალების გასტუმრებას თქვენ მოგთხოვთ და თავისას მიიღებს კიდეც, რადგან მონოპოლისტისგან კანონი, კერძოდ კი - სამოქალაქო კოდექსი ვერაფრით დაგიცავთ.*

2005 წლის 29 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ განიხილა სს "თელასის" საკასაციო საჩივარი ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. თბილისის საოლქო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა "თელასის" მოთხოვნა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სემეკის აღნიშნული გადაწყვეტილებით კი, "თელასს" არა აქვს უძრავი ქონების ძველი მფლობელის მიერ დაგროვილი გადასახადების, იმავე ქონების ახალი მფლობელისაგან, კერძოდ, ვახტანგ ზარქუასაგან, გადახდის მოთხოვნის უფლება.

უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატის საკასაციო კოლეგიამ გააუქმა საოლქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი შესწავლისათვის გადააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქმეში მესამე პირებად ჩართულები იყვნენ ვახტანგ ზარქუა და ენერგომომხმარებელთა საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი დავით ებრალიძე. ვახტანგ ზარქუა აცხადებს, რომ **"უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის საკასაციო კოლეგიამ უხეშად დაარღვია საპროცესო ნორმები და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება."** იგი მიიჩნევს, რომ ამ და მსგავს გადაწყვეტილებათა თაობაზე საზოგადოებაში უნდა გაიმართოს სერიოზული მსჯელობა და მოხდეს ექსპერტებისა და საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის ობიექტური შეფასება.

დღეს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" გთავაზობთ ენერგოეფექტურობის ფონდისა და ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარის, საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ "ენერგეტიკის რეგულირების მაცნეს" მთ. რედაქტორის ვახტანგ ზარქუას სტატიას, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისათვის. სტატიაში განხილულია ორი კონკრეტული საკითხი. ერთი ეხება სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებისაგან, კერძოდ კი, "თელასისაგან" უკვე დაზარალებულ უძრავი ქონების ახალ მფლობელებს, აგრეთვე იმათაც, ვინც აპირებს უძრავი ქონების შეძენას. მეორე კი, ზოგადად, ეხება ელექტროენერგიის მომხმარებელთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თემას. სტატიაში განხილული საკითხები, სხვა საჭირბოროტო პრობლემებთან ერთად, მიანიშნებს რეფორმების გატარების აუცილებლობაზე დარგის რეგულირების სფეროში.

# "თელასს" ყველაფრის უფლება აქვს?

## ჩინოვნიკების პასიურობა მონოპოლისტის პრივილეგიებს კიდევ უფრო ამტკიცებს

### უპირველესი ამოცანა

ცნობილია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი მონოპოლიის სფეროებში. სახელმწიფო ვალდებულია, დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით დაარეგულიროს ურთიერთობები მომხმარებელსა და მონოპოლისტ კომპანიას შორის, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. მომხმარებელთა უფლებების დაცვა კიდევ უფრო დიდ, ანუ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარებად გზაზე შემდგარ ქვეყნებში, რადგან დემოკრატიული სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება და დაცვა, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც უკიდურესად მძიმეა. სწორედ ასეთ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება დღეს საქართველო. აღნიშნული გარემოებები და **საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებები დღის წესრიგში აყენებს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მოქმედი კანონების, სემეკის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვის საკითხს.**

ენერგოეფექტურობის ფონდმა ჯერ კიდევ 2003 წლის 12 დეკემბერს ოფიციალური წერილით სთხოვა სემეკს, რომ შეიმუშაოს თავისი დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვის გეგმა და ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო ორგანიზაციების მონაწილეობით დაიწყოს აღნიშნული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების კანონმდებლობასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი. სასიხარულოა, რომ სემეკის ახალმა შემადგენლობამ ეს პროცესი დაიწყო, თუმცა აშკარად შეიმჩნევა ზომაზე მეტი სიფრთხილე და ნელი ტემპი. ამას გარკვეული გარემოებები განაპირობებს. ვეცდებით, ისინი შემდეგში განვიხილოთ.

ამჟამად კი, გვსურს, თქვენი ყურადღება მივიპყროთ ენერგოეფექტურობის ფონდის ზემოხსენებული წერილით სემეკის წინაშე დაყენებულ ორ საკითხზე, რადგან ისინი დღესაც მეტად აქტუალურია.

### სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების უსაფუძვლო მოთხოვნები - გამოძალვის თუ უცოდინარობის შედეგი?

სემეკის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, მთლიანად გამოეცალა საფუძველი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების, მათ შორის "თელასის", უსამართლო მოთხოვნებს უძრავი ქონების ახალი მფლობელების მიმართ, ძველი მფლობელების მიერ დაგროვილი გადასახადების გადახდის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ენერგოეფექტურობის ფონდისა და, მეორე მხრივ, ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქის მოთხოვნების სემეკის მიერ განხილვის შედეგია. ენერგოეფექტურობის ფონდის სახელით სემეკის წინაშე, ზოგადად, დავაყენე იმ დადგენილების დებულებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნა, რომლებსაც "თელასი" ეყრდნობოდა უძრავი ქონების ახალი მფლობელების მიმართ საკუთარი პრეტენზიების შემთხვევაში. იმავე საკითხთან დაკავშირებით, პირადი განცხადებითაც მივმართე სემეკს "თელასთან" წარმოქმნილი კონკრეტული დავის გადაწყვეტის მოთხოვნით. ამ მოქმედებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სემეკის საქმიანობაში გარდატეხის შეტანის თვალსაზრისით, რადგან სემეკს მანამდე არასდროს განუხილავს მოქალაქესა და კომპანიას შორის დავა, თუმცა კანონით მას ყოველთვის ჰქონდა ამის გაკეთების შესაძლებლობა. ნაგულისხმები იყო ისიც, რომ კონკრეტულ დავაზე მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილება შეიძლება სამაგალითო გამხდარიყო ანალოგიური დავების გადაწყვეტისათვის.

დავის საგანი იყო უძრავი ქონების ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება, რომლის ანაზღაურებას "თელასი" ჩემგან, ანუ აღნიშნული ქონების ახალი მფლობელისაგან ითხოვდა. დავის საგანი გახლდათ აგრეთვე "თელასის" მიერ უძრავი ქონების ახალი მფლობელისათვის, გადაუხდელობის მოტივით, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტაც.

მიუხედავად იმისა, რომ ვარ ერთ-ერთი არასამთავრობო ენერგეტიკული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, კარგად ვიცნობ სამოქალაქო კანონმდებლობას, კოლეგებთან ერთად გამოვცემ ენერგეტიკის რეგულირების პრობლემებზე საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალს და ჩემს მოთხოვნას მხარს უჭერდა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი, მაინც ძალზე მძიმე გადასატანი აღმოჩნდა ჩემთვის "თელასთან" დაწყებული დავა, რომელიც დღემდე გრძელდება. ნიშანდობლივია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ "თელასი", გარკვეული პერიოდის მანძილზე, არ ასრულებდა სემეკის ზემოაღნიშნულ დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, პირადად ჩემთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი მძიმე ვითარებაა დღეს საქართველოში, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ახლა დეტალურად განვიხილოთ დასმული პრობლემა, აღნიშნული დავის მაგალითზე.

უძრავი ქონების ძველი მფლობელის მიერ დაგროვილი ვალების გადახდას სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები ითხოვენ იმავე ქონების ახალი მფლობელისაგან, მიუხედავად იმისა, ახალ მფლობელს ნაკისრი აქვს თუ არა აღნიშნული ვალების გადახდის ვალდებულება. ენერგოკომპანიები თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებისას ეყრდნობიან სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის N10 დადგენილების 21-ე მუხლის მეორე პუნქტს, სადაც აღნიშნულია, რომ "საცხოვრებელი ბინის ან დაკავებული ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, მხარეთა შეუთანხმებლობა არ ათავისუფლებს საცხოვრებელი ბინის ან დაკავებული ტერიტორიის ახალ მფლობელს არსებული დავალიანების გადახდისაგან". ამ ნორმის განმარტებისას, კომპანიების მთავარი არგუმენტი ყოველთვის ისაა, რომ გადასახდელი თანხა ერიცხება აბონენტს ანუ უძრავ ქონებას და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ გადაიხდის გადასახადს - აღნიშნული უძრავი ქონების ძველი თუ ახალი მფლობელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, შეუძლებელი იქნება გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება.

ენერგოკომპანიების წარმომადგენლები უძრავი ქონების ძველი მფლობელების დავალიანების იმავე ქონების ახალი მფლობელებისაგან ამოღების მიზნით, ხშირად სხვადასხვა ხრიკს მიმართავენ. კერძოდ, ისინი უძრავი ქონების ახალ მფლობელებს ადანაშაულებენ უყურადღებობაში, რადგან, თითქოს, უძრავი ქონების ახალი მფლობელი ვალდებულია, აღნიშნული ქონების ყიდვამდე ენერგოკომპანიაში გაარკვიოს ქონების ძველი მფლობელის დავალიანების არსებობის საკითხი და ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ ძველი მფლობელის მიერ აღნიშნული დავალიანების დაფარვის შემდეგ.

კომპანიები აგრეთვე მიმართავენ უძრავი ქონების ახალი მფლობელებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქონების ახალი მფლობელები პატიოსნად იხდიან უშუალოდ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს. მაგალითად, "თელასი" მოსახლეობაში 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილ ვალს, როგორც "მიმდინარე გადასახადს", გარკვეულ პერიოდზე ანაწილებს. თუ უძრავი ქონების ახალი მფლობელი არ გადაიხდის იმავე ქონების ძველი მფლობელის რესტრუქტურიზებულ ვალს, "თელასი" უწყვეტს ქონების ახალ მფლობელს ელექტროენერგიის მიწოდებას.

ჯერ ერთი, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ნებისმიერი მხარე არის იურიდიული ან ფიზიკური პირი და არა აბონენტი, რომელშიც ენერგოკომპანიები პირის უძრავ ქონებას მოიაზრებენ. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ტვირთი აწევს არა აბონენტს, როგორც უძრავ ქონებას, არამედ მხოლოდ აღნიშნული უძრავი ქონების მფლობელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე, გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის თავის წილ პასუხისმგებლობას პირი ვერ აიცდენს ქონების გასხვისებით, თუ ამ პასუხისმგებლობას აღნიშნული ქონების მყიდველი ან სხვა პირი ნებით არ იკისრებს.

მეორე, უძრავი ქონების მყიდველს კანონით არ ევალება ენერგოკომპანიაში წინასწარ არკვიოს აღნიშნული ქონების მფლობელის დავალიანების საკითხი. უძრავი ქონების მყიდველისათვის კანონით საკმარისია, გაარკვიოს მისთვის საინტერესო ქონება დაყადაღებულია თუ არა. არც ერთი ნასყიდობის ხელშეკრულება არ ფორმდება ე. წ. ყადაღის შესახებ ცნობის გარეშე. თუ ქონება დაყადაღებულია, მაშასადამე, მის გამყიდველს მესამე პირის (მაგალითად, ენერგოკომპანიის) მიმართ გააჩნია ფინანსური ან ქონებრივი ვალდებულება და ის ვერ მოახდენს დაყადაღებული ქონების გასხვისებას მანამ, სანამ აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს.

**დაყადაღების მექანიზმი არის სწორედ ის სამართლებრივი საშუალება, რითაც, ერთი მხრივ, უძრავი ქონების მყიდველს შეუძლია გაერკვეს აღნიშნული ქონების გამსხვისებლის ფინანსურ ვალდებულებებში ენერგოკომპანიის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ კი, ენერგოკომპანიას შეუძლია უძრავი ქონების გამსხვისებელი აიძულოს, დაფაროს მის მიმართ არსებული დავალიანება.**

ენერგოკომპანიები არ მიმართავენ ურჩი გადამხდელის ქონების დაყადაღებას, რადგან მათთვის ამის გაკეთება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე უძრავი ქონების ძველი მფლობელების გადასახადების ახალი მფლობელებისაგან ამოღება.

მესამე, მონოპოლისტ კომპანიას უფლება არა აქვს მომსახურება შეუწყვიტოს თავის იმ მომხმარებელს, რომელიც პატიოსნად იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს და უარს აცხადებს სადავო, მით უმეტეს სხვისი გადასახადების გადახდაზე. წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს სრულფასოვანი კონკურენცია. კომპანიის მიერ მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ მომხმარებელს შესაძლებლობა ექნებოდა, მომსახურება მიეღო რომელიმე სხვა კომპანიისაგან, თუ ის ასევე პატიოსნად გადაიხდიდა მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს. მომსახურების მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს აღნიშნული ტიპის მომხმარებელს მონოპოლისტი კომპანიისგანაც, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული კონკურენციის მსგავსი პირობები ბუნებრივი მონოპოლიის სფეროში. საკუთარი მოთხოვნის სამართლიანობის დადგენა და დაკმაყოფილება მონოპოლისტ კომპანიას შეუძლია მხოლოდ სემეკის ან სასამართლოს მეშვეობით.

მეოთხე, იმისათვის, რომ კომპანიის მოქმედება კანონმდებლობის ჩარჩოში მოექცეს, საჭიროა მან უძრავი ქონების ახალ მფლობელს "მიმდინარე გადასახადის" სახით დაარიცხოს მხოლოდ და მხოლოდ ამ მფლობელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი, ხოლო ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება ასახოს ქვითრის ცალკე გრაფაში. უძრავი ქონების ახალ მფლობელს ამით შესაძლებლობა ექნება, მხოლოდ მისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის შესაბამისად მიიღოს კომპანიისაგან მომსახურება. კომპანიამ კი თავისი მოთხოვნა, აღნიშნული უძრავი ქონების ძველი მფლობელის ვალის გადახდის თაობაზე, უნდა დაიცვას სემეკის ან სასამართლოს მეშვეობით.

ახლა კი იმის გარკვევა ვცადოთ, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სემეკის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაში.

2001 წლის 20 სექტემბრის N10 დადგენილების 21-ე მუხლის მეორე პუნქტს სემეკი განმარტავს შემდეგნაირად: "პუნქტში არსებული ჩანაწერი "მხარეთა შეუთანხმებლობა არ ათავისუფლებს მხარეს არსებული დავალიანების გადახდისაგან", თავის თავში არ გულისხმობს დავალიანების დაფარვის ვალდებულების აუცილებელ არსებობას. მოცემულ პუნქტში ჩადებულია ის აზრი, რომ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე გათავისუფლებული არ იქნება აღნიშნული ვალდებულების შესრულებისაგან, თუ ვალდებულება არსებობს. მოცემული დებულება მხარეს არც ვალდებულების შესრულებას აკისრებს და არც ათავისუფლებს მისი შესრულებისაგან". სემეკის ეს განმარტება იმას ნიშნავს, რომ

**უძრავი ქონების ახალი მფლობელი ვალდებული არ არის გადაიხადოს ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადი, თუ მან ეს ვალდებულება თავად არ აიღო.**

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან". მაშასადამე, თუ ამ დებულებით განსაზღვრული საფუძვლები არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ვალდებულებაც.

აღნიშნული დებულება ვალდებულებითი სამართლის ფუძემდებლური დებულებაა სამოქალაქო კოდექსში. ეს კოდექსი ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან. აქედან გამომდინარე, ის ყველასათვის ცნობილი და სახელმძღვანელო დებულება უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა,

**შვიდ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები ანგარიშს არ უწევენ სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლურ ნორმებს და უძრავი ქონების ახალი მფლობელებისაგან უკანონოდ ითხოვენ და, უმეტეს შემთხვევაში, მათგან იღებენ კიდეც ძველი მფლობელების მიერ დაგროვილი ელექტროენერგიის გადასახადებს.**

ყოველდღიურად უამრავი უძრავი ქონება იყიდება საქართველოში და ადვილი წარმოსადგენია, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები რა რაოდენობის მომხმარებელს სძალავენ სისტემატურად თანხას კანონის სახელით და რა თანხაზე შეიძლება იყოს საუბარი 1997 წლის 25 ნოემბრიდან დღემდე.

"თელასი" არ აპირებს დათმოს მომხმარებლებიდან თანხების ამოღების ზემოთ განხილული მარტივი, მაგრამ უსამართლო გზა და ცდილობს, სასამართლოს მეშვეობით მიაღწიოს მისთვის საინტერესო საბოლოო გადაწყვეტილებას ან აღნიშნული უსამართლობის გახანგრძლივებას. ჩვენთვის წარმოუდგენელია, თუ საბოლოოდ როგორ უნდა დაიცვას "თელასმა" თავისი აშკარად კანონსაწინააღმდეგო ინტერესი, განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

ზემოხსენებული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ძალზე შემაშფოთებელია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ:

* ენერგოსექტორში ამჟამადაც ადგილი აქვს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების მიერ კანონებისადმი უპატივცემულობასა და განუკითხაობას მომხმარებელთა საზიანოდ;

* ენერგომომხმარებელთა სამართლებრივი ცნობიერება უკიდურესად დაბალია;

* სემეკს მართებს მუშაობის გააქტიურება ენერგოსექტორში სამოქალაქო კანონმდებლობის პატივისცემისა და დაცვის მიმართულებით.

### ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

სემეკის 2001 წლის N10 დადგენილების 25-ე მუხლი ითვალისწინებს კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ იმავე დადგენილებაში არაფერია ნათქვამი მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც სამოქალაქო კოდექსით არის გათვალისწინებული. მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება დიდ გაუგებრობას ქმნის და კომპანიას აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მომხმარებლების ინტერესების ხარჯზე, რადგან მომხმარებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანიას ეძლევა სემეკის აღნიშნულ დადგენილებაზე აპელირების საშუალება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, ჩვენი აზრით, საჭიროა დადგენილების 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, სადაც გათვალისწინებული იქნება მომხმარებლის უფლება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

### ექსპერტთა რეკომენდაციები:

განხილულ საკითხებზე მსჯელობა იძლევა შემდეგი რეკომენდაციების სემეკისათვის შეთავაზების საფუძველს:

1. 2001 წლის 20 სექტემბრის N 10 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტი უნდა გაუქმდეს, რადგან იგი მისი კანონთან შეუსაბამო შინაარსით წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა;

2. აღნიშნული დადგენილების 25-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, სადაც აღნიშნული იქნება, რომ **"მომხმარებელს უფლება აქვს კომპანიისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად";**

3. სემეკმა უნდა უზრუნველყოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვითრის ფორმის კანონთან შესაბამისობა, კერძოდ, ქვითრის გრაფა "მიმდინარე გადასახადი" უნდა ასახავდეს უძრავი ქონების მხოლოდ ახალი მფლობელის გადასახადს, ხოლო ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება კი შესაძლოა, დროებით (საკითხის გარკვევამდე) აისახოს ქვითრის ცალკე გრაფაში;

4. სემეკმა უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება საჩივრების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, კანონით დადგენილი ვადების მკაცრად დაცვისათვის.

მოკლედ

## სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ზამთრის სეზონისთვის ემზადება

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს. 3 ოქტომბრის ღამის 12 საათზე, 60 მეგავატი ოდენობის დენი საქართველოში "სალხინოს" ხაზით შემოვა.

ამასთან, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" აქტიურად იწყებს ზრუნვას ზამთრის სეზონზე გადამხდელი აბონენტების შეუფერხებელი ენერგომომარაგებისთვის. როგორც ცნობილია, ზაფხულის სეზონის დასრულებასა და აცივებასთან ერთად, ბუნებრივია, მოსალოდნელია ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა. ამიტომ, ენერგოკომპანია უკვე ცდილობს, დაიცვას ენერგობალანსი და უზრუნველყოს დამატებითი ელექტროენერგიის შესყიდვა იმ ოდენობით, რა ოდენობის დეფიციტიც შეიძლება მოხმარების ზრდის შედეგად შეიქმნას.

ამ დროისათვის კი სგსე ახორციელებს 700 ათასი კილოვატსაათის იმპორტს სომხეთიდან "ლალვარის" და "აშოცკი-ნინოწმინდის" გადამცემი ხაზების მეშვეობით.

შედეგად, ამჟამად ენეგოკომპანიის დღელამური მოხმარება 4 მილიონ 800 ათასი კილოვატსაათის შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ "ფი-ეი ქონსალთინგ გრუფი" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვას ახორციელებს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული შუალედური მმართველობითი ხელშეკრულების შესაბამისად აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

გარდა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვისა, "ფი-ეი ქონსალთინგი" ასევე ზედამხედველობას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის რამოდენიმე დიდ პროგრამას, საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების, საკრედიტო სისტემის განვითარებისა და თემთა მობილიზების პროგრამის ჩათვლით.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ჩამოყალიბდა 2002 წელს, რეგიონალური ელექტროგამანაწილებელი კომპანიების შერწყმის შედეგად. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კერძო სააქციო საზოგადოებას, რომლის აქციების 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა. კომპანიის მომსახურეობის არეალი ფარავს საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს და მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებს. კომპანიას ჰყავს დაახლოებით 660 000 მომხმარებელი და 4 000 თანამშრომელი.

## საქართველოს გაზით ყაზახეთი მოამარაგებს

ყაზახური მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, წელს საქართველო ბუნებრივი აირით უწყვეტად მოამარაგოს. ყაზახეთის მთავრობა ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს რუსეთის ხელისუფლებასთანაც მართავს. გაზის სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობა ყაზახურ მხარეს ჰპირდება, რომ ნავთობის ექსპორტირებისთვის შავი ზღვის აკვატორიის გამოყენებაში ხელს შეუწყობს.

როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა დააკონკრეტა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყაზახეთთან ქართული მხარე ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ძირითადი საკითხები შეთანხმებულია - სავარაუდოდ, საქართველო ყაზახეთში დაახლოებით 2 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს შეიძენს. შესათანხმებელი მხოლოდ ყაზახური აირის ფასი რჩება.

გილაურის თქმით, მოლაპარაკებები გაზის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით "გაზპრომთანაც" მიმდინარეობს, რათა რუსულმა ენერგოგიგანტმა მისცეს საქართველოს ყაზახეთიდან აირის რუსეთის გავლით შემოტანის უფლება მისცეს.

## მე-9 ენერგობლოკი ჩაირთო

"მტკვარი-ენერგეტიკამ" "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკი ქვეყნის ერთიან ელექტროსისტემაში ჩართო. როგორც თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის, "რაო ეეს როსიის" შვილობილი "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, ბლოკი ქვეყნის ენერგოსისტემას ოქტომბერში 200 მეგავატი ელექტროენერგიით მოამარაგებს, ნოემბრიდან 2006 წლის მაისამდე კი ის უკვე 250 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მე-9 ენერგობლოკის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2005 წლის ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე გრძელდებოდა. ამ სამუშაოებზე 3 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

## მაღალი ძაბვის ანძები გაყიდეს

ს.ს "ურავის" დირექტორი, ამბროლაურში მცხოვრები, 53 წლის მამუკა ყიფიანი სამართალდამცველებმა გაფლანგვაში ამხილეს. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამბროლაურის პოლიციის თანამშრომლებმა სატვირთო ავტომანქანა "გაზ - 53" მძღოლი მერაბ სულაქველიძე გააჩერეს, რომელსაც ავტომანქანაზე ს/ს "ურავის" კუთვნილი მაღალი ძაბვის დაჭრილი ანძებით ჰქონდა დატვირთული. როგორც გაირკვა, დაჭრილი ანძები, რომლის წონა 2 ტონას შეადგენდა, ყიფიანმა უკანონოდ გაყიდა. ყიფიანი და სულაქველიძე ხელწერილით გაუშვეს.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "ემსხვერპლა" ამ საქმეს, არ ვრცელდება.

# გაიცანით "მის საქართველო 2005"

## სალომე ხელაშვილი "მის მსოფლიოზე" მონაწილეობისთვის ემზადება



მის რუმინეთი, მის ჩეხეთი და მის საქართველო.



"ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე" - 15 წლის ნინა აფანასევა.



მის საქართველო 2005 - სალომე ხელაშვილი.

92-63-93 - ეს ტელეფონის ნომერი არ გეგონოთ, წლევანდელი "მის საქართველოს" პარამეტრებია. 176 სანტიმეტრის სიმაღლის 19 წლის სალომე ხელაშვილი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ყველაზე ლამაზი გოგონას სახელს ატარებს. ამ ტიტულის მოსაპოვებლად მასთან ერთად 27 ლამაზმანი იბრძოდა, მაგრამ საუკეთესოდ მაინც სალომე დაასახელეს.

კომპანია "იმიჯ-ცენტრის" მიერ ორგანიზებული სილამაზის კონკურსი "მის საქართველო" უკვე მესამედ ჩატარდა, ხოლო ზედიზედ მეორედ მისი მასპინძელი ბათუმი იყო. როგორც ჩანს, ეს ზღვისპირა ქალაქი სალომეებისთვის იღბლიანია, რადგან შარშანდელი "მის საქართველო", სალომე ჩიკვილაძე, წლევანდელი გამარჯვებულის მოსახელეა.

"მის-საქართველოს" გამოსავლენად შვიდკაციანი ჟიური შეიკრიბა, რომელსაც საზოგადოებრივი არხის გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი თავმჯდომარეობდა. ჟიურის შემადგენლობაში პოლიტიკოს გიორგი არველაძესა და გია ბარამიძესთან ერთად, უკრაინელი მომღერლის რუსლანას პროდიუსერი გელა თოდუა, "მის-მსოფლიოს" ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრა კოივა და "მაგი-სტილის" გენერალური დირექტორი ირინა კაჭარავა იყვნენ. "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელის ია კიწმარიშვილის თქმით, ჟიურის წევრთა შერჩევის პრინციპი მარტივი იყო: "ჩვენ საზოგადოებაში ცნობილი სახეები შევარჩიეთ". საღამოზე სტუმრად მოწვეული იყვნენ რუმინეთის, ჩეხეთისა და უკრაინის სილამაზის კონკურსში გამარჯვებულებიც.

სცენისთვის დეკორაციები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეიქმნა, რეჟისურასა და მუსიკალურ გაფორმებაზე კი ბასა სამხარაულმა იზრუნა. საღამო სინთეზური მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა - ეროვნულ კომპოზიციებს ბრაზილიური და არაბული მუსიკა ერწყმოდა. ასეთი მუსიკის თანხლებით გოგონები ჯერ საცურაო კოსტიუმებით გამოვიდნენ, შემდეგ - ეროვნული სამოსით, ბოლოს კი საღამოს კაბებში გამოწყობილები.

შედეგების გამოცხადებამდე მაყურებელი განსაკუთრებული ოვაციებით "მის საქართველოს" ტიტულის მომავალი მფლობელის სალომე ხელაშვილისა და კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილის ნინა აფანასევას გამოსვლას ხვდებოდა. ნინა აფანასევა კონკურსში მონაწილე ერთადერთი ბათუმელი იყო. იგი სილამაზის კონკურსზე არსებული ასაკობრივი ცენზის გამო (17 წლამდე კონკურსანტისთვის საპრიზო ადგილზე გასვლა არ შეიძლება) წამყვანი საპრიზო ადგილის გარეშე დარჩა.

საღამოს დასასრულს ჟიურის წევრები და კონკურსანტები ავტოგრაფებს არიგებდნენ, ფოტოებს იღებდნენ და კონკურსს აფასებდნენ. თამარ კინწურაშვილის თქმით: "შერჩევა რთული იყო, მაგრამ წინააღმდეგობები არ ყოფილა. ერთადერთი, ყველამ ჩათვალა, რომ 28-ე ნომერი (ნინა აფანასევა) ძალზე მომხიბვლელი იყო. უბრალოდ, მას ასაკობრივი ცენზის გამო არ მიეცა საშუალება, დაეკავებინა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი". არჩევანის გაკეთება გიორგი არველაძესაც გაუჭირდა: "ამდენ ლამაზმანს შორის ძნელი იყო რომელიმე გამოგერჩია. "მის საქართველოს" მთავარი ღირსება მისი სილამაზე და ეროვნული შტრიხების მქონე გარეგნობა გახდა". "ძალიან მომწონს ჟიურის არჩევანი, სავსებით ვეთანხმები მათ", - ამბობს ნინა აფანასევა.

"მის საქართველო" სალომე ხელაშვილი მომავალი ჟურნალისტია და კულტურის, კერძოდ, შოუბიზნესის სფეროში აპირებს მოღვაწეობას. ძალიან უყვარს მუსიკა, ხოლო როდესაც მოწყენილია, სპირიტუალური მუსიკის მოსმენას ამჯობინებს. სალომე "იმიჯ-ცენტრის" მოდელია. ამ საქმეს ცოტა ხნის წინ მოჰკიდა ხელი, თუმცა მოდელობის გაგრძელებაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს.

ვინც კონკურსის მსვლელობას ადევნებდა თვალყურს, შეამჩნევდა, რომ ახალი "მის საქართველო" სცენაზე შესაშური სიმშვიდით გამოირჩეოდა და არც მაშინ დაბნეულა, როდესაც სალომე ჩიკვილაძის მიერ დადგმული დიადემა ჩამოუვარდა.



კონკურსანტები

**სალომე ხელაშვილი:** "გვირგვინი რომ ჩამომივარდა, მაშინვე ხელით დავიჭირე და თავზე დავიმაგრე - ის ხომ უკვე მე მეკუთვნოდა! ეს საოცარი გრძნობა იყო. კონკურსის დაწყებისას, ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჟიური მე ამომარჩევდა, რადგან ყველა კონკურსანტი თავისებური სილამაზით გამოირჩეოდა. გოგონებმა გამარჯვება სიხარულით, მთელი გულით მომილოცეს. ბედნიერია ჩემი ოჯახიც, რომელსაც ბოლომდე სჯეროდა ჩემი გამარჯვების. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ საერთოდ აღარ მახსოვს დამღლელი მოსამზადებელი ორი კვირა. წინ ახალი სამზადისი მელის - დეკემბერში "მის მსოფლიოზე" მომიწევს გამგზავრება."

2004 წლის კონკურსისგან განსხვავებით, წელს "მის-საქართველო" მანქანით ვერ დააჯილდოვეს. ია კიწმარიშვილის თქმით: "ყველაზე დიდი საჩუქარი საერთაშორისო სილამაზის კონკურსებში მონაწილეობაა". საპრიზო ადგილების მფლობელი გოგონები "მის-მსოფლიოს", "მის-სამყაროსა" და "მის-ტურიზმ-ინტერნეიშენალის" კონკურსებში მიიღებენ მონაწილეობას.

პირველი ვიცე-მისის ტიტული ეკა ბუაძეს, მეორე კი მარი ნურიევას ერგო. დანარჩენი საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

"მის-მეგობრობა" - მარგარიტა ლუჩკო;
"მის-ფოტოგენურობა" - ნინო სურგულაძე;
"მაყურებელთა სიმპათია" - მაგდა სანიკიძე;
"მის-ტელეგენურობა" - იანა კოკოულინა;
"ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე" - 15 წლის ნინა აფანასევა;
"მის-ინტელექტი" - სოფო სვიმონიშვილი;
"მის-ელეგანტურობა" - თამარ კოპიაშვილი;
"მის-მომხიბლელობა" - ნინო სურგულაძე;
"მის-ექსტრავაგანტურობა" - თეონა ფეიქრიშვილი;
"მის-გრაცია" - ლიზი კარტოზია;
"მის-მოდელი" - ნინა აფანასევა.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს 2005 წლის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი: ანტირაბიული იმუნოგლობულინი - 10 000 კომპლექტი (განზავებით 1/100 მლ);**

**II ლოტი: ანტირაბიული ვაქცინა კონცენტრირებული, კულტურალური - 1 700 კომპლექტი.**

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა 2005 წლის 15 ნოემბრიდან 2005 წლის 15 დეკემბრამდე. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად პირობით: **DDP**, ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 76/1.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცილური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ნებართვა ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ;

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ანტირაბიული საშუალებების მოწოდება "ცივი ჯაჭვის" პრინციპების მკაცრი დაცვით.

10. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 24 ოქტომბერს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრედენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 26 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

12. პრეტენდენტებს ტენდერის თითოეულ ლოტზე უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი ისე ალტერნატიული წინადადება (წინადადებები).

13. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

14. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტის ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ქვეკომპონენტის მიხედვით მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი:** ანტიტეტანური შრატი (3 000 ერთეული) - 300 ამპულა;

**II ლოტი:** ანტიდიფტერიული შრატი (10 000 ერთეული) - 200 ამპულა;

**III ლოტი:** ანტიბოტულინური შრატი (3 000 ერთეული) - 900 ამპულა. მათ შორის:

ა ტიპის - 300 ამპულა;

ბ ტიპის - 300 ამპულა;

ე ტიპის - 300 ამპულა;

**IV ლოტი:** ანტიგანგრენოზული შრატი (პოლივალენტური 10 000 ერთეული) - 100 დოზა;

**V ლოტი:** გველის შხამის საწინააღმდეგო პოლივალენტური შრატი - 200 სამკურნალო დოზა;

**VI ლოტი:** ჯილეხის (ციმბირის წყლულის) იმუნოგლობულინი - 50 ამპულა;

**VII ლოტი:** ყვითელი ცხელების ვაქცინა - 300 დოზა.

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა 2005 წლის 15 ნოემბრიდან 2005 წლის 15 დეკემბრამდე. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პირობით: **DDP**, ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N76/1.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცილური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ნებართვა ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ.

***შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში წარმოდგენილი იქნება არარეგისტრირებული მედიკამენტი, მიმწოდებელმა უნდა იკისროს წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ საქონლის მოწოდებას განახორციელებს "განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივი დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება), ან გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესების არსებობის შემთხვევაში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 სექტემბრის N490 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.***

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 24 ოქტომბერს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრედენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 26 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები) თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

12. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ, ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეფერალური დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: რეფერალური დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 24 ოქტომბრიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, თინათინ ხეჩინაშვილი ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

*სატენდერო კომისია*

# ფრანკფურტის ავტოსალონი - წლის მთავარი საავტომობილო გამოფენა

მერაბ ლორთქიფანიძე

ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონი (IAA - ინტერნაციონალ აუტომობილ აუსტელუნგ) უძველესია ევროპაში, თუმცა იმის გამო, რომ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, წელს სულ 61-ედ გაიმართა. როგორც წესი, ფრანკფურტის ავტოსალონი დამთვალიერებლების რაოდენობით თითქმის არაფრით ჩამორჩება პარიზისა და ჟენევის ავტოსალონებს, ხანდახან კი სწორედ გერმანიის მთავარ ბიზნეს-ქალაქს ირჩევენ ავტოკომპანიები თავიანთი მთავარი სიახლეების წარმოსაჩენად. ამ მხრივ, გამონაკლისი არც წლევანდელი ავტოსალონი ყოფილა, რომელზეც 44 ქვეყნის ათასზე მეტმა კომპანიამ წარმოადგინა თავისი სიახლე.

სხვათა შორის, გერმანიის ავტო ინდუსტრიის ასოციაციამ პირველი საავტომობილო გამოფენა ჯერ კიდევ 1897 წელს ჩაატარა ბერლინის სასტუმრო "ბრისტოლში". იქ გამოიფინა 8 ცალი "მოტორიზებული ურემი". 1911 წლამდე გამოფენა ყოვეწლიურად ტარდებოდა, 1914 წელს კი პირველი მსოფლიო ომის გამო, რამდენიმე წლით შეწყდა. გამოფენამ 1921 წელს განაახლა მუშაობა, მაგრამ 1926 წლამდე მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობისა იყო.

სწორედ 1926 წლის გამოფენაზე გამოჩნდა პირველი უცხოელი მონაწილე, 1939 წელს კი, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, გამოფენა-სალონს რეკორდულად ბევრი, 825 ათასი დამთვალიერებელი ნახულობს. აღსანიშნავია ისიც, რომ 1951 წლამდე გამოფენა-სალონი ბერლინში ტარდებოდა, 1951 წლიდან კი ის ფრანკფურტში იქნა გადატანილი.

1961 წელს ავტოსალონზე დასწრების მორიგი რეკორდი დამყარდა - იქ გამოფენილი ავტოექსპონატები 950 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. გავიდა კიდევ 4 წელი და IAA-ს ავტოსალონის დამთვალიერებელმა პირველად იხილა იაპონური ავტომობილი. 1991 წლიდან მოყოლებული, ავტოსალონი ორ ნაწილად გაიყო - კენტ წლებში მასში მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების მწარმოებლები მონაწილეობენ, ლუწ წლებში კი ავტოსალონი კომერციულ და სატვირთო ავტომობილებს, ასევე სამგზავრო და სპეციალურ ავტომობილებს ეთმობა.


ლანბორგინის სტენდთან ყველაზე მეტი ხალხი იყრიდა თავს.


სეატის მთავარი სიახლე სპორტული ალტეა FR იყო


მეტი თვალსაჩინოებისთვის ტოიოტამ ასეთი ექსპონატებიც წარმოაჩინა


უგზოობის Q7 აუდის ახალი ვარსკვლავია

ფრანკფურტის IAA-ს წლევანდელ ავტოსალონზე მარტო გერმანულმა კომპანიებმა 77 ახალი ავტომობილი და სხვადასხვა კვანძების ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტა გამოფინეს. გერმანელთა აქტიურობა გასაგებია - ეს მათი "შინაური" ავტოგამოფენაა და ბუნებრივია, მათ აქ განსაკუთრებით სურდათ თავის გამოჩენა. თუმცა, ახლა რომ პარიზის ავტოსალონის ჯერი ყოფილიყო (პარიზული ავტოსალონი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ენაცვლება ფრანკფურტისას), გერმანელთა სტენდებზე ალბათ ამდენივე სიახლე იქნებოდა.

სულ კი ავტოსალონზე 122 ახალი, ან განახლებული ავტომობილი წარდგა დამთვალიერებელთა წინაშე. აქედან 80 მოდელს მსოფლიოს მასშტაბის დებიუტი ჰქონდა. ახალ ავტომობილებს შორის იყო: "აუდი Q7", "ბემვეს" მე-3 სერიის სედანის ბაზაზე დამზადებული უნივერსალი, "ფიატ გრანდე პუნტო", "ჰონდა სივიკი", "მერსედეს-ბენცის" S-კლასის ახალი სედანი, "ოპელ ასტრა ტვინ ტოპი", "პეჟო 407 კუპე", "პორშე კაიმან S", მესამე თაობის "რენო კლიო", კაბრიოლეტი "ვოლვო C70" და სხვა.

ფრანკფურტის IAA-ს წლევანდელ ავტოსალონზე ყურადღება გამახვილდა ალტერნატიული საწვავისა და აგრეგატების გამოყენებაზე, ასევე გავრცელებული სისტემების შემდგომ დახვეწაზე. ყველაფერი კი იმისთვისაა, რომ შემცირდეს გამონაბოლქვი აირების რაოდენობა და შემცირდეს ტრადიციული საწვავის მოხმარება. გარდა ამისა, კვლავ წინა პლანზეა ავტომობილების უსაფრთხოების ახალი სისტემების დანერგვა-განვითარება.

უშუალოდ ავტომწარმოებლების გარდა, ფრანკფურტში შეინიშნებოდა მაკომპლექტებელი ნაწილებისა და სისტემების მწარმოებელთა აქტიურობა. მათი მიზანიც ავტომწარმოებელთა მიზნების მსგავსია - უსაფრთხოება, ეკონომიურობა, ეკოლოგიურობა და კომფორტი. მაკომპლექტებლების მწარმოებელმა კომპანიებმა ასევე წარმოადგინეს ახალი ჰიბრიდული აგრეგატები, სამუხრუჭე და სხვა სისტემები.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: როგორც წესი, ყველა ავტოსალონს თავისი "ვარსკვლავები", ეგრეთ წოდებული შოუ-სტოპერები ჰყავთ. ასე იმ ექსპონატებს მოიხსენიებენ, რომლებთანაც ყოველთვის დიდი რაოდენობით დამთვალიერებელი იყრის თავს. როგორც წესი, შოუ-სტოპერის როლს ექსკლუზიური სუპერავტომობილები და ისეთი კონცეპტუალური ნამუშევრები ასრულებენ, რომლებშიც კონსტრუქტორებმა ბევრი სიახლე, ხშირად არცთუ მისაღები, გამოიყენეს.

ამ მხრივ, ფრანკფურტი ნამდვილად არ ბრწყინავდა. თუმცა, გამოფენას არც უვარსკვლავოდ ჩაუვლია. ასეთი იყო "მერსედესბენცის" S-კლასის ახალი სედანი, რომლის მონაცემები ფრანკფურტამდე ორი თვით ადრე კი გამოქვეყნდა, მაგრამ მისი მსოფლიო დებიუტი IAA 2005-ზე შედგა.

პრესტიჟული გერმანული მარკის ფლაგმანი ამიერიდან უფრო უსაფრთხო, დიდი, მდიდრული და სრულყოფილი გახდა. მის გარდა, შტუტგარტელებმა გამოფენაზე წარადგინეს M-კლასის უგზოობის ავტომობილის გაძლიერებული ვარიანტი, რომელიც V8 კონფიგურაციის, 5.1 ძრავითაა აღჭურვილი. საფუძვლიანი მოდერნიზაციის შემდეგ, ამ აგრეგატის სიმძლავრემ 510 ცხენის ძალას მიაღწია. "მერსედესისვე" სტენდზე წარმოდგენილი იყო R-კლასის ახალი, ევროპის ბაზრისთვის მომზადებული ქროსოვერი, რომელსაც კომპანიის ჩრდილოამერიკული ქარხანა გამოუშვებს.

ფრანკფურტში მხოლოდ ერთი სიახლით წარდგა პრემიუმის კლასის ავტომობილების მწარმოებელი კიდევ ერთი გერმანული კომპანია "ბეემვე". მისი სიახლეა კუპე Z4, რომელიც იმავე ინდექსის მატარებელი როდსტერის ბაზაზე დამზადდა.

სამაგიეროდ, დამთვალიერებელს უამრავი სიახლე შეაგება გერმანული ავტოინდუსტრიის "დიდი სამეულის" კიდევ ერთმა წევრმა, კონცერნმა "ფოლკსვაგენმა". მის პავილიონში თავს იწონებდნენ ქროსოვერი "ბედუინი", რომელიც მოდელ "გოლფის" ბაზაზეა დამზადებული, შესანიშნავი კუპე-კაბრიოლეტი "ეოსი", ყველაზე სწრაფი "გოლფი" ინდექსით R32, რომელიც 250-ცხენისძალიანი ძრავითა და ყველა წამყვანი თვლითაა აღჭურვილი.

მათ გარდა, აქვე ნახავდით უნივერსალის ძარიან "პასატს" და ჩვეულებრივ "გოლფს", რომელსაც უჩვეულო ძრავი აქვს კაპოტქვეშ. ამ ძრავის თავისებურება ისაა, რომ იგი ორივე ტიპის, ტურბო და მექანიკური დამჭირხნითაა აღჭურვილი. ამ სიახლის შესახებ ჩვენ აუცილებლად მოგითხრობთ, როცა ვოლფსბურგული კონცერნის სიახლეებს შევეხებით.

რა თქმა უნდა, თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს "ფოლკსვაგენის" ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა - გერმანულმა "აუდიმ", რომლის ვარსკვლავი იყო კომპანიის ისტორიაში პირველი უგზოობის ავტომობილი სახელად Q7, ასევე კუპე TT-ს ახალი თაობის ავტომობილი. სიახლეები ჰქონდათ ასევე ჩეხურ "შკოდას", ესპანურ "სეატსა" და ინგლისურ "ბენტლის".

რამდენიმე სიახლე ჰქონდა "ჯენერალ მოტორსის" გერმანულ შტო "ოპელსაც", რომლის სტენდის ყველაზე გამორჩეული ექსპონატი იყო უგზოობის მოდელი "ანტარა". ამან მომავალში მოდელი "ფრონტერა" უნდა შეცვალოს.

ბევრი სიახლე ჰქონდა "პორშესაც". მის სტენდზე მთავარი ადგილი უნდა დაეკავებინა ოთხკარიან კუპე "პანამერას", რომელსაც კომპანია 2008 წლისთვის ამზადებს. თუმცა, კომპანიამ მისი პროტოტიპის ფრანკფურტში გამოფენა ბოლო მომენტში გადაიფიქრა. სტენდის მთავარი ადგილი კი დაიჭირა კუპე "კაიმანმა", რომლის გაყიდვებიც მალე დაიწყება. ეს ავტომობილი ჩვენს მკითხველს უკვე გავაცანით, ამიტომ, მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

საერთოდ, ფრანგული კომპანიები თავიანთ მთავარი სიახლეების პრემიერებს პარიზის ავტოსალონს ამთხვევენ ხოლმე, თუმცა ამჯერად, მათ არაერთი საინტერესო ნამუშევარი ფრანკფურტში წარმოადგინეს. ყოველ მათგანს ჰქონდა მინიმუმ თითო კონცეპტუალური ავტომობილი და რამდენიმე სერიული სიახლე. ყველაზე მეტი სიახლით კი ისევ "პეჟომ" გამოიჩინა თავი, რომლის სტენდსაც ამშვენებდა კომპანიის ტრადიციულ დიზაინ-კონკურსში გამარჯვებული ნამუშევარი, უცნაური, ორბორბლანი ავტომობილი "მუვი" - "ფრანგულ ლომებს" ტრადიციად აქვთ ამ კონკურსში მოგებული ნამუშევრის მოქმედი მოდელის დამზადება.

ევროპელთა გარდა, ფრანკფურტში თავიანთი სიახლეები გამოფინეს იაპონელებმა, ამერიკელებმა, კორეელებმა და, ასე განსაჯეთ, ჩინელებმაც კი.

ავტოსალონზე ჩინელთა მონაწილეობა ისტორიული ფაქტია. ერთ დროს იაპონელებსა და კორეელებსაც ასე უცხოდ უყურებდნენ, ახლა კი ისინი თანდათან იპყრობენ მსოფლიოს ავტობაზარს. ჰოდა, ჩინელებისგანაც მალე იგივეა მოსალოდნელი. დღეს კი, გერმანიაში ჩატარებული ქრეშ-ტესტების დროს, ჩინურმა ავტომობილებმა უდაბლესი შეფასება მიიღეს. თუმცა, მათ ისეთი დაბალი ფასი ადევს, ალბათ მაინც ბევრ პრობლემას შეუქმნიან ევროპის ბაზრის ლიდერებს.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი - ისევე როგორც თავის დროზე იაპონელებისა და კორეელების პროდუქცია, ჩინელების ავტომობილებიც კონკურენტთა ცნობილ მოდელებს ჰგავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იაპონელებიც, ევროპელებიც და ამერიკელებიც, ჩინეთის ბაზრის ათვისებას რომ ცდილობენ, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ მწარმოებლებთან იწყებენ პარტნიორულ ურთიერთობას. პარტნიორობას კი იმ მოდელების ერთობლივი წარმოება მოჰყვება, რომლებიც უცხოელი (ევროპელი, ამერიკელი და იაპონელი) კომპანიების საწარმოო პროგრამიდან ამოღებულია.

ამის მაგალითია ჩინური კომპანია "ჩერის" უგზოობის ავტომობილი "ტიგო". გარეგნულად ეს ავტომობილი ძლიერ ჰგავს "ტოიოტა RAV4-ს", კაპოტქვეშ კი მას "მიცუბიშის" წარმოების 2.4-ლიტრიანი ძრავი უდგას. ამაში გასაკვირი არაფერი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ჩერის" ორივე იაპონურ კომპანიასთან აქვს ერთობლივი საწარმოები. ჰოდა, ევროპაში დასამკვიდრებლად ორივეს გამოცდილებას იყენებს - ერთისგან მოძველებული, თუმცა ჯერაც მიმზიდველი გარეგნობის ავტომობილის ძარის წარმოების უფლება მიიღო, მეორისგან კი თანამედროვე ძრავები და სხვა ნაწილები. საბოლოოდ კი დაამზადა ავტომობილი, რომლითაც ევროპელი მყიდველის გულის მოგებას ეცდება. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ასე დაიწყეს ჯერ იაპონელებმა, შემდეგ კი კორეელებმაც...

ფრანკფურტშივე რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა, რომლებსაც საინტერესო განვითარება ელით.

## მომავალი ჰიბრიდებისაა, თუ?..

ამ ტიპის აგრეგატებით აღჭურვილი პირველი ავტომობილები იაპონელებმა დაამზადეს. სწორედ ისინი არიან პიონერები და მათვე უწევთ გზის გაკვლევა, რასაც ბევრი სირთულე სდევს თან.

იმის თქმა, რომ იაპონურმა ჰიბრიდულმა ავტომობილებმა მყიდველთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, არ შეიძლება. უფრო პირიქით. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სპეციალისტებმა შარშან ევროპის წლის საუკეთესო ავტომობილად სწორედ ჰიბრიდული აგრეგატებით აღჭურვილი "ტოიოტა პრიუსი" დაასახელეს. რეალურად, ეს უფრო ამ ტიპის ავტომობილებისათვის გაღებული ავანსი იყო, ვიდრე სამართლიანი გადაწყვეტილება.

ჰოდა, ამ არჩევანს შედეგად ის მოჰყვა, რომ ევროპელმა ავტომწარმოებლებმაც უფრო ინტენსიურად დაიწყეს ანალოგიური აგრეგატების შექმნაზე ზრუნვა, რისი შედეგებიც პირველად სწორედ ფრანკფურტში გამოჩნდა.

"მერსედესმა", "ბეემვემ" და "აუდიმ" გამოფენაზე წარადგინეს ჰიბრიდული აგრეგატებით აღჭურვილი კონცეპტუალური ავტომობილები, რომლებიც უფრო იმის დემონსტრირება იყო, რომ ეს კომპანიები შესაბამის სფეროში უკვე მუშაობენ. თორემ, როგორ შეიძლება, "აუდი Q7 ჰიბრიდს" ჰიბრიდული უწოდო, როცა მასში ელექტროძრავი მხოლოდ მძღოლის შესაბამისი ბრძანების შემდეგ ირთვება და თანაც, მეტად მცირე სიმძლავრეს გამოიმუშავებს. მოკლედ, ამ ავტომობილს სიმბოლურად შეიძლება ეწოდოს ჰიბრიდული, თუმცა რუსელჰაიმელები პირობას დებენ, რომ მალე ნამდვილ ჰიბრიდსაც დაამზადებენ.

სამაგიეროდ, "ბეემვეს" უკვე დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი წყალბადზე მომუშავე ჰიბრიდული აგრეგატების შექმნაში. ასეთი ძალური დანადგარით აღჭურვილმა სარბოლმა ავტომობილმა შარშან სიჩქარის მრავალი რეკორდიც კი მოხსნა. ამჯერად კი ბავარიელებმა წარმოადგინეს საწვავის შეფრქვევის სრულიად ახალი, ელექტრონული სისტემა, რომელსაც დახვეწის შემდეგ სერიულ ავტომობილებშიც გამოიყენებენ.

"მერსედესმა" და "ლექსუსმა" თავიან სტენდებზე ჰიბრიდული ძრავებით აღჭურვილი ფლაგმანები გამოფინეს. სხვათა შორის, მალე ასეთი ფლაგმანი "ბეემვესაც" ეყოლება.

გარდა ამისა, ფრანკფურტის ავტოსალონის დამთვალიერებელმა ამ სფეროში მომუშავე კიდევ რამდენიმე პატარა კომპანიის საინტერესო ნამუშევრები იხილა.

## კუპე, კაბრიოლეტი, თუ ორივე?

ახლა ის დრო ნამდვილად არ არის, რომ კომპანიებმა მყიდველს ღია ავტომობილები შესთავაზონ, მაგრამ ფრანკფურტში ასეთები მაინც მრავლად იყო გამოფენილი. კაბრიოლეტი ყველასეზონურ ავტომობილებად მას შემდეგ იქცა, რაც ავტომწარმოებლებმა ხისტი, დასაკეცი სახურავების შექმნა ისწავლეს. ასეთი სახურავი ახლა აღარავის უკვირს. ჰოდა, ნულარც ის გაგიკვირდებათ, თუ ცივ ამინდში ქუჩაში კაბრიოლეტი შეგხვდებათ.

ასეთი, ხისტ და დასაკეცსახურავიანი კაბრიოლეტების ხილვა დამთვალიერებელს "ფოლკსვაგენის", "ნისანისა" და "ვოლვოს" სტენდებზე შეეძლო. ეგ კი არა, ახლა ასეთ სახურავებს უკვე ექსკლუზიური ავტომობილების მწარმოებლებიც კი იყენებენ. მაგალითად, "ლამბორგინი", "პორშე", "ბეემვე" და "ბენტლი".

"ლამბორგინიმ" თავისი კუპე "გალიარდო" სპაიდერად აქცია, "ბენტლიმ" კი იგივე ოპერაცია ჩაუტარა თავის "კონტინენტალს".

სამაგიეროდ, "პორშემ" და "ბეემვემ" როდსტერები გადააკეთეს კუპეებად (შტუტგარტელებმა "ბოქსსტერიდან" "კაიმანი" მიიღეს", ბავარიელებმა კი როდსტერ Z4-დან კუპე Z4). ცნობისათვის, ჩვეულებრივ, პირიქით ხდება ხოლმე - მწარმოებელი ჯერ კუპეს დაამზადებს და შემდეგ მის ღია ვარიანტს. თუმცა, ორი გერმანული კომპანიის ქმედებაში გასაკვირი აღარაფერი დარჩება, თუ გავიხსენებთ, რომ მათ როდსტერებს ხისტი, დასაკეცი სახურავები აქვთ. მოკლედ, ხანდახან ისინი კუპეებად გარდაიქმნებიან ხოლმე.

## სპეციალიზაცია - ძარის წარმოება

იყო დრო, როცა მსოფლიოში უამრავი კომპანია მხოლოდ ძარის წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. ეს ის პერიოდია, როცა "დიუზენბერგისა" და სხვა მსგავსი კომპანიების შასიზე სხვადასხვა პატარა ფირმების მიერ შექმნილი ძარები იდგმებოდა. რა თქმა უნდა, მწარმოებლები ასე მყიდველის შეკვეთის შემთხვევაში იქცეოდნენ. იმ პერიოდის (გასული საუკუნის პირველი სამი დეკადა) ავტომობილები სწორედ ამიტომ გამოირჩეოდნენ ინდივიდუალიზმითა და ელეგანტურობით.

ახლა საქმე სულ სხვაგვარადაა. გამძაფრებულმა კონკურენციამ და ფასების ზრდამ ეს პრაქტიკა დავიწყებას მისცა. თუმცა, ახლა, სწორედ იმავე კონკურენციის წყალობით, შეიძლება ძარისმწარმოებელთა პრაქტიკა კვლავ დაბრუნდეს. და თუ ეს მოხდა, მისი პიონერი იქნება ნიჭიერი დიზაინერი ჰენრიკ ფისკერი, რომელმაც "ბეემვე Z8-ს" და "ასტონ მარტინ DB9-ს" შექმნით გაითქვა სახელი.

ფისკერი ფრანკფურტში საკუთარი კომპანიის, "ფისკერ ქოუჩბილდის" მიერ შექმნილი ორი მოდელით წარდგა. მთავარი ისაა, რომ მას, ალბათ, მალე მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან და მერე ნახეთ, მთელ მსოფლიოში მსგავსი კომპანიები სოკოებივით როგორ მომრავლდებიან.

რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ მარტო "პეჟოს" დიზაინ-კონკურსში ასეულობით ნიჭიერი დიზაინერი მონაწილეობს და თითქმის ყველა მათგანი საკუთარი ბიზნესის შექმნაზე ოცნებობს. ჰოდა, თუ ფისკერის წამოწყებას გაგრძელება ექნა, ამ დიზაინერთა დიდი ნაწილი ალბათ საკუთარ კომპანიას გახსნის.

ისე, ამგვარი ნიჭიერი დიზაინერები საქართველოშიც მრავლად არიან და მათთვის ფისკერის წამოწყება მისწრება უნდა იყოს. სხვათა შორის, ორ მათგანთან (გოჩა ქსოვრელი და ელგუჯა სტეფანიშვილი) გაცნობის საშუალება ჩვენი გაზეთის მკითხველს უკვე ჰქონდა.


მერსედესმა ახალი S-კლასის დებიუტისთვის ფრანკფურტი არჩია.



ჰონდას აღმასრულებელი ტაკეო ფუკუი ჰიბრიდულ ავტომობილს უკეთებს რეკლამას


სუბარუ დამთვალიერებელს კაპოტქვეშ ჩახედვის უფლებას აძლევდა


სმარტი უგზოობის კლასსაც წაეპოტინა.

# "გვირაბ(ში)"

სანდრო ნავერიანი



საქართველოში, საფეხბურთო კლუბების არ იყოს, ღამის კლუბებიც მოიკოჭლებს. პარასკევს თბილისში მორიგი ღამის კლუბი გაიხსნა. "გვირაბი" - ასე ჰქვია ამ კლუბს. პირველად ეს კლუბი თებერვალში გაიხსნა და მოწვეული დიჯეების წყალობით გავიდა ფონს, თუმცა, სულ რაღაც ერთ თვეში კლუბი დაიხურა. მაშინდელ "გვირაბში" (იმ დროს The Tunnel ერქვა) სრული ანარქია სუფევდა: კედელს თუ მიეყუდებოდი ომის დროინდელი გაჯი, თუ რა ვიცი რა ჰქვია, ტანსაცმელზე გაგეთხუპნებოდა; პლასტმასის სკამზე თუ დაჯდებოდი, სავარაუდოდ, კეფით დაენარცხებოდი ომის დროინდელ ბეტონზე და ტანსაცმელი სველი კირით, თუ რაღაც ეგეთით დაგესვრებოდა; ტუალეტში შეხვიდოდი და ვილაც გახეული მთვრალი ზედ მოგაფსამდა; და უჰაერობა მოგკლავდა. მოკლედ, ერთადერთი რისი გაკეთებაც მაშინდელ "გვირაბში" შეიძლებოდა იყო: ექსტაზის გადაყლაპვა და დინამიკზე ჩახუტება.

დღეს ეს ყველაფერი შეიცვალა: საინტერესო ინტერიერი, არავითარი კირი და გაჯი, მყარი სკამები, ტუალეტი, რომელსაც კარები აქვს და... და უჰაერობას ვერაფერი უშველეს. დარწმუნებული ვარ, კონდიცირების სისტემაც განსხვავებულია ძველ "გვირაბთან" შედარებით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა არც ეს კმარა, რადგან: მეც და ბევრი ჩემი ნაცნობიც, რომლებიც "გვირაბის" გახსნას დაესწრო, უჰაერობამ და დახუთულობამ შეგვაწუხა.

თბილისში ღამის კლუბების ცვენა არასოდეს ყოფილა და თუ სადმე რომელიმე შენობიდან ბრეიქ ბიტის ბაგაბუგს გაიგონებდით, იქვე, სინქრონულად, პერიფერიელი ბიჭების ბახაბუხსაც მოჰკრავდით ყურს და თვალს. ამის გამო იყო, რომ იხურებოდა და სხვა სახელით იხსნებოდა 6-7 წლის წინ დისკოთეკები და ღამის კლუბები. მაგრამ, განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაში იყო, დანარჩენი კი... ბიჭები ისევ ბახაბუხობდნენ, გოგონები ვაჟკაცდებოდნენ (ქალიშვილობას ემშვიდობებოდნენ), კლუბის მესვეურები ფულებს აკეთებდნენ.

რატომ ამხელა შესავალი? იმიტომ, რომ პარასკევს "გვირაბში" მსგავსი არაფერი მინახავს. გულწრფელად გამიკვირდა, რადგან: თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ "დიდი" ქალაქია და მცხოვრებიც ბევრი ჰყავს ღამის კლუბების და საერთოდ, ღამე დროსტარების მოყვარული ბევრი არ არის. შესაძლოა, იმდენი მაინც არის, რომ ერთი "გვირაბი" და ერთიც "აჭარა" შეავსოს, მაგრამ შესაძლებლობა აქვთ მწირი. ამიტომაც, ნაით ქლაბებში და დისკოთეკებზე ძირითადად ერთი და იგივე ხალხი დაიარება და გამიკვირდა, რამ შეცვალა ეს ხალხი ასე უცბად? სულ რაღაც თვეების წინ ხომ ერთმანეთს ავტომატებით და რევოლვერებით დასდევდნენ!

შორს წავედი. უბრალოდ, ერთადერთი, რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, ექსცესების გარეშე ჩავლილი საღამო იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი იქ ყოფნის დროს არაფერი ჩხუბის და სროლის მსგავსი არ მომხდარა.

საერთო ჯამში, კლუბმა "გვირაბმა" ვერაფრით გამაოცა. ბევრად უფრო ნასიამოვნები ვიყავი მაშინ, როცა სამწლინახევრის წინ "აჭარა მიუზიქ ჰოლის" გახსნას დავესწარი.

ისე, სიმართლე რომ ვთქვა, დღეს საქართველოში "გვირაბი" საუკეთესო კლუბია და ამაში, ალბათ, ვერავინ შემედავება. ახალგაზრდობამ მოილხინა და მთავარი, ალბათ, მაინც ეს არის.

**P.S.** დამავიწყდა მუსიკაზე მეთქვა ერთი-ორი სიტყვა. თუმცა რა, არც არაფერი მაქვს სათქმელი. მუსიკაც ისეთივე იყო, როგორიც ჰაერი.

# პრომეთე იწყებს

## თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

ნინია კაკაბაძე

დღეს საღამოს უკვე მეექვსეჯერ გაიხსნება კინოფესტივალი "პრომეთე", რომელიც, აშკარაა, ყოველწლიურად უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ფესტივალი გაიხსნება გიორგი შენგელაიას ახალი მხატვრული ფილმით "მიდიოდა მატარებელი". შენგელაიას უკანასკნელი ნამუშევარი ფესტივალის არასაკონკურსო ჩვენებაშია ჩართული. კონკურსში სულ 12 ფილმი მონაწილეობს, მათ შორის ორი ქართული კინოპროდუქციაა, ერთი კი ახალგაზრდა ქართველი კინორეჟისორის გელა ბაბლუანის ფრანგული ფილმია. გელა ვენეციის საერთაშორიო კინოფესტივალზე ოქროს ლომის მფლობელი გახდა საუკეთესო დებიუტისთვის. მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი საფრანგეთშია გადაღებული და ქართველი ემიგრანტების ოჯახის შესახებ მოგვითხრობს, სადაც მთავარი გმირი გიორგი ბაბლუანი (რეჟისორის ძმა) მისთვის ახალი კანონების სწავლას ცდილობს. 9 ოქტომბერს 12 საკონკურსო ფილმიდან ორი დაჯილდოვდება და გაირკვევა, ვინ გახდება ოქროსა და ვერცხლის "პრომეთეს" მფლობელი. ჯილდოებს საერთაშორისო ჟიური გაანაწილებს. წელს პირველად ფესტივალს ასევე ეყოლება ფიპრესის, კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის ჟიური და აგრეთვე ფარაჯანოვის ჟიური.




მთლიანობაში ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულია 90-მდე მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომლებიც, ევროპული კინოფესტივალების მსგავსად, კატეგორიების მიხედვით იქნება დახარისხებული: "ევროპული კინოს ფორუმი", "ჰორიზონტები", "შვედური ხედვა", "დოკუმენტური ფილმები", "კინოფესტივალი "სესილი" წარმოგიდგენთ", "ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები", "ქართული ანიმაციური ფილმები" და "სპეციალური ჩვენება", რომელშიც მერაბ კოკოჩაშვილის "დიდი მწვანე ველი" იქნება წარმოდგენილი.

ფესტივალის პროგრამაში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს კატეგორია "ფორუმი" და "ჰორიზონტები". აქ წარმოდგენილია ისეთი რეჟისორების ფილმები, როგორებიც არიან: ფრანსუა ოზონი, აბას კიაროსტამი, კენ ლოუჩი, ვონგ კარ ვაი, ამოს გიტალი, კიმ კი დუკი, აბას რაფეი და სხვა მრავალი. არანაკლებ საინტერესოა დოკუმენტური ფილმების ნაწილში წარმოდგენილი ნინო კირთაძის ახალი ფილმი "ნავთობსადენი მეზობლად" და გენიალური ირანელი კინორეჟისორის აბას კიაროსტამის შვილის, ბაჰმან კიაროსტამის ფილმები "მომლოცველობა" და "ორი საკრავი". საგულისხმოა, რომ ბაჰმან კიაროსტამი ფესტივალის სტუმარიც იქნება. ჟურნალ "ანაბეჭდის" ინიციატივითა და ხელშეწყობით 6 ოქტომბერს, 5 საათზე, "N გალერეაში" გაიმართება ირანელი ფოტოგრაფების გამოფენა "თეირანის ბალების ფერადი ჩიტები".

ფესტივალზე საინტერესოა კიდევ ერთი განყოფილება, რომელიც მასტერკლასების ჩატარებას გეგმავს თემებზე: მოკლემეტრაჟიანი ფილმები, მონტაჟი Avid სისტემაზე და მასტერკლასი ახალგაზრდა კინორეჟისორებისთვის, რომელსაც ნიუ იორკის კინოსკოლის ლექტორი ბორის ფრუმინი ჩაატარებს მომავალი კინემატოგრაფისტებისთვის. ეს უკანასკნელი მათ პროფესიულ კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება.

ვისაც საერთაშორიო კინოფესტივალებზე დასწრების გამოცდილება აქვს, დამეთანხმება, რომ ამდენი სახელოვანი კინემატოგრაფისტის მონაწილეობა უდავოდ პოზიტიური ტენდენციის მანიშნებელია - კინოფესტივალი "პრომეთე" კინოს მოყვარულებისთვის ნამდვილ დღესასწაულს აწყობს და მაყურებელს აძლევს საშუალებას, სწორედ იმ ფილმებს გაეცნოს, რომელთა ნახვა საქართველოში დიდ ეკრანზე პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე რომ, ყველას, ვისაც უყვარს ნამდვილი კინო, ვურჩევთ, არ გამოტოვოს არც ერთი დღე და უყურადღებოდ არ დატოვოს არც ერთი კინოჩვენება.

# ეს ჩვენებურების საქართველოა

## ფესტივალ "ჩვენებურების" მონაწილეებს უნივერსიტეტმა უმასპინძლა

ია ვეკუა

ისინი ჩვენებურები არიან, ეთნიკური ქართველები ან ისინი, ვისაც სურს, ქართველი იყოს. მღერიან ქართულად, თუმცა მშობლიურ ენაზე საუბარს ვერ ახერხებენ. მხოლოდ ოდესღაც, ბავშვობაში გაგონილი ცალკეული სიტყვები იციან: "გამარჯობა", "გმადლობ", "საქართველო ჩემი სამშობლოა"... ყველანი კი საერთაშორისო ფესტივალ "ჩვენებურების" მონაწილენი არიან, რომელიც პირველიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით თბილისში უკვე მეორედ იმართება.

"ჩვენებურების" პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია. პირველ ოქტომბერს ვაკის პარკში გამართულ ფესტივალის გახსნით საღამოს 2 ოქტომბრის კონცერტი მოჰყვა, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა. სწორედ ამ კონცერტზე წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედება ფესტივალის მონაწილეებმა: თურქეთში, გერმანიაში, აზერბაიჯანში, ირანში, რუსეთში, უკრაინაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში მოღვაწე ანსამბლებმა, რომლებიც მხოლოდ ქართულ ფოლკლორს ასრულებენ.

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია "ქართველები საზღვარგარეთ", რომელზეც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს საფრანგეთის დელეგაციის წევრმა ოთარ პატარიძემ, მაჭახელას ხეობის შესახებ ისაუბრა თურქეთიდან ჩამოსულმა იბერია ოზგანმა (მელაშვილი), ხოლო ნინო ყულოშვილმა ფერეიდნელ ქართველებზე მოგვითხრო.

კონფერენციის პარალელურად უნივერსიტეტში ფესტივალის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობდა. გამოფენაზე კარგად გამოჩნდა, რომ ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები აქაურობას სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ. მათ მიერ დახატული საქართველო უფრო ნათელი ფერისაა, მათი მოქსოვილი ხევსურული წინდები კი უფრო თბილი. ისინი მხოლოდ საქართველოს ხატავენ, ქართულ სახლებს და ქართულ სახეებს.

გამოფენაზე საკმაოდ საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინა სტამბულში მცხოვრებმა მელიჰ ბაშმა (ჯაში). იგი სტამბულის ოპერის სახელმწიფო თეატრის მხატვარ-დეკორატორია. პარალელურად კი ანსამბლ "ქაფდაღში" ქართულ სიმღერებს მღერის. მელიჰ ბაში საქართველოში პირველადაა, გამოფენისთვის კი მოკლე დროში შექმნილი მინიატურული ნამუშევრები ჩამოიტანა. ცხადია, ყველა მათგანის თემა საქართველოა. მხატვარს საოცარი ოსტატობით აქვს შექმნილი მცირე ზომის აჭარულის, ქართულისა თუ ხევსურულის მოცეკვავეები. საინტერესოა, რომ მელიჰ ბაშს ძალიან მწირი ინფორმაცია ჰქონდა ქართული საცეკვაო კოსტიუმების შესახებ, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ქართული ფესვები ნამუშევართა სრულყოფაში დაეხმარა.

**მელიჰ ბაში:** "ყოველთვის ვიცოდი, რომ ქართველი ვიყავი. დედა ბავშვობაში ქართულად მელაპარაკებოდა. დღესაც, საუბრისას, ხშირად ხმარობს ქართულ სიტყვებს. აქ ჩამოსვლა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე. აქ ყოფნა ჩემთვის ზღაპარივითაა. ეს ნამუშევრებიც სამშობლოზე ჩემი წარმოდგენების ნაყოფია."

მელიჰ ბაში ტირის საქართველოზე საუბრისას, ცრემლების დამალვას არც ცდილობს. საერთოდ, ამ ფესტივალზე ხშირად ტირიან - ცხადია, მხოლოდ სიხარულის ცრემლებით. ტირიან აქ მცხოვრები ქართველებიც, როდესაც ხედავენ, როგორ მღერიან თურქეთიდან, ფერეიდნიდან ან საფრანგეთიდან ჩამოსული ქართველები. მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც არა აქვს ქართული ფესვები, მაგრამ ქართული სიმღერის სიყვარულმა ამ ანსამბლებში მიიყვანა.

ფესტივალი "ჩვენებურები" 6 ოქტომბერს დიდ საკონცერტო დარბაზში სტუმრებისა და აქაური ანსამბლების ერთობლივი კონცერტით დაიხურება.

**თბილისის სახელმწიფო ვეტერინალური ინსპექცია აწარმოებს ცოფის უფასო ვაქცინაციას**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის

**დარეკეთ ტელეფონზე: 77 08 40**

ან მიმართეთ შემდეგ მისამართზე: თელავის ქუჩა 53. (სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" უკან)

**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

**საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი**

**"მზიური"**

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას**

**პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში**

**მიიღებიან V - XI კლასების მოსწავლეები**

**მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) N70**

**91-03-17; 95-45-75**

**ყურადღება!**

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ
საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები
ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
**ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!




ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა



გადაცემა

სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი